გია ტუღუში

ირინეოსი

ეძღვნება გოდერძი ტოტოჩავას ხსოვნას

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“
ბათუმი – 2024

რედაქტორი

ნატო სეიდიშვილი

ტექნიკური რედაქტორი

და დამკაბადონებელი მალხაზ ფაღავა

UDC (უაკ) 821.353.1-31

ტ-938

ISBN 978-9941-500-49-7

© გია ტუღუში, 2024

© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, 2024

* * *

და გელოდებოდი, ჩემო მევ, ათას წელს გელოდებოდი, რათა დაბრუნებულიყავი მარათონულ ომებში გამარჯვებულ ტაიჭზე ამხედრებული, კვლავაც მოგეცა ნამგლისებრი თვალის ჭრილის დანახვით ათრთოლებული მუხლების ძალა და გაგემეფებინა კიდეც.

შენ დაბრუნდი და ჩვენც სამყაროსთან ერთად ხელახლა დავიბადეთ.

მიწაზე გატირანებულ მიწიერებას მეტოქე გამოუჩნდა, რომელიც მოვიდოდა და ასკეტიზმს ცეცხლით და მახვილით გაავრცელებდა, თუმცა სათნო და ბავშვური სახით, თავმდაბლად და მორჩილებით.

ეს არის კაცობრიობის ბოლო ბრძოლა, ბრძოლა სულისა და ხორცისა, ბრძოლა ზეცისა და მიწისა და მე ვიცი, ეს ბრძოლა როგორაც დასრულდება – სამყარო შეიქმნება ერთ სულ და ერთ ხორც, უფრო სწორად, ერთ სულ და ერთ ხორც ახლაცაა, უბრალოდ, საჭიროა, რომ კაცობრიობამ ამის შესახებ იცოდეს, შემდეგ კი გააცნობიეროს.

აქამდე ყოველთვის მიწა იმარჯვებდა, რადგან ის საკუთარ თავს ებრძოდა. ვნახოთ, ახალი ცხებული რაიმე ახალს თუ იტყვის, ისეთს, რომელიც მიწას არ შეუქმნია. მაგრამ ცხებულიც მოვიდა და ვერაფერი შეცვალა. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ „არაფერია მზის ქვეშ ახალი“, რომ ყველაფერი იმდენად ერთი და იგივეა, ამ იგივეობამ საგანგებოდ გამოძერწა ილუზორული განსხვავებები, ჰო, არ არსებობდა და გამოძერწა. ეს განსხვავებები ადამიანის გონებამ მოწყენილობის გამო ამოტოტა, რომ ერთნაირობაში სასიკვდილოდ არ მოეწყინა.

ახლა, ჩემო მკითხველო, ვიმყოფებით მიწაზე და მე მახსოვს, დაფლეთილი ზეცა როგორ იქცა კალოზე დალეწილ ლერწმად, საკუთარ საშოს მოსწყდა, ჯერ განაპერწკალდა, შემდეგ ბადროსავით ნატყორცნი მზესავით აალდა და მტვრადქცეული თავის დედასვე, მიწას დაენარცხა.

ჩემი წიგნის მკითხველი იმოგზაურებს სამყაროში, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, ის არასდროს ყოფილა, მაგრამ მაინც არის, რათა დღისა და სიბნელის გაყრისთვის გალაქტიკათშორისო ომები წამოიწყოს, ხოლო შემდეგ ისინი კვლავ შეაერთოს და ამისთვისაც მულტისამყაროთშორისო შეტაკებების მოწყობა დასჭირდეს. ცხოვრებაც ეს არის – რუბიკის კუბის დაშლა-აწყობა და ამ პროცესში – რას აკათებ, რით იკვებები, რა გაცვია ან სად ცხოვრობ, თითქმის სულერთია.

სამყაროში ყველაფერი ხდება, მაგრამ რაც ხდება სამყაროს დასაწყისის დასაწყისში, იგივე ხდება

პირველსაწყისის უკანასკნელ უჯრედშიც და მომავალშიც იგივე მოხდება. სამყაროს დასასრულის დასასრულის ბოლო გაელვებაშიც არაფერია ახალი.

და თუ ახალი ერა მაინც დაიწყება სივრცეში განფენილი, სულ სხვა ანატომიის ციური სხეულებითა და ქიმიური შენაერთებით, ჩვენ მასში ვერ ვიცოცხლებთ, რადგან აღარ ვიქნებით. მხოლოდ რჩეულები იხილავენ მოუკვლეველი სივრცეების დასაწყისს და ვერ შეეხებიან, უბრალოდ წამის მემილიონედში, სიზმარეულად იხილავენ, ისე, როგორც ბურანში ვგრძნობთ დამჭკნარი თითების უცნობ შეხებას.

ჩვენს მოგზაურობაში უმნიშვნელოა – ვინ ვინაა, ვის რა ჰქვია, ვინ რას წარმოადგენს, ვის რა აცვია, ან ვინ სად ცხოვრობს, როგორ ცოცხლობს, ან როგორ კვდება, მაგრამ ამავდროულად, ყოველივე ჩამოთვლილი უმნიშვნელოვანესია.

ეს არსებობა უძლეველი ღმერთის – აზროვნების ღმერთის, იგივე არსებობის შემქმნელის თესლის მარცვლებს შორის გამართული ომია და ამ ომში ვერავინ გაიმარჯვებს, რადგან გამარჯვებისთვისაც არავინ იბრძვის. ჩემი გმირები გამარჯვებისთვის რომ იბრძოდნენ, დრო და სივრცეც მასში განფენილი სხეულებითა და მოთამაშეებით სასრული და მოსაწყენი იქნებოდა.

ჩემ მიერ შექმნილ არარსში არ იმარჯვებენ, რადგან არც კი იციან, რას ნიშნავს გამარჯვება. აქ ყველა ყოველთვის და ისედაც გამარჯვებულია.

იდეოლოგიათა მმუსრავმა კასტამ შექმნა მანქანა, რომელიც ანადგურებს ყველას, ვისაც მეფობა სურს, ყველას, ვისაც სხვების დამონება უნდა, ყველას, ვისაც გაღმერთება სწადია და ყველას, ვისაც თავისუფლებით სურს მსოფლიო სულობა.

იგი შთანთქავს მორცხვებს, კდემამოსილებს, პოეზიითა და მხურვალე ლოცვის მანიით შეპყრობილებს, კონსერვატორებს, ლიბერალებს, ულტრალიბერალებს, ულტრაკონსერვატორებს, ქურუმებს, მეფეებს, ბატონებს, მონებს, ანთროპოსოფისტებსა და თეოსოფისტებს.

ეს მანქანა ყველაფერს აქრობს, გარდა აზროვნებისა, რადგან თავადაც აზროვნების ნაყოფია.

ნეტავ, ეს მუდმივი შეჭმა-მონელება რატომ არ წყდება, აუცილებელია თუ აზარტული?!

ალბათ, ორივე ერთად, თუმცა, გამარჯვების წყურვილის დასაკმაყოფილებლად კი არა, უფრო სიამოვნების გამო.

ვნახოთ, ასეთ სამყაროში ვინ და რისთვის არსებობს, მე კი მხოლოდ ერთში ვარ დარწმუნებული, რომ აზრები და გაცნობიერება უსასრულოა. მათ არც ჰორიზონტალურად აქვთ დასასრული და არც ვერტიკალურად.

და ახალი ერთდროულად ახალიცაა და ძველიც.

* * *

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ათვლა არ არსებობდა, არ იყო გეომეტრია და მათემატიკა, რადგან არც თავად სივრცე არსებობდა, ზეცის ნასიამოვნები სპერმატოზოიდის ნაყოფი, აბსოლუტის ოხშივარმოდებულ ბურანში, რომელიც ზეცისავე გენში მიწიერებამ ზეცისა და სულის დამხობისთვის ჩანერგა

(დამხობისთვის და არა გაქრობისთვის), კაცობრიობის გამაადამიანურებელი, ხორციელი ვნებების და მათგან ყველაზე უმართავის – დიდებისკენ სწრაფვის ამაღორძინებელი, მომავალი ქრისტეს უკვე ანტიქრისტე, მამის ჯვარზე გამკვრელი და მისი ქრისტედ მქცეველი ზეცის ანასხლეტი საკუთარ მშობელს, ზეცასვე მალემსრბოლი მერანის სიჩქარით ეძგერა და ფალოსი მოჰკვეთა, მოჰკვეთა და მოისროლა წყალში, ანუ სითხეში, რომლისგანაც ოდესღაც თავად იშვა.

გაემისრებულმა ანასხლეტმა მშობელში სიამოვნების ღმერთი მაშინ განგმირა, როდესაც მშობელი მამა განცხრომის ევერესტს აღწევდა და მომავალი ღმერთის ჩანასახიც მოსპო, რათა თავად გამეფებულიყო, ზეცა წყალში აეზილა და სამყარო გაეერთიანებინა. თორემ თრთოლვასა და ძრწოლაში გადარჩენილი ისევ რომ გადარჩენილიყო და ქვეყნიერებას მოვლენოდა, მასაც დაამარცხებდა და არსებობისთვის ბრძოლაში დაბადებამდე გაწაფული, საუკუნოდაც იმეფებდა.

(ო, დიდო ალტერ-ეგოვ, არარსებული სამყაროების გამაერთიანებელო! მახსოვს, ტრანსიქაური ტრანსაქაურს რომ მიაბჯინე და შეწებებული ტრანსაქაურ-იქაური ბიოდენებით დაელექტრონებული ხელის გულზე დააბურთავე, შენ ხომ ურჩებს აკერპებ, ჩემო ხარბო თვალებო!)

ურჩმა ჩანერგილმა ღმერთის ნაწილი ღმერთშივე ათქვიფა და პროცესის შედეგს, იგივე ნაყოფს დაელოდა.

უეცრად გამარადღამებული სული ზეცისა შემოემარაზა წყალს და დაასნეულა. წყალმა მზერა დაასერიოზულა, სიბრაზით სისხლი გაიყინა და ზეცის სულის ნასროლი ისარი, იგივე ქრისტეს მარადიული ტრფიალება ფრთებში გადაამსხვრია. ფრდებგადაბრდღვნილი და ფრთებგადაგრეხილი შხუილ-შხუილით აისროლა ზეცაშივე და ათასკლიტულით ჩარაზულ ედემის ბაღში გამოამწყვდია.

ზეცა წყლის რისხვას არ დაემორჩილა, ედემის კარიბჭესთან მივარდა, ათასივე კლიტული შელეწა და კაცობრიობის უპეპლურესი, ნაბურთავები სული კვლავაც წყლისკენ მოისროლა.

თურმე, ამასობაში, წყლისთვის „ულისე“ წაუკითხავთ და მასაც გაუაზრებია, რომ სული და ხორცი ერთი და იგივეა, გაუსიგრძეგანებია ეს უტყუარი ჭეშმარიტება და სიამოვნებით მიუღია კიდეც.

ჰოდა, მარადიულმა წყალმა ქრისტეს მარადი სატრფო დასისხლულ მკერდში ჩაიეკლა, ჩაირაზა და მარადჟამს მფეთქავი გულის უმაღლეს მწვერვალზე ტახტიც დაუდგა.

ამ ამბით გაგულისებულმა მიწამ, მოშივებული მგელივით მოხეტიალემ, თავისი ლორწოვანი პირი დააღო და კდემამოსილება უბასრესი კბილებით დაგლიჯა, რომლის გასისხლული და დანაწევრებული სხეული მიწის მკვრივ სხეულს გადაენთხა, ამის შემდეგ სიმორცხვეს დაედევნა და ისიც შესანსლა, ანუ შეიმატა. შეინივთა რაინდული სული, თავგანწირვა და თვითრეალიზების სურვილიც კი, მაგრამ რადგანაც ბუნებაში არაფერი იკარგება, სამყარო გაწონასწორდა, დაოკდა და დამშვიდდა, შეიძლება ითქვას, გაბედნიერდა კიდეც.

და მარადიულად შენახული სიკვდილ-სიცოცხლის ნაცნობი თესლისგანაც შეიძლება ყოფიერების უცნობი მოდელი იშვას, თუმცა მასში ვერ ვიცოცხლებთ, სამაგიეროდ, ჩვენი გონებამახვილი და გაცვეთილი ფიქრები ყოველთვის ინავარდებენ ახალი ცნობიერებით შექმნილ სამყაროში.

მხოლოდ რჩეულები იხილავენ ყველასთვის საიდუმლო ერის დასაწყისს, იხილავენ ბურნისეულად

და პერსეპოლისივით გაქრებიან.

* * *

შუაღამის ოთხი საათი იქნებოდა და სიბნელის მეუფების ოქროს ხანა, როდესაც ყოფილი ქვეყნის, შურისტანის ერთ-ერთი პატარა ქალაქის, სააეშაგოს (ქალაქის სახელწოდების მნიშვნელობაზე მოსახლეობის ოთხმოცდათვრამეტ პროცენტს არც კი უფიქრია, ხოლო ორ პროცენტს, რომელიც ამ საკითხზე ფიქრობდა, ყურადღებას არავინ აქცევდა) ერთ დიდ, მაგრამ მოძველებული და კარგა ხნის გაურემონტებელი სახლის დანესტიანებულ ოთახში შუქი აინთო, რომელიც უძლურად ასხივებდა დაბერებულ ფოტონებს, თუმცა ოთახის განათებას მაინც ახერხებდა. ამ ოთახში ნათურის გამოცვლა არავის უფიქრია, რადგან მისი ბინადარი თვლიდა, რომ ძველი ნათურის ახლით ჩანაცვლება უმნიშვნელო აქტია და არც არაფერს ცვლის.

და შუადღის სევდით გაჯერებული მზე დააცხუნებდა იმ დღეს ქალაქს.

მაჭახლის თოფივით ტანწერწეტა ირინეოსი, რომელსაც სახე მსოფლიო რუკაზე დატანებულ მუზარადიან ესპანეთს მიუგავდა, დასავლეთ აფრიკის ცხელ სივრცეებს რომ უერთდება და ბასკი რაინდის ტანს მოგაგონებთ, საწოლიდან წამოქროლდა, სარკესთან შეჩერდა, წელში გაიმართა და ასიდან ერთამდე დაითვალა: ასი, ოთხმოცდაცხრამეტი, ოთხმოცდათვრამეტი, ოთხმოცდაჩვიდმეტი... როდესაც ათამდე ჩამოვიდა, სწრაფად მიაყარა ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი და... იმით დაიმედებული სახე, რომ დღის განმავლობაში შუაღამეს გავარჯიშებული ტვინი გამართულად იმუშავებს, ფანჯრიდან გაყო, რათა შუაღამის ბნელი, მაგრამ სუფთა ჰაერით ყელი ჩაეკოკლოზინებინა. ამის შემდეგ კვლავ სარკესთან მივიდა, დადგა და დილის გამამხნევებელი ვარჯი დაიწყო, თანაც მისთვის იმეორებდა ცნობილ ლათინურ, ბევრისთვის ბოლომდე ვერგაგებულ ფრაზას, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია.

,,რა ბედნიერებაა, რომ აღარ ვიკვლევ საკუთარ სულს, აღარ მაინტერესებს ისტორიის ტირანების მიერ შეთხზული ბედი, ამ ბედის ბედისწერა, რომ აღარ ვწერ ლექსებს, აღარ ვლოცულობ, აღარ დავდივარ ეკლესიაში და აღარ ვფილოსოფოსობ. რა ბედნიერებაა, რომ ჭამისას ულუფები შევამცირე და ანგელოზივით ავმჩატდი, რომ აღარ მაღიზიანებს მეზობლის მიერ შეძენილი ძვირადღირებული ავტომობილის შეძენის აქტი (თუმც გაუგებარია, ჯერ კიდევ რატომ არსებობს ძვირადღირებული და იაფი ავტომობილები. ყოფილ შურისტანში ხომ აღარვინ არავის ეჯიბრება, რადგან ადამიანებმა დიდი ხნის წინ დაკარგეს შურიანობის განცდა) და დარწმუნებული ვარ, რომ ავტომობილი ჩემს გასაგიჟებლად არც მას შეუძენია“, – თავისთვის ფილოსოფოსობდა (აკი წეღან ვთქვით, რომ ის ბედნიერი იყო უფილოსოფიოდ ცხოვრებით) ირინეოსი და გარეთ გასასვლელად ემზადებოდა, თუმცა ფიქრები მაინც არ ასვენებდნენ.

,,რა ბედნიერებაა, რომ ეს ყველაფერი აღარ მჭირდება და თუ ოდესმე დამჭირდება, იქნება ნიშანი იმისა, რომ საქმე ცუდადაა და გრანდიოზული ცვლილების დროა“, – დილის ენერგიით აღსავსე, შუადღის მზით აღზევებული სევდის დამარცხებაზე ფიქრობდა, მერე რაა, რომ ჯერ კიდევ ბნელოდა

ქუჩაში.

სეროტონინით გახელებული იაზრებდა, როგორი სულელი იყო, როდესაც პოეზიით გატაცებული მსჯელობდა, თუ რაოდენ დიდი პოეტი გახლდათ ვაჟა-ფშაველა, რომელმაც შეძლო თავისი ადამიანური თვისებებით მცენარეები, ფრინველები და ცხოველები აღეჭურვა, ადამიანური მრისხანებითა და სევდით გაეადამიანურებინა ისინი და უდიადესი პოეზიაც მათით ეთქვა.

უკვირდა ირინეოსს, რომ ოდესღაც ასეთ სისულელეებს აქცევდა ყურადღებას, რაღაცას, რის მიუკვლევლობაც არაფერს ცვლიდა.

და შუადღის მზით ნანთხევ სევდას ერკინებოდა მჭლე ირინეოსი. ებრძოლებოდა სიცარიელით, მაგრამ მაინც ბედნიერებით.

ისიც გაახსენდა, როდესაც ლამის ტვინი აუდუღდა იმაზე ფიქრით, თუ როგორი შინაარსის და ფილოსოფიური დატვირთვის იქნებოდა „ვეფხისტყაოსანი“, უკუღმა რომ გაგვეაზრებინა.

„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, – ნახეთ სიმუხთლე ჟამისა“!

შემდეგ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მზე მზეში არსებობდა იმ დღეს და სევდა სევდაში, შუადღე დილაში და დილა – ღამისფერ ღამეში.

,,ნეტავ, მეც შემექმნა ოჯახი“, – წუწუნებდა ირინეოსი და გარეთ გასასვლელად თითქმის მზად იყო, – ჩემი პატარა იმპერია, ჩემი პატარა, მაგრამ მდიდარი იმპერია, რომელსაც მონები მოემსახურებოდნენ, ხოლო მე, როგორც იმპერატორი დავტკბებოდი ჩემ მიერ ღამისთევითა და პირადი თავისუფლების დაკარგვის შიშით შექმნილი იმპერიის ცქერით, – შემდეგ გაახსენდა, რომ ალტერნატიულ ისტორიაში სპარტაკისა და მონების აჯანყება გამარჯვებით დასრულდა და ოჯახის შექმნაზე ფიქრიც შეწყვიტა.

შუადღის მზის სევდას ებრძოდა ირინეოსი, მერე რაა, რომ ჯერ კიდევ გაყინულ ქუჩაში ძრწოდა.

როდესაც ახალგაზრდა ჩინოვნიკი გარეთ გამოვიდა, მისივე ბიძაშვილის შვილის ქმარი შორეულ ნაოსნობაში გასამგზავრებლად ემზადებოდა და გამგზავრებამდე იმ ჩიხების მონახულებას გეგმავდა, რომელშიც ბავშვობა გაეტარებინა. ამ სასიამოვნო, თუმცა გულისამაჩქარებელი მოგზაურობისთვის სულ რაღაც ოთხი საათიღა რჩებოდა. უნდოდა მძინარე დედას თავზე დასდგომოდა და მისი ცქერით დამტკბარიყო, მაგრამ ეს სურვილი შორეულ ნაოსნობაში გამგზავრების მოლოდინის მჭმუნვარებამ მოუსპო.

ბიძაშვილის შვილის ქმარი სამზარეულოში იჯდა, ვისკგაზავებულ ყავას მიირთმევდა და გათენებას ელოდა.

ირინეოსის სახლის მოპირდაპირე და ასევე ძველ სახლში მცხოვრებმა, მხცოვანმა იოსებმა ფანჯარა გამოაღო და მზერა მეზობლის სახლის კარებს მიაპყრო, რომლიდანაც სულ მალე ირინეოსი უნდა გამოსულიყო და ზღვისპირისაკენ მიმავალ გზას დადგომოდა.

და მზე გადააკაკლისფრებდა მალე ქალაქს, სევდა კაკლისფერში გალღვებოდა.

ირინეოსი სახლიდან გამოვიდა და ზღვისკენ გასწია. იოსები პატარა, თეთრ მაგიდას მიუჯდა და მოძველებული ლეპტოპი გახსნა. მარტოსული, მაგრამ მყუდრო ოთახი ღილაკების დაჭერით აჭრიჭინებული ლეპტოპის შიგნეულის რითმულმა ხმაურმა მოიცვა.

მელოტმა იოსებმა იოსებ ფლავიუსივით დაიწყო რაღაცის წერა.

ისე ყინავდა, თითქოს სამყაროში მზეები გამქრალიყო, ხოლო მთელი კოსმოსი ყინულოვან უდაბნოდ ქცეულიყო, რომელშიც გადათეთრებული ციური სხეულები ვეღარ მოძრაობდნენ და ვეღარ ასრულებდნენ თავიანთ უმთავრეს მისიას – სიცოცხლის მოძრაობით, სიცოცხლისუნარიანობით აღჭურვას.

* * *

ირინეოსი „ქალაქის ზომიერების დაცვის სამსახურში“ მუშაობდა. დილით ადრე დგებოდა, რათა ზღვისპირას ვარჯიში, ზღვის აბაზანის მიღება და გაოფლიანება მოესწრო. ამ პროცედურის შემდეგ სახლში ბრუნდებოდა, ერთ საათს კითხულობდა (იცოდა, რომ კითხვას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც კითხულობდა) და სამსახურში მიდიოდა.

ამჯერადაც ასე მოიქცა. ზღვისკენ მიმავალს, ორ მრავალსართულიან სახლს შორის პატარა სივრციდან გოგონას სიყვარულით გაუჯერებელი კვნესა შემოესმა, ყურადღება უნებლიედ ამ სიუჟეტისკენ მიმართა, რომელსაც დიდი რეჟისორი – თავად ღმერთი იღებდა და შეიგრძნო ბიჭის ხელის ნაზი კანის ფორების აღგზნებული რეცეპტორები, რომლებიც გოგონას ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ბარძაყის გავეშებულ რეცეპტორებთან შეხებით იგზნებოდა და ამ დროს, სამყაროს შემქმნელიც შეუჩერებლად მიირწეოდა სიამოვნების უმაღლესი მწვერვალის დასალაშქრად. პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ირინეოსს დაეუფლა, უსიყვარულობის განცდა იყო, განცდა იმისა, რომ პირველსაწყისი მოთიბეს და ახლა მოთიბულის გამოუცდელი მარცვლების კაციჭამიობის ერა გამეფებულიყო. სანამ ეს მარცვლები არსებობისთვის ბრძოლაში არ გამოიწრთობიან, სანამ არ ეწამებიან და ჯვარზე არ გაეკვრებიან, ვერასდროს გააცნობიერებენ, რომ ნამდვილი არსებობა ჯვრიდან გარდამოხსნისა და აღდგომის შემდეგ იწყება, მაგრამ ამისათვის ჯვარცმაც გადასატანიო, – ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ფიქრობდა ახალგაზრდა ჩინოვნიკი.

ამ ფიქრების ბადეში თევზივით გახლართულ, კილიმანჯაროსავით ვერმაღალ ირინეოსს მასტურბაციის სურვილი შემოაწვა და სამყაროს სიყვარულის აქტით წარმოშობილი, თუმცა სამყაროსვე დამანგრეველი გულის წადილი, რომელიც კოსმიური უგუნურების შედეგია, იქვე, იმავე მრავალსართულიან სახლსა და ამჯერად სხვა, მომდევნო მრავალსართულიან სახლს შორის ასევე უვიწროვეს სივრცეში დაიოკა. დაცარიელების შემდეგ გაიფიქრა, რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა, უგუნურებაც მისი ნებაა, ბოროტებაც და სისუსტეცო და ელექტრობაბუაწვერას მიმსგავსებულ სანაპიროს მიუახლოვდა.

რამდენიმე წამში ახალგაზრდა ჩინოვნიკი უსასრულობის შეგრძნების ერთ-ერთ მშობელს – ზღვას

შეუერთდა და თავადაც მის ნაწილად იქცა. ცოტა შესცივდა კიდეც და რომ შემთბარიყო, ხელებისა და ფეხების მწყობრი მოძრაობით დელფინივით გასცურა, იქიდან კი სანაპიროსკენ მხოლოდ ხელების მოძრაობით გამოსცურა, რადგან უკვე შეხურებულიყო.

ირინეოსმა ტანი გაიმშრალა, უფრო სწორად პირსახოცით დაიზილა, რაც ძალიან ესიამოვნა, შემდეგ ტანსაცმელი ჩაიცვა და სახლისკენ გამოეშურა.

უკვე შეთენებულიყო. ძველ, დიდი ხნის გაურემონტებელ ტაძარს ჩამოუარა და შიგნით შევიდა. შაჰ აბასის სასახლის დარბაზივით ფართო დარბაზში ერთადერთი, მოხუცებულობისკენ გადაპარული მამაკაცი შენიშნა, რომელიც უცნობი ხატის წინ იდგა და იღიმოდა. თუ რატომ იღიმოდა, ვერასდროს გავიგებთ, ხოლო თავად ირინეოსი ასე მხოლოდ მაშინ ქირქილებდა, როდესაც ტელევიზორში თვალ-ყურს რომელიმე პოლიტიკურ დებატებს, ან აღდგომის დღესასწაულისას ქრისტეს საფლავიდან წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის დღესასწაულს ადევნებდა.

ახალგაზრდა ჩინოვნიკი ტაძრიდან გამოვიდა და გეზი სახლის მიმართულებით აიღო. ორი მეგობარი მის წინ ნელი ნაბიჯებით მისეირნობდა და ჟესტიკულაციაზე ეტყობოდათ, რომ საჭირბოროტო საკითხებზე საუბრობდნენ. ერთ-ერთმა უეცრად გამოჩენილმა, უბრალო გამვლელმა მათ წინ სწრაფად ჩაიქროლა, რათა მეგობრების საუბრისთვის მიეყურადებინა და ცნობისმოყვარეობის დევნილი გრძნობა დაეკმაყოფილებინა.

მეგობარმა მეგობარს ჩასჩურჩულა:

– რა ცბიერია, სწრაფი ნაბიჯებით ჩამოგვიტოვა, რომ გვეფიქრა თავის საქმეზე მიიჩქარის, ჩვენთვის სულ არ სცალია და ამასობაში ჩვენს საიდუმლოებებზე საუბარი არხეინად და უშიშრად გაგვეგრძელებინაო.

– შენ მასზე ცბიერი ხარ, – მიუგო მეგობარმა და ცალყბად გაუღიმა.

ეს ყველაფერი ირინეოსის თვალწინ ხდებოდა და თავისი ღრმადწვდომის უნარით გაოცებულს არ სჯეროდა, რომ ამდენი ადამიანური მზაკვრობის ამოცნობა შეეძლო.

სახლის ეზო გაიარა და სახლში შევიდა. საკუთარ ოთახში კომფორტულ სავარძელში მოკალათდა, წიგნი მოიმარჯვა და კითხვა დაიწყო. პირველი წინადადებაც ამოიკითხა: „ვინც არ დარჩება ჩემში, ლერწამივით გადაიგდება და გახმება; შემდეგ კი აგროვებენ, ცეცხლში ყრიან და იწვის“ – იოანე, 15:6.

* * *

ნახევარსაათიანი კითხვის შემდეგ ირინეოსმა ცივი შხაპი გადაივლო და სამსახურში წასასვლელად გამოეწყო. უეცრად ტელეფონმა დარეკა.

ყურმილის მეორე მხრიდან უმშვიდესი და უემოციო ხმა გაისმა:

– ირინეოს, შვილო, ბაბუა იოსები ვარ, გადმოდი, დილის ყავა დავლიოთ.

ჩვენს გმირს ყველასათვის კეთილი და ლაღი ბაბუის მიპატიჟება გაუხარდა და მისი სახლისაკენ გასწია.

იოსებს სამეზობლოში ყველა დიდ პატივს სცემდა, რადგან ის მხიარული, გახსნილი და ლაღი მოხუცი იყო. ოდესღაც ქალაქის ერთადერთ ადმინისტრაციულ ორგანოში – „ქალაქის ზომიერების დაცვის სამსახურში“ ნამუშევარი ძალიან ბევრს ლაზღანდარობდა, იმდენად ბევრს, გეგონებოდათ, რომ ლაყბობა მისი ჰობიაო. მთელი დღე რომ ისე გამართულად და საზრიანად ილაზღანდარო, როგორადაც და რამდენსაც იოსებ ბაბუა, ბევრსაც უნდა ფიქრობდე, ხოლო ვისაც ბევრი ფიქრი უყვარს, წიგნების კითხვაც უყვარს. ასე რომ, ჩვენი უწვერო, ქოსა, თეთნულდივით გაფითრებული და მელოტი ბაბუა საკმაოდ განსწავლული და განათლებული ადამიანის ტიპაჟს წარმოადგენდა.

– რა ქენი, ბაბუა, ირბინე ამ დილას? – იკითხა ბავშვივით ლაღმა, მაგრამ დინჯმა იოსებმა.

– კი, ბაბუა იოსებ, მაგრამ ამას სირბილს ვერ დავარქმევ, უფრო სწრაფი ნაბიჯებით ვისეირნე.

– და რატომ ერიდები, ჩემო ირინეოს, სირბილს?

– რა ვიცი, უგუნურებად მეჩვენება სიცოცხლის ჟინის გამუდმებით ღვრა, – მიუგო ირინეოსმა და გაიფიქრა, ალბათ, ფიქრობს, ამ დილით საქმე დამლევიაო.

მოხუცს ხმა არ ამოუღია, ეტყობოდა, დრო სჭირდებოდა ირინეოსის ნათქვამზე რომ ეფიქრა. ელექტროჩაიდანთან მივიდა, ორი ფინჯანი ყავა მოამზადა და მაგიდასთან მოიტანა, რომელიც ასევე ორ სავარძელს შორის იდგა. ერთ-ერთ სავარძელში თავად ჩაჯდა და ახალგაზრდა მეზობელს უთხრა, რამდენიც გენებოს, იმდენი შაქარი ჩაიყარეო. მერე ერთი ყლუპი ყავა მოსვა და ლაპარაკი განაგრძო:

– ესე იგი, ძალებს ზოგავ, ხომ?

– კი და ვფიქრობ, რომ ეს კარგია.

– სოდომსა და გომორში ღმერთმა თავი დაისახიჩრა, დახოცა რა, საკუთარი პირმშონი.

ეს იყო თვითმკვლელობის მცდელობა.

შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!

სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,

რომ კაცად ვერ გამიზრდიხარო! – მგზნებარედ და ანაზდეულად წარმოთქვა ბატონმა იოსებმა და ყავა კიდევ ერთხელ მოსვა.

– მერე, ეგ ჩემ მიერ ძალების დაზოგვის მეთოდების გამოყენებასთან რა კავშირშია? – იკითხა ამ მოულოდნელი პათეტიკურობით გაოცებულმა ირინეოსმა.

– იმ კავშირშია, რომ სოდომელებსა და გომორელებს ან უნარი არ შესწევდათ გაეთავისებინათ, ან ამისთვის შინაგანი ძალა არ ჰყოფნიდათ, რომ ძალებისა და გრძნობების შემონახვით შობილი სიკეთეების გარეშე დაცემა და პირისაგან მიწისა აღგვა გარდაუვალია.

– ეჰ, ჩემო იოსებ ბაბუა, მითოლოგიებსა და თუნდაც გენიალურ მითოლოგიებში რომ არ გადავიჭრათ, ამ მოსაზრების ჭეშმარიტების დასადასტურებლად ხომ დიდი კოლუმბიელი მწერლის, გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი“ და ხორციელი ვნებების უბასრესი მახვილით განადგურებული მაკონდოც საკმარისია.

– ნამდვილად ასეა, ჩემო ირინეოს. სამსახურში რა ხდება, როგორია საყოველთაო ჰარმონიის დაცვისთვის განხორციელებული ღონისძიებების მარგი ქმედების კოეფიციენტი?

– ძალიან მაღალი და ამის მიზეზი ჩვენ მიერ დაწესებული წესების ჩვეულებად ქცევაა, ჩვენი ფასეულობებით მომავალ თაობათა კოლექტიური არაცნობიერის ამოვსებაა. ყველაფერი, რასაც ჩვენ ფასეულად მივიჩნევთ, ყოველდღიურ მოცემულობად, ანუ თავად ცხოვრებად უნდა იქცეს, – თქვა საკუთარი მოსაზრების სიღრმისეულობით მოხიბლულმა ირინეოსმა, კიდევ ერთი ყლუპი ყავა მოსვა და სავარძლიდან წამოდგა, უხერხულობისგან ორი უსარგებლო მოძრაობა გააკეთა, ფეხები კვიცივით ააკუნტრუშა, რომ შარვლის ტოტები ფეხსაცმლის ყელზე სიმეტრიულად შემოებჯინა.

– ძალიან მიხარია, ბაბუა, – სიტყვა მიაგება იოსებმა, სტუმარს დაემშვიდობა, გააცილა, თავის თეთრ მაგიდას მიუჯდა, ლეპტოპი გახსნა და უცნობი ტექსტის წერა განაგრძო.

* * *

ქალაქ სააეშაგოს ერთადერთი ადმინისტრაციული ორგანოს – „ქალაქის ზომიერების დაცვის სამსახურის“ ხელმძღვანელი და მაშასადამე, ქალაქის თავიც, ბატონი ფაუსტულუსი საშუალო სიმაღლის, საშუალო წონისა და საშუალო სილამაზის კაცი იყო. ერთადერთი, რაც მოჭარბებულად ებადა, ანუ უსაზღვრო წიგნიერება და აზროვნების უფართოესი თვალსაწიერი – საამაყოდ გაეხადა. მისი ცხოვრება სამყაროს ევოლუციას მოგაგონებდათ, რომლის დროსაც სივრცე, სავსე აფეთქებებით, ციური სხეულების შეტაკებებით, მათი ანასხლეტების შეჯახებებით, ამ ყველაფრის შედეგად დაქუცმაცებული ნაწილაკებით, შემდეგ კი აფეთქების მანიით შეპყრობილი უჯრედებით გაძეძგილი უთვალავი, გაყინული წერტილით, რომელიც შესისხლხორცებული, შეერთებული, დროებით დაზავებაში განისვენებს და მომავალში, როდესაც საკუთარ არსებობაში ვეღარ ჩაეტევა, კოსმოსური ვულკანივით ამოფეთქს და ამოარსებდება.

ამ ამოარსებების შემდეგ რომ ყოფიერება დაარსდება და იქ ახალი წესრიგის წესებით მოაზროვნე აღიზრდება, ბატონი ფაუსტულუსიც სწორედ ასეთ მოაზროვნეს მოგაგონებდათ.

ირინეოსს საკუთარ სამუშაო კაბინეტში შესვლამდე ბატონ ფაუსტულუსთან შევლა და მისი მოკითხვა ჩვევად ქცეოდა, ისევე როგორც სტრუქტურის მრავალ თანამშრომელს.

ამჯერადაც ესტუმრა. ქალაქის თავის სამუშაო ოთახი უზარმაზარ სივრცეს წარმოადგენდა, რომელიც უამრავი ნახატით აეჭრელებინათ. ყველაზე დიდ ტილოზე გამოსახული, ფრთებდათუთქული იკაროსი ზღვისკენ შურდულივით მოისტყორცნებოდა. ნათელი იყო, რომ იკაროსის ამბავი ქალაქის თავკაცისთვის ყველაზე მნიშვნელოვან და ჭკუის სასწავლებელ ამბად მიიჩნეოდა. იკაროსის დაღუპვის ამსახველი ნახატის გვერდით ჰიმნიბორგში ამაყად მჯდომი, ოდნავ აღელვებული გამომეტყველებით მოთამაშე ჰეიმდალი, ოდინის ძე, ღმერთთამცველი იმზირებოდა. აქვე განეთავსებინათ გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელიწადის“ ერთი ეპიზოდის სცენა, სადაც წითელი ჭიანჭველები ჩვილის – უკანასკნელი ბუენდიას რბილ და ქათქათა ტყავს მიათრევენ, მაგრამ ბიბლიური გრიგალი მაკონდოსთან ერთად მათაც პირისაგან მიწისა აღგვავს. ქალაქის თავკაცის სამუშაო მაგიდის უკან კრონოსის მიერ ურანოსის დასაჭურისების სცენა გადაჭიმულიყო.

– არ გეტყვი, რომ დაჯდე, ჩემო ირინეოს, რადგან ეს ჩემი მხრიდან შენი არდაფასება იქნებოდა. როგორ გიკითხო? – ფაუსტულუსმა მსახიობური, დახვეწილი მანერებითა და დიდი არტისტიზმით მოიკითხა ირინეოსი და გულიანადაც გაუღიმა. მისგან საოცარი ძალა და სილაღე გამოსჭვიოდა.

– ჰო, ნებაზე ზემოქმედება აკრძალულია, რადგან რომელიმე ვნება რომ ასაკრძალი ყოფილიყო, თავიდანვე არ იარსებებდა და მითუმეტეს „ნება“ არ ერქმეოდა. ჰო, კიდევ, არ დამავიწყდეს, ნებაც ვნების შედეგია და ვნება თავად იყო ნება, – ძალზედ ჩვეულებრივად, ყოველგვარი სიამაყის გარეშე უპასუხა ირინეოსმა და „ხმელი წიფელივით“ დინჯი ხელმძღვანელი თავადაც გულწრფელი სიყვარულითა და მოკრძალებით მოიკითხა.

– იცი, ერთხელ, დიდი ხნის წინათ, სტუდენტობისას, ბერძნულ-რომაული სამართლის ლექტორმა და აკადემიკოსმა, მსოფლიო მოაზროვნემ, ბატონმა ნაკოსმა გვკითხა, ფრანც კაფკას „მეტამორფოზა“ თუ წაგიკითხავთო. ჩვენ ვუთხარით, არ წაგვიკითხავს-თქო. ჰოდა, უნივერსიტეტის ამფითეატრში გაიარ-გამოირა, შემდეგ ნაკვერჩხლისფერ ტრიბუნასთან შეჩერდა, ჯერ სათვალე მოიხსნა და სპეციალური საწმენდით გაწმინდა, მერე მარცხენა ხელი ტრიბუნას დააყრდნო, ხოლო მარჯვენა მოკეცა და მუცელზე მიიკრა (ამ დროს მუცელზე ჰორიზონტალურად გაწოლილი ხელი საწოლს მოგაგონებდათ), ორატორის შემართებით შეგვათვალიერა და მყარად გვითხრა: „თუ კაფკას „მეტამორფოზა“ არ წაგიკითხავთ, მაშინ იურიდიულ ფაკულტეტზე კი არა, საერთოდ დედამიწაზე რა გესაქმებათ“?! – მახსოვს, ლექციის დასრულებისთანავე ბიბლიოთეკაში გავვარდი და კაფკას ამ შედევრის კითხვა დავიწყე.

– ძალიან საინტერესო ისტორიაა. კაფკას დაუსრულებელ რომანს – „ამერიკას“ გავეცანი და მისი მთავარი გმირის ადამისებრი მოგზაურობის ფათერაკიანი დასაწყისის კაფკასეული გაგებაც მომეწონა, მაგრამ „მეტამორფოზა“ არასდროს წამიკითხავს, – ცოტა დარცხვენილად, ცოტაც სიამაყით მიუგო ირინეოსმა და დასძინა, – და მაინც, რაზეა ეს წიგნი?

– იმაზე, ჩემო ბიჭუნავ, რომ არა მარტო უნებო და უვნებო არ სჭირდებათ ადამიანებს, არამედ ისიც, ვისაც ვნება და ნება ნაწილობრივ არა აქვს, ან თუ აქვს, მისი გამოვლენა ფიზიკურად არ ძალუძს. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ გრეგორი ზამზა უვნებო და უნებო კაცი არ იყო, უბრალოდ, ხოჭოდქცეულს თავისი ყველაზე მდაბიო გრძნობების გამოხატვაც არ შეეძლო და უმაღლესი გრძნობების მაღალმხატვრულად გამოვლინებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია.

– და ალბათ ხოჭოდქცეული ყოველმან გარიყა.

– დიახ, ჩემო ირინეოს, სწორად მიმიხვდი.

– გამოდის, რომ არ უნდა დავუშვათ ხოჭოდ ქცევა.

– ასე გამოდის.

– ასეთი ფაქიზი რამ არის ადამიანის ნება-სურვილი და მისდამი დამოკიდებულებაც გააზრებული და კეთილშობილური უნდა იყოს, – განაგრძო ბატონმა ფაუსტულუსმა, – ადამიანს თუ ნება შეუზღუდე, თვითრწმენას დაკარგავს და გამოუსადეგარი გახდება, ხოლო კაცობრიობას რაც უფრო მეტი გამოუსადეგარის გამოკვება მოუწევს, მით უფრო ადრე დაეცემა. რომ არა მე-18 საუკუნის

ინგლისში ინდუსტრიული რევოლუცია, მე-19, ან მე-20 საუკუნეებში მას რუსეთი შეჭამდა. მე-18 საუკუნეში რომ არა ბრიტანელების ძლიერი ნება განვითარებულიყვნენ, დღეს ან საერთოდ არ იარსებებდნენ, ან განუვითარებელი ერების სიაში ეწერებოდნენ. ჩვენს სიცოცხლეშიაც ასე ხდება. ერთი წამით წარმოიდგინე, რომ დედამიწაზე ყოველი ადამიანი გაზარმაცდა, უვნებო-უნებო გახდა და სახლიდან გამოსვლაც ეზარება, რომ დედამიწაზე ნიჭიერი და უნარიანი აღარავინ დარჩა, ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ ეს პარადიგმაც საკმარისი იქნებოდა იმის გასააზრებლად, თუ რაოდენ სავალალო მდგომარეობაში ჩადგებოდნენ დედამიწა და დედამიწელები.

– ამიტომ, რაც უფრო ნაკლებად შევზღუდავთ ადამიანების სურვილებს, მით უფრო გავახანგრძლივებთ ჩვენი გენის არსებობას და მით მეტი შესაძლებლობები და შესაბამისად, ძალაც მოგვეცემა, რომ კაცობრიობის სამსახურში ვიდგეთ და არ დავიღალოთ, – გამართულად და თითქმის შეუსვენებლად თქვა ირინეოსმა, სავარძლიდან წამოდგა, ბატონ ფაუსტულუსს დაემშვიდობა და ოთახის დატოვება დააპირა.

– კი, ასეა და არც სხვების გამო უნდა ვიქცეთ ხოჭოებად. მოიცადე, შენთან საქმე მაქვს.

– გისმენთ, ბატონო ფაუსტულუს.

– ქალაქში ახალი პოეტი გამოჩენილა, რომელიც სოციალურ ქსელებში „არშემდგარ პოეტადაა“ დარეგისტრირებული. თურმე იჩემებს, ჩემთან შედარებით ჰომეროსი პატარა პოეტია და ამბობს, ჩემი პოეზია ადამიანების აზროვნებას შეცვლისო.

– და თუ საიდუმლო არაა, საითკენ შეცვლის ადამიანების არსებობასო? – ინტერესით იკითხა ირინეოსმა.

– და მაგ ფაქტორს მნიშვნელობა აქვს? განა ის არ არის მნიშვნელოვანი, რომ ვიღაცას გაღმერთება გადაუწყვეტია? ეს ხომ გადაჭარბებაა ემოციებში და სასწრაფოდ აღსაკვეთია. რაღა აზრი აქვს იმის ძიებას, მართლა ღმერთია თუ არა, როდესაც ვინმეს გაღმერთება ისეც დაუშვებელია და ასეც? მაშ, წადი და იმოქმედე.

– კარგით, ბატონო ფაუსტულუს, – პირობა მისცა საკუთარი არცოდნით დარცხვენილმა და ბატონი ფაუსტულუსისგან მიღებული ცოდნით გახარებულმა ირინეოსმა და ხელმძღვანელის სამუშაო ოთახი დატოვა, რათა თავის კაბინეტში წასულიყო და საქმეს შესდგომოდა.

ამასობაში, ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი თავისი სანუკვარი ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა და ბავშვობის ტკბილი მოგონებებით საზრდოობდა. მალე სანაპიროს უზარმაზარი გემი მოადგებოდა და მეზღვაურს ყოველივე ახლობელსა და სანდოს ჩამოაცილებდა.

მაგრამ საკუთარ ქალაქში ქალაქიდან გაუსვლელად დაბრუნება, მაინც სულ სხვა შეგრძნებაა.

ათვითცნობიერებ, რომ მშობლიური კუთხის ის ნაწილი გენატრება, რომელიც შენს შორეულ, ბავშვობის მოგონებებში ტივტივებს და ამ ადგილების ძიებას იწყებ, პოულობ და ცრემლებად იღვრები.

ზოგჯერ ის სივრცეებიც გენატრება, რომელიც არასოდეს გინახავს.

გეძახიან ეს ხედები, რადგან დაივიწყე და მათაც მოენატრე. უფრო ხშირად რომ სტუმრებოდი, არ გინატრებდნენ, არ დაგიძახებდნენ.

შენც ზარატუსტრასავით ხარ, ხოლო ქალაქი შეგირდებს ემსგავსება, მარადიული დაბრუნების მანიით შეპყრობილ შეგირდებს, რადგან დროგამოშვებით თუ არ გამოჩნდი, არასდროს დაავიწყდები.

ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი ნაცნობ და უცნობ ჩიხებში ხეტიალით იქარწყლებდა მოახლოებული განშორების მჭმუნვარებას.

* * *

ტანწერწეტა ჩინოვნიკი სამუშაო ოთახში მაგიდას მიუჯდა, კომპიუტერის პროცესორის მთავარ ღილაკს თითი მიაჭირა და კომპიუტერი ჩართო. ამის შემდეგ სოციალური ქსელი „მსოფლიო ნაგავსაყრელი“ გახსნა და „არშემდგარ პოეტს“ დაუწყო ძიება. ამავე ეპითეტით ვიღაც იპოვა და მისი პირადი გვერდის დასათვალიერებლად მოემზადა.

„მე მიყვარს ზეცა, რადგანაც გიცქერს,
მე მიყვარს მიწა, რომელზეც დგახარ,
შენი უბანი, შენი იერი
და ახლა უფრო, უფრო მიყვარხარ!
კვლავ ისე ხარბად, ხარბად მიყვარხარ,
რომ შევიყვარე შენი სატრფონიც,
თვით უეპოქო გახელება ხარ
და სიყვარულის ბოლო ფოტონი“!

„არშემდგარი პოეტი“ მართლაც დიდებულად წერს, მაგრამ ფრაზაში, „რომ შევიყვარე შენი სატრფონიც“, ნეტავ რას გულისხმობს? მოდი, ამას ვკითხავ და რაც არ უნდა მიპასუხოს, მივწერ, რომ ეს ფრაზა დიდი პოეზიისთვის ცოტა ვულგარულად ჟღერს და თუ სხვა, უფრო მაღალმხატვრული ფრაზით ჩაანაცვლებს, უკეთესი იქნება“, – ფიქრობდა ირინეოსი და თავნება პოეტის მორალური ლიკვიდაციის გეგმას სახავდა, რომლის სისრულეში მოყვანისთანავე შემოქმედს თხზვა აღარასდროს მოესურვებოდა, – თანაც შევამოწმებ, რამდენად აცნობიერებს იმას, რასაც წერს და რამდენად სწრაფად შეუძლია საკუთარ შემოქმედებაში ღრმაშინაარსიანი ცვლილების შეტანა.

– რას ნიშნავს ფრაზა „რომ შევიყვარე შენი სატრფონი“?

პასუხმა თხუთმეტი-ოცი წუთით დაიგვიანა, თუმცა მომხმარებელი ქსელში იყო, რადგან მწვანედ ანათებდა. მის მიერ შეტყობინების ნახვაც დადასტურდა.

– თუ ადამიანი სამარადისოდ გიყვარს და უმიზეზოდ მიგატოვებს, წესით ვინც შეიყვარა, ან ვინაც შეიყვარა ისიც უნდა გძულდეს. მე ოდესღაც ეს ვერ მოვახერხე. მის ირგვლივ და მასში ვერაფერი შევიძულე, – საკმაოდ მომხიბვლელი და მახვილგონიერი პასუხი ოცი წუთის დაგვიანებით მოვიდა.

ირინეოსმა უმალვე გააცნობიერა, რომ ღმერთკაცები ოც წუთს საკუთარი დაწერილის გააზრებაზე არ ხარჯავენ და ამოისუნთქა.

– მე გირჩევდით, რომ ეს ფრაზა უფრო მაღალმხატვრული ფრაზით ჩაანაცვლოთ.

– კარგით, გავითვალისწინებ თქვენს რჩევას, – არ დააყოვნა პასუხმა.

ირინეოსმა გაიფიქრა: ,,ღმერთები უბრალო მოკვდავების რჩევებს არ ითვალისწინებენ“, – და შვებით კიდევ ერთხელ ამოისუნთქა.

დაახლოებით ათ წუთში ირინეოსს არშემდგარმა პოეტმა სტროფის შესწორებული ვარიანტი გამოუგზავნა, რომელიც ასე ჟღერდა:

„მე მიყვარს ზეცა, რადგანაც გიცქერს,
მე მიყვარს მიწა, რომელზეც დგახარ,
შენი უბანი, შენი იერი
და ახლა უფრო, უფრო მიყვარხარ!
კვლავ ისე ხარბად, ხარბად მიყვარხარ,
რომ გავასახლე შენი სატრფონიც,
თვით უეპოქო გახელება ხარ
და სიყვარულის ბოლო ფოტონი“!

,,სატრფო დაცემისა და ზედმეტი დავიდარაბისგან იხსნა“, – გაიფიქრა ახალგაზრდა ჩინოვნიკმა, როდესაც ლექსის შესწორებული ვარიანტი წაიკითხა და არშემდგარ ხელოვანს მისწერა, რომ რამდენიც სურდა, იმდენი ეწერა. შემდეგ ბატონი ფაუსტულუსისთვის მისაწერი არაოფიციალური წერილის მზადება დაიწყო, რომლითაც ხელმძღვანელისთვის აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ანგარიში უნდა ჩაებარებინა.

წერილის შინაარსი ასე გამოიყურებოდა:

„ბატონო ფაუსტულუს,

პატივისცემით მოგახსენებთ, რომ თქვენ მიერ დასახელებული, ვინმე „არშემდგარი პოეტი“ მართლაც კარგად წერს, მაგრამ მას ღმერთკაცისა და ზეკაცის არაფერი სცხია. ის იმდენად ღრმა, საინტერესო და ნატიფ ლექსებს თხზავს, რომ ხალხი ვერასდროს გაუგებს და გიჟად შერაცხავს. ჩვენი პოეტი თვინიერი, დამჯერე და საკმაოდ თავმდაბალი ადამიანია. ეტყობა, მისი გაგულისება და გაამპარტავნება მეზობლებისა და მეგობრების მიერ მისივე პოეზიის არაღიარებაა, ხომ იცით, მეზობლები და მეგობრები კაენივით შურიანები არიან. გარდა ამისა, ლექსებს სპონტანურად ქმნის და ღრმად და საფუძვლიანად არც აქვს გააზრებული, რასაც ქმნის. აღნიშნული პიროვნება საზოგადოებრივი წესრიგისა და საყოველთაო ჰარმონიისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და დაე, რამდენიც უნდა, იმდენი ილექსაოს“, – ირინეოსმა წერილი დაასრულა და ელექტროფაილი ხელმძღვანელს გაუგზავნა.

ხელმძღვანელის პასუხმაც არ დააგვიანა:

„კეთილი, ჩემო გაწაფულო ბიჭუნავ. იმედია, ვიღაც მისი ლექსებით მოხიბლული, ვერაგი ტიპი არ გამოჩნდება და ჩვენს პოეტს გმირად არ აქცევს. ყველაფრისთვის მადლობას გიხდი, ოღონდაც

ბატონობით ნულარ მომმართავ და პატივისცემითაც რომ მექცევი, ამასაც ხაზს ნუ უსვამ“.

ირინეოსს ფაუსტულუსის მონაწერზე გაეღიმა. ადგა, სამუშაო ოთახი გამოიხურა და სახლისკენ გამოემართა.

* * *

მიჰყავდა გზას ირინეოსი და ფიქრის დროც მოეხელთებინა. ,,ჭამე, მაგრამ არ გაძღე, გძულდეს, მაგრამ სიძულვილის მიზიდულობის ცენტრში თავქუდმოგლეჯილი ნუ გადაეშვები, თორემ ის შავი ხვრელივით გშთანთქავს და შავი ხვრელიდან საღ-სალამათი არავინ დაბრუნებულა. დაეხმარე, მაგრამ მოწყალების მიმღებმა იცოდეს, რომ დახმარება შენი ჰობი არ არის, არავისი გეშინოდეს, მაგრამ არც შენი ეშინოდეთ, გახსოვდეს, რომ ყველაფერი დასაშვებია, მაგრამ რაც გსიამოვნებს, იმის უზომოდ დაუფლება, მისი ერთ ჯერზე გადასანსვლა გაგაზულუქებს და უდროოდ გაგაუფერულებს. იკითხე არა იმიტომ, რომ სხვების თვალთახედვაში განდიდდე, არამედ საკუთარი თავის წინაშე და იკითხე იმიტომ, რომ ფუჭად ყოფნის შეგრძნება გაიქარწყლო გარდაქმენი არა მარტო შურიანები, არამედ თანაადამიანებში შურის აღმძვრელებიც. არ დაივიწყო, ვინც ათ წიგნს კითხულობს, ვერასდროს აჯობებს მას, ვინც ათ გვერდს კითხულობს და შემდეგ მასზე ათ დღეს ფიქრობს“, – ამ ფიქრებში გართული ირინეოსი ბანკში შევიდა, რათა ტელეფონის საყიდლად სესხი გაეკეთებინა.

– სესხი მინდა გავაკეთო.

– რამდენი? – ჰკითხა გახარებულმა ბანკირმა.

– სამი ათასი.

– გასაგებია. ახლავე შეგავსებინებთ შესაბამის დოკუმენტაციას, მანამდე კი გთხოვთ, თქვენი ტელეფონისა და პირადობის ნომრები მომაწოდოთ.

ირინეოსმა მობილური ტელეფონი ამოიღო და ნომრების ძებნა დაიწყო. გაოგნებული ბანკირი აკვირდებოდა ოდნავ აღელვებულ, გაწითლებულ ირინეოს და თავი სიზმარში ეგონა. მას ვერ დაეჯერებინა, რომ ელექტრონების განკაცების ეპოქაში ვიღაცამ საკუთარი პირადობისა და ტელეფონის ნომრები არ იცოდა.

– ინებეთ, – უთხრა აწ გახარებულმა ირინეოსმა და შესაბამისი ნომრები ჩააწერინა.

ბანკირმა აცნობა, რომ სესხი დაუმტკიცდებოდა და გახარებულ ირინეოს კმაყოფილი დაემშვიდობა.

საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც გადაქანცულმა ჩინოვნიკმა სახლამდე მოაღწია, ეზოს ჭიშკრის კარი შეაღო, შემდეგ სახლის პარმაღი გადაკვეთა და თავის ოთახში მკვდარივით დაიძინა.

მოპირდაპირე სახლის მეორე სართულის ცისფერი საღებავით შეღებილი, ანჯამებდაჟანგული ფანჯრიდან იოსებ ბაბუა იცქირებოდა, რომელიც ირინეოსის შინ დაბრუნების ეპიზოდს ყურადღებით აკვირდებოდა. მის უკან მოკაშკაშე შუქი მოხუცს შარავანდედივით დასდგომოდა და მელოტი წმინდანის იერს სძენდა. როგორც კი ირინეოსი სახლში შევიდა, იოსებიც მოსცილდა გადატყავებულ ფანჯარას და თავის პატარა, თეთრ მაგიდას მიუჯდა, ლეპტოპი გახსნა და წერა დაიწყო. ამ

სიმყუდროვეში ჩაის დალევაც მოისურვა, მაგრამ წყლის ადუღება შეეზარა და გადაიფიქრა

* * *

გამთენიისას ირინეოსი ფაუსტულუსის შეტყობინებამ გააღვიძა, რომელიც ამცნობდა, ხვალ სერიოზული დავალება უნდა მოგცე და კარგად გამოიძინეო. დაასრულა თუ არა წერილის წაკითხვა, უეცრად, ახალგაზრდა ჩინოვნიკს მთელი სამყარო ერთ დიდ, დასისხლიანებულ, ადამიანების ძვლებით მოფენილ თალპიონად ეჩვენა, სადაც ბრძოლაში ყველა და ყველაფერი ბრძოლითვე იშვებოდა და რაც იშვებოდა, ბრძოლითვე კვდებოდა. ხუთი წამით სამყაროზე გული აერია, მაგრამ მოათვალიერა რა, თავისი მყუდრო, მშვიდი და მოწესრიგებული ოთახი, სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა, საწოლიდან წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, წინა დღით საგანგებოდ მოდუღებული, გაცივებული ყავა მიირთვა, შეიმოსა და სამსახურისკენ გასწია. არც დილის გამამხნევებელი ვარჯიში დავიწყნია, რომელიც ზოგჯერ ისე ეზარებოდა, რომ არ აკეთებდა და თავს იმით იიმედებდა, დილით ორგანიზმს ჯერ არ გაუღვიძია და მისი ზედმეტად დატვირთვა მაინცდამაინც სასარგებლო არააო.

სახლის ეზო დატოვა (წამით მზერა ბაბუა იოსების ანჯამებდაჟანგული სარკმლისკენ გაექცა) და თითქმის ცარიელ ქუჩას გაუყვა.

ირინეოსის წინ მერაბ ბერძენიშვილის გამოშედევრებული დავით გურამიშვილის ქანდაკებასავით ტანწერწეტა გოგონა მისრიალებდა და ფრანგულ ბულდოგს მიაკონწიალებდა, რომელიც თეძოებს ზვიგენივით არხევდა.

ირინეოსს სახლიდან, რომელსაც ოლიანდრი ისე შემოხვეოდა, როგორც ლაოკოონს აპოლონის ნების აღმსრულებელი გველები, შეფარულად დაფეთებული ლომის მზერის მსგავსი მრისხანება დაატყდა, რომლის დანახვაზე ახალაფეთქებული მზეც კი შეკრთა, როგორც უდიდესი კერპი პოლითეისტებისა და მონოთეისტებისა – შეკრთა, დამწუხრდა, ზეცას ნაძვის ხის ბურთივით მოსწყდა და ჰაერის წინაღობის ძალით ფსევდომაუდის ლაბადასავით გაიცრიცა, ანუ გათენდა.

სანამ სამსახურში მივიდოდა და ბატონ ფაუსტულუსს მოინახულებდა, მაღაზიაში შეიარა და „Mcflurry“-ის ნაყინი მიირთვა. ნაყინმა კომუნისტებისდროინდელი „ესკიმო“ გაახსენა, პირველად ხუთი თუ ექვსი წლისამ რომ დააგემოვნა. ,,არაფერია მზის ქვეშ ახალი“, – გაიფიქრა ნახევრადმოწყენილმა ირინეოსმა და „ქალაქის ზომიერების დაცვის სამსახურის“ შენობაში შეაბიჯა, რომელიც მთლიანად ყვითლად შეეღებათ, ხოლო კუთხეებში შავი ტყავით დამზადებული სავარძლები განეთავსებინათ. სანამ შენობაში შეაბიჯებდა, ახალი აღთქმისეული ღმერთისა და სატანის ჭიდილის თაობაზე ბოლო ფიქრმა გაუელვა. ახალგაზრდა ჩინოვნიკის აზრით, ეს ჭიდილი არის ორთაბრძოლა ზომიერების პრინციპის ღერძის თავსა და ბოლოში დაფუძნებული ორი ძალისა, რომელთაგან ამ პრინციპს ვერც ერთი ვერ იცავს. ერთი ხორციელი ვნებების შეზღუდვისკენ მოგვიწოდებს და ეს შეზღუდვები მომავალში აგრესიად იქცევა ხოლმე, ხოლო მეორე, ხორციელი ვნებების უსაზღვროობაში გადაშვებისკენ, რაც ხშირად სიცარიელედ და გამოფიტვად მოგვევლინება.

,,რაც არ უნდა დამავალოს, მხოლოდ ბედნიერებას მომიტანს, რადგან აღტაცება, რომელსაც ყოველ

ჯერზე განხორციელებული მიზანი გვგვრის, საწვავივითაა და მომდევნო მიზნის დასახვა-განხორციელებამდე გვყოფნის. ადამიანს სასიცოცხლო ძალებს საკუთარი მიზნების განხორციელებითა და დაკმაყოფილებული სურვილებით მოგვრილი აღფრთოვანება მატებს“, – ბოლოჯერ გაიფიქრა ირინეოსმა და ქალაქის თავკაცის კაბინეტში შეაბიჯა.

დილის ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ახალგაზრდა ჩინოვნიკი ბატონი ფაუსტულუსის კაბინეტში იდგა და მარკესის ფანტაზიის ნაყოფს – გახელებულ, გაუმაძღარ, წითელ ჭიანჭველებს შესცქეროდა.

ამ დროს, ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმრის გულისცემა მატულობდა, რადგან გემი ნაპირს უახლოვდებოდა (მოსალოდნელი შტორმის გამო გემი დროებით ნაპირს მოაცილეს) და მალე ჩვენი დასევდიანებული, მაგრამ უბედნიერესი მეზღვაური ოთხი ელემენტიდან უმთავრესში – წყალში გემთან ერთად შეგემდებოდა. ირინეოსის ბიძაშვილმა იცოდა, რომ ცოლის თვალებისა და მიმოხრის მონატრებას უსაზღვრო, ოკეანისეული სევდით ჩაახშობდა, რომელსაც ფერიც ჰქონდა და ბავშვობისდროინდელი ეზოების შენობებზე მოდებული ხავსისფერი იყო. ხოლო ცოლს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ცხოვრებისუნარიანობის გასაუმჯობესებლად სიშორით აღძრული ხორციელი ვნებები მოევლინებოდა. მათ ხომ ყოველივე ეს უკვე მრავალგზის განეცადათ.

მეზღვაურს სიყრმის ორადორი მეგობარი აცილებდა, რომელთაგან ერთ-ერთმა ფული სთხოვა. აქაოდა, სანამ გაემგზავრები, თუ რამ საფულეში გიდევს, დატოვე, შენ გემზე ყოფნა კარგა ხანს მოგიწევს და გემბანზე ფულს მაინც ვერ დახარჯავო.

მეზღვაურმა სიყრმის უსაყვარლეს მეგობარს მკვახედ მიუგო, რომ მას ორი ხელი, ორი ფეხი და თვალები აქვს, სრულიად ჯანმრთელია და შეუძლია, ფული თავისი შრომით გამოიმუშავოს.

– უცნაური კაცი ხარ, – ჩაილაპარაკა უხერხულობისგან აწითლებულმა მეგობარმა.

* * *

ფაუსტულუსი, რომელიც თომა აქვინელს მოგაგონებდათ, სამუშაო მაგიდიდან წამოდგა, ახალგაზრდა ჩინოვნიკს მიეგება, მარჯვენა ხელი ჩამოართვა, ხოლო მარცხენა ირინეოსის მხარს მოუთათუნა და სტუმარს დაჯდომა შესთავაზა.

ჩინოვნიკი სკისფერ სავარძელში ჩაჯდა და ქალაქის თავკაცს დაელოდა, როდის დაიწყებდა საუბარს. ირინეოსმა იცოდა, რომ ბატონ ფაუსტულუსს ჩვევად ჰქონდა, სანამ სამსახურებრივი დავალების მიცემაზე გადავიდოდა, ზოგად და ფილოსოფიურ თემებზე ებაასა. ის მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურასაც ეტანებოდა.

– როგორ ფიქრობ, ჩემო ირინეოს, ბუნების ძალების ადამიანის სამსახურში ჩაყენება შესაძლებელია? – იკითხა ფაუსტულუსმა და თავი ოდნავ მარცხნივ გადასწია, ხოლო მარცხენა ხელი სავარძლის ფართო სახელურს ჩამოადო.

– მაგალითად, ქარის?

– ან თუნდაც ქარიშხლის.

– ჰო, გასაგებია. რატომაც არა, გაიხსენე ტატოს „მერანის“ მეხუთე სტროფი.

– აბა, ჩემო ბიჭუნავ, გამახსენე.

– „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრის“!

– ტატოს ქარიშხალი მესაფლავედ დაუყენებია... შენი აზრით, ჩემო გაწაფულო ბიჭუნავ, ტატო ჯეიმს ჯოისის ლექსებს კითხულობდა?

– მე პირიქით მგონია, ბატონო ფაუსტულუს, რომ ჯოისი კითხულობდა ტატოს ლექსებს.

– ეს შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ნიკოლოზ ბარათაშვილი ასევე დიდ ჯოისზე რამოდენიმე ათწლეულით ადრე დაიბადა, ჯოისი მის ლექსებს ვერ გაეცნობოდა. რატომ? იმიტომ, რომ ტატოს სიცოცხლეში არც ერთი ლექსი არ დაბეჭდილა, – ფაუსტულუსმა ირინეოს მამობრივი მზრუნველობის გამომხატველი ღიმილი აჩუქა და მის რეაქციას დაელოდა.

– კი მაგრამ, რა კავშირშია ტატო ბარათაშვილი და „ულისეს“ ავტორი ერთმანეთთან?

– იმ კავშირშია, რომ თუ ერთმა გენიოსმა მესაფლავეობა ქარიშხალს დაავალა, მეორემ ქარს ჰერმესის ფუნქცია მიანიჭა.

– სამწუხაროდ, ჯოისის შემოქმედებას საფუძვლიანად არ ვიცნობ.

– „წადი, მოძებნე, რომ მოვედი, უთხარი თავად, საამო ქარო, იღიღინე ეპიტალამა.
გადაიქროლე მთები, ზღვები, შორი მანძილი, მე და ჩემს სატრფოს ვერაფერი ვერ დაგვაცილებს.
თავაზიანო ქარო, კიდევ
ერთს გთხოვ წყალობას, მის ბაღში მიდი და სარკმელთან
მას უგალობე: დროა, მზად იყოს საქორწინო
თავსასთუმალი; შენთან იქნება შენი სატრფო, მალე, სულ მალე“.

– კარგ ლექსებს წერდა შეშლილი ირლანდიელიც, – წარმოთქვა თვითკმაყოფილმა ფაუსტულუსმა და ირინეოს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ქართველი გენიოსი უფრო ადრე შეეცადა ბუნების ძალების ადამიანის სამსახურში ჩაყენებას, ვიდრე ირლანდიელი.

– ახლა კი საქმეზე გადავიდეთ, – დასძინა ქალაქის თავკაცმა და შეხურებული შეგირდისთვის საქმის ვითარების გაცნობას შეუდგა.

– ამჯერად ქალაქში ვიღაც ტიპი გამოჩენილა, რომელსაც ირგვლივ თავისი ქადაგებებით უამრავი ადამიანი შემოუკრებია. ამბობენ, რომ ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობს და ლიტერატურაშიც ძალიან კარგად ერკვევა. შენ გევალება, რომ შეისწავლო, რამდენად საშიშია ეს ადამიანი საზოგადოებრივი წესრიგისათვის და იმ ჰარმონიისათვის, რომლის დამკვიდრებასაც უკვე ათასწლეულებია გენიალური ტვინების ჭყლეტა და ოკეანეებზე მეტი სისხლის დაღვრა დასჭირდა. მიდი და მის რომელიმე ქადაგებას დაესწარი, ვნახოთ, რა ინტელექტუალური საგანძურის პატრონია, –

ბატონი ფაუსტულუსი მშვიდად საუბრობდა და შუათითს სავარძლის ტყავის სახელურის დაბოლოებას ნერვიულად უხახუნებდა, თანაც ისე, რომ ვერავის დაენახა.

– სულ ესაა, ბატონო ხელმძღვანელო?

– დიახ, სულ ესაა, მიდი, საქმეს შეუდექი.

როდესაც ირინეოსი შენობას ტოვებდა, IT მხარდაჭერის სპეციალისტი შეხვდა, რომელიც კარგა ხნის უნახავი ჰყავდა და გულთბილად მიესალმა.

– როგორ გიკითხო, სუბატომური ნაწილაკების რისხვავ? ისევ ძველი სპეციალობით მუშაობ?

– კარგად ვარ, შენ როგორ ხარ? ჰო, ისევ ძველი სპეციალობით ვმუშაობ და მანამ ვიმუშავებ, სანამ ვირუსებს არ მოკლავენ, ვირუსებს კი ვერასდროს მოკლავენ.

თანამშრომლის ამ გონებამახვილურმა პასუხმა ირინეოსი აღაფრთოვანა და გამხიარულა კიდეც.

* * *

შუადღე იყო. მზე მიწას კანს აძრობდა და ქუჩა ფუსფუსებდა. უეცრად ცა და მიწა გაქრა, მათ სინათლე მიჰყვა, სინათლეს – ირგვლივ არსებული ხეები და ყოველი მცენარე, ხეებსა და მცენარეებს – მზე... გაქრა მზეც და ირგვლივ წყვდიადმა დაისადგურა.

ირინეოსი წყვდიადში ხედავდა, როგორ აღარ არსებობდნენ ფრინველები და ცხოველები. გაუჩინარდნენ ადამიანებიც.

აღარ არსებობდა შენობები, მანქანები, ჟრიამული, ფაციფუცი, აყალმაყალი, დავიდარაბა. არაფერი, არაფერი აღარ არსებობდა.

მთელი სამყარო თავისი ყველაფრით და არაფრით ირინეოსში მოქცეულიყო და სადაც იყო აფეთქდებოდა. აორთქლებულიყო ღმერთიც, რომელიც თავისივე შექმნილი სატანითურთ ირინეოსში გადასახლებულიყო.

უცნაურ ხილვებში ჩაძირული ჩინოვნიკი იმ შეგრძნებამ გამოაფხიზლა, რომელიც რაღაცის ძებნისას მოგვეძალება ხოლმე, უფრო სწორად, იმის შიშით, რომ დანიშნულების ადგილს არ გავცდეთ. გამოფხიზლდა და შეამჩნია, რომ თაგვისფერი აგურებით ნაშენ, ორსართულიან, მოძველებულ შენობას მისდგომოდა.

შენობაში შევიდა და პირველივე კარზე დააკაკუნა. კარები უცნობმა, ძალიან მოწესრიგებულმა ქალბატონმა გაუღო და იკითხა, რა გნებავთო.

ირინეოსმა შეატყობინა ვისაც ეძებდა და თავის მხრივ, საოცრად გამოპრანჭული ქალბატონის პასუხს დაელოდა.

ქალბატონმა დასძინა, რომ მქადაგებელს, რომელიც ძალიან პუნქტუალური ადამიანია, გვერდით ოთახში იპოვითო. როგორც აღმოჩნდა, ჩვენი გაპრანჭული ქალბატონი ამ შენობის მეპატრონე იყო და ოთახებს აქირავებდა, ხოლო ერთ-ერთი „მინდა ვიყო ბილი გრემისთვის“ მიუქირავებია. ქალბატონმა ასევე აღნიშნა, რომ მქადაგებლის ოთახიდან ხმაური არასდროს გამოსულა და მის აუდიტორიას

არასდროს შევუწუხებივართო. ირინეოსმა გაიფიქრა: „დამდგარ წყალში ბევრი ბაცილა“ და მქადაგებლის მიმართ კიდევ უფრო მეტი ინტერესით განეწყო, თუმცა ფიქრებში იქვე გაიაზრა, რომ შეიძლება „დამდგარ წყალში რომ ბევრი ბაცილაა“, მისი მეტაფორული მნიშვნელობით ესეც თამაში იყოს და დამკვირვებლის გასაბითურებლად მოწყობილი ხრიკიო. ასე იყო თუ ისე, ახალგაზრდა ჩინოვნიკმა დაუკაკუნებლად შეაბიჯა აზრის სიღრმეების წვდომითა და ტანჯვის მანიით შეპყრობილთა ბუდეში და ცარიელ სკამზე მოთავსდა.

ირინეოსი მისდამი გამოჩენილმა უყურადღებობამაც გააოცა, თითქოს, არც არავის დაუნახავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ აუდიტორიისთვის მრევლის შემომატების ტენდენცია უჩვეულებრივეს მოვლენად ქცეულიყო.

ახალგაზრდა ჩინოვნიკი კიდევ უფრო გაოგნდა, როდესაც ქადაგების მოსმენა დაიწყო. ორატორი, რომელსაც სახე ჩონჩხადქცეულ თავის ქალას მიუგავდა და ტანი როსინანტს, მართლაც ორატორი იყო და ეტყობოდა, რომ ლაპარაკი უდიდეს სიამოვნებას გვრიდა. ისიც ნათელი იყო, რომ ამ ადამიანს არავის გადმობირება, ან მონუსხვა არ სურდა და უბრალოდ საკუთარ ცოდნას ამოწმებდა. იგი ამოწმებდა, რამდენად საფუძვლიანად ჰქონდა გააზრებული ის, რაც წაეკითხა და რამდენად შესწევდა უნარი, ეს ყოველივე საკუთარ გონებაში დაელაგებინა და მწყობრად გადმოეცა. ირინეოსს გაახსენდა, ოდესღაც ერთ წიგნს რომ კითხულობდა, თუ კარგად ახსოვდა, სარტრის „გულისრევას“ და მორიგი ეპიზოდის გააზრებისთანავე, როგორი საოცარი განცდა იწვნია, თითქოს, ისიც სარტრად იქცა, თითქოს, ისიც გენიოსი გახდა, რადგან გენიოსის ნააზრევს ჩასწვდა. მაშინ პირველად გააცნობიერა, რომ წიგნს თვითშეფასების ასამაღლებლად კითხულობდა, თუმცა ერთ დროს, სხვების მოსანუსხად და მოსათვინიერებლადაც იმეცნებდა.

– „არ შეიძლება, ღმერთი სული იყოს, რადგან თუ ის სულია, ესე იგი, რაღაცაა, ესე იგი, რაღაცას წარმოადგენს.

ის, რაც რაღაცაა, ვიღაცამ შექმნა და ის, რაც ვიღაცამ შექმნა, არ შეიძლება უკვდავი იყოს.

თუმცა როგორც ჩვენ ვიცით, ღმერთი უკვდავია, მაგრამ არა, ღმერთი ხელთუქმნელი „არაფერია“, აბსოლუტური სიცარიელეა.

რადგანაც უფალი ხელთუქმნელი „არაფერია“, როდესაც ვკვდებით, როგორც „არაფრის“ პირმშონი, მსოფლიო სული მაინც ნახლდება, რადგან „არაფერი“ არ შეიძლება გაქრეს.

უსასრულო, უთვისტომო, უარაფრო „არაფერი“.

ამიტომაც სიტყვა „ღვთისმოშიში“ იმდენად ცუდი შინაარსის მატარებელია და ეს სიცუდე იმდენად ზედაპირზე ტივტივებს, რომ მის მანკიერ დატვირთვაზე არც კი გვიფიქრია. როგორ შეიძლება, „ხელთუქმნელი არაფრის“ გვეშინოდეს“? – ორატორმა ათწამიანი პაუზა გააკეთა, აუდიტორიას, რომელიც მონუსხული უსმენდა, თვალი მიმოავლო და ქადაგება განაგრძო, თუმცა სასაუბრო თემა რადიკალურად შეცვალა და ამჯერად მსჯელობა სულ სხვა საკითხზე წამოიწყო (ეს ყველაფერი უინტერვალო ლექსს მოგაგონებდათ და ნათელი იყო, რომ ორატორს არავის გადმობირება არ სურდა, რადგან მას არ ჰქონდა აუდიტორიის ერთი მწყობრი, კონკრეტული ნააზრევით მოხიბვლის სურვილი).

– „სამყაროს შევიწროების ერაში ვცხოვრობთ, როდესაც ყველაფერი ერთმანეთისკენ მიიწევს, ასკდება და იზიდავს.

სამყაროს გაფართოების ერაში რომ ვიყოთ, სიყვარული და მიზიდულობა აღარ იარსებებდა.

პირიქით, ადამიანები ციური სხეულებივით განიზიდავდნენ ერთმანეთს და საკუთარი სიმარტოვისკენ უკიდეგანო არაფერში დაინთქმებოდნენ.

თუ ყველაფერი პირიქითაა? იქნებ სამყაროს გაფართოების ერაში რომ ვცხოვრობთ, ერთმანეთიც იმიტომ გვენატრება?

ჩემო ბეჯითებო, მოდით, ერთი წამით „ვეფხისტყაოსანი“ პირუკუ გავიაზროთ, არ გაინტერესებთ ასეთ შემთხვევაში მისი ფაბულა როგორი იქნება? აი, მაგალითად, ყველაფერი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთს მისვლითა და ქორწილით რომ დავიწყოთ“, – ჩამოაყალიბა ორატორმა და აუდიტორიის მოსაზრებას დაელოდა.

– კი მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ უპირველეს ყოვლისა „ვეფხისტყაოსნის“ ფუნდამენტური იდეა უნდა გვესმოდეს, რათა შემდეგ შედარებითი ანალიზით ისიც დავადგინოთ, თუ რას მივიღებთ მისი ბოლოდან თავამდე გააზრებით, – საკმაოდ აუღელვებლად თქვა ერთ-ერთმა დამსწრეთაგანმა, რომელიც გოგონა გახლდათ და რომელსაც სახის ყოველი ნაკვთი ნატიფი ჰქონდა, თუმცა მისგან სიცარიელის მეტი მაინც არაფერი გამოსჭვიოდა და ერთიანობაში სულაც არ იყო მომხიბლელი.

– მაინც როგორ ფიქრობ, რაში მდგომარეობს „ვეფხისტყაოსნის“ ფუნდამენტური იდეა? – იკითხა ორატორმა და პასუხს სიკვდილმისჯილივით დაელოდა.

გოგონამ ფეხზე წამოდგომის გარეშე დაიწყო.

– ერთ დროს, რაღაც, რაც აზრზე ადრე არსებობდა, აფორიაქდა, ისე აფორიაქდა, როგორც ბავშვი, რომელიც დედის მუცლიდან აპირებს გადმოსახლებას და გასეირნება მოინდომა, რათა გმირობებით მოეპოვებინა სიყვარული. მაშინ არ არსებობდა ღრუბლები, გრიგალები და გალაქტიკური შეჯახებები, მაშინ სამყარო ერთი დიდი ელექტრონული ბაღი იყო, სადაც ვერავინ აზროვნებდა, აქ მხოლოდ გრძნობდენენ. და იგრძნო ჩვენმა სულმა, რომ გამგზავრების ჟამი დამდგარიყო. ისე მოსწყდა მშობელს, როგორც გემი სწყდება ხოლმე სახლეულმობეზრებული მეთევზეებით სავსე სანაპიროს და სიმარტოვეში აპირებს შეცურებას.

და ის, რაც თუ ვინც აზრზე ადრე არსებობდა, უკიდეგანო უსასრულობაში აღმოჩნდა (ზუსტად ისე, როგორც ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმრის გემი ოკეანისფერ მარტოობაში). იყო სიმარტოვე აუტანელი და სუბატომურ ზვიგენთა კასტა, რომელიც მარტოობაშიც არ ასვენებდა აბსოლუტს და ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ჩვენი აბსოლუტიც იბრძოდა, ომობდა, მარცხდებოდა, ისევ იმარჯვებდა, როგორც ერთმა პოეტმა თქვა, დღეში ათასჯერ ეცემოდა და ათასჯერ უყვარდა, თუმცა ათასივეჯერ მხოლოდ ის ერთი და ათასივეჯერ მხოლოდ მისთვის ეცემოდა (ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარს, რომელიც თითქოს გემმა შეიხიზნა, ისე ეხეთქებოდა უფლისგან უაზროდ გადაბერილი ტალღები, როგორც აბსოლუტს და მაშინ ვინ შექმნა ტალღები, ვინც იმაზე ადრე არსებობდა, ვინც აზრი შობა?),

მაგრამ ის წინააღმდეგობებს არ ეპუებოდა, წინ მიიწევდა და მისი არსებობიდან ბოლო უჯრედი რომ დარჩენილიყო, მაინც მიაღწევდა საშოს, რომელსაც მოსწყდა და დაუბოლოებელი მონატრების დაბოლოებითაც დატკბებოდა.

ეს არის ჩემთვის „ვეფხისტყაოსნის“ ფუნდამენტური იდეა, – დაასრულა გოგონამ უკვდავ პოემაზე საუბარი და მსმენელების გამოძახილს დაელოდა.

აუდიტორია ოდნავ დაბნეული, მაგრამ აღფრთოვანებული შეჰყურებდა ორატორს. დაბნეული იმიტომ, რომ ვერაფერი გაიგეს შეთხზულიდან, ხოლო აღფრთოვანებული იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მესიის სულიერმა შვილმა იმდენად დიდი მჭევრმეტყველებითი ოსტატობით წარმოსთქვა, ციცერონიც კი მოიხიბლებოდა.

ასევე ოდნავ თავდახრილმა მქადაგებელმა თავი ასწია და უმანკოებისთვის ბრძოლაში დაჯილდოებულ პუდიციციას ერთადერთი კითხვა დაუსვა:

– პუდიციცია, უკან დაბრუნებისას, ვინც აზრზე ადრე დაიბადა, რა ადგილები მოინახულა? სანამ თავის ნაწილს, თავის პირველად სხეულს საბოლოოდ შეერეოდა, მონასტრისკენ მიმავალ გზაზე, რომელი სივრცეები იხმობდა?

პუდიციციამ ისე სწრაფად უპასუხა ამ სხვებისთვის მეტად გაუგებარ კითხვას, რომ თითქოს, წინასწარ იცოდა, სულიერი მამა რას ჰკითხავდა.

– მონასტერში მისვლამდე აზრზე ადრე დაბადებულმა შეიარა იმ ქორწილებში, სადაც ერთ დროს გამომთვრალა და პატარძლებით მოხიბლულს, საოცარი ლექსები უთქვამს, უფრო სწორად პატარძლებისთვის მიუძღვნია, რომლებიც უსხეულოდ უსხეულოს შეჰყვარებია. შემდეგ ქორწილებით გამომთვრალს, ათას მზენარევ, ლამპიონებგამოკიდულ ქუჩებში ხეტიალი მონდომებია და უხეტიალია კიდეც, სანამ აისი არ დაცეცხლისფერებულა წვიმისფერ სახურავებზე. აისს გვერდით ორი ბროწეულისფერი მერანი ხლებია, რომლებიც მომნუსხავი სანახავნი ყოფილან, – მჭევრმეტყველურად ჩამოარაკრაკა პუდიციციამ.

– და მარადიული მშობლისკენ მიმავალ გზაზე, საროსკიპოში არ შეუვლია? – იკითხა გენიალურმა პასტორმა და პასუხს ჩვეულებრივი მოკვდავის გამომეტყველებით დაელოდა.

– არა, მოძღვარო, სანამ მშობლისკენ მიმავალ გზას დაადგებოდა, ყველაფერი ენახა უკვე, ყველაფრისგან დაღლილიყო, ყველაფერი მობეზრებოდა, გაყინულიყო და გასევდიანდაბრძენებულიყო.

– გასაგებია, ჩემო მორჩილო გოგონავ (თუმც მოძღვარს არასდროს უთხოვნია შეგირდისთვის მორჩილება, ან ჩემი შეგირდი გახდიო. ასე მხოლოდ იმიტომ მიმართავდა, რომ თავად პუდიციციას სიამოვნებდა).

ჩვენი დაბნეული ირინეოსი დარეტიანებულ მოკრივესავით იდგა (შინაგანად ბარბაცებდა, მაგრამ არ იმჩნევდა და იდგა) და ფიქრობდა, რომ საგიჟეში მოხვდა, სადაც კეთილი და გულწრფელი (გულწრფელობამ არ მოგატყუოთ) გიჟები ბინადრობდნენ, რომლებიც საფრთხეს არ წარმოადგენენ. რატომღაც, შეცბუნებულმა ჩინოვნიკმა გადაწყვიტა, რომ რასაც თავად სრულყოფილად ვერ სწვდება,

არ შეიძლება საზოგადოებისთვის საშიშად ჩაითვალოს.

* * *

ირინეოსმა უმძაფრესად შეიგრძნო მოახლოებული დაღლილობა და ფიქრობდა, სახლში მანამდე მივაღწიო, სანამ უძალობა ცუნამივით წამლეკავსო. მიუყვებოდა მოოღროჩოღროებული, საშუალო სიმაღლის სახლებს შორის ქუჩას და საკუთარ სახლზე ფიქრობდა, ასევე ფიქრობდა მორჩილის მონაჩმახზე და კიდევ იმაზე, რომ ქვეყნად გამოსასწორებელი არავინ და აღარფერი დარჩა, რომ თავგანწირვამ აზრი დაკარგა, რადგან გადასარჩენიც აღარავინაა. ირინეოსი იმ უფუნქციოდ დარჩენილ მძიმე ინდუსტრიის წიაღში ამოზრდილ მეტალის საწარმოს თანამშრომელს დამსგავსებოდა, რომლის ხელობაც რობოტს შეასწავლეს და უსულგულო რობოტიც ძე კაცისას უყოყმანოდ ჩაენაცვლა.

რა ცხოვრება მოვიდა, ხიფათს ეძებ და არ არის, ჯვარზე გინდა გაცვან და ყველა ისე გაზარმაცებულა, რომ ადამიანის ჯვარზე გაკვრაც ეზარებათ, – ეს იყო ბოლო ფიქრი, რომელიც ახალგაზრდა ჩინოვნიკს საკუთარი სახლის ჭიშკრის გადაკვეთამდე ხუთი წამით ადრე გაუელვა.

ირინეოსმა სახლის რამდენიმე ნაწილი გადაკვეთა და თავის ოთახში შევიდა, რომელიც მახრისფერ უდაბნოში ოაზისად ეჩვენა.

მკვდარივით დაეძინა. დაძინებამდე გაიფიქრა, ხვალ დილით ბაბუა იოსებმა ყავაზე რომ დამპატიჟოს, რა თემა შევარჩიო სალაპარაკოდ და კიდევ, ეს კაცი ყოველთვის დილას, მაინცდამაინც სამსახურში წასვლამდე რატომ მელაპარაკება ამ მეტად საჭირბოროტო და უმნიშვნელო საკითხებზეო.

ირინეოსი არ შემცდარა. როგორც კი გაიღვიძა და ასიდან ერთამდე დაითვალა, კარზე კაკუნი შემოესმა. კარი უმალ გააღო და ბაბუა იოსების წუთითბედნიერებამოპოვებულ სახეს შეეფეთა, რომელიც დილის ყავაზე ეპატიჟებოდა.

– ათ წუთში შენთან ვიქნები, ბაბუა იოსებ, კარგი? – ჰკითხა მოკრძალებით მხცოვან მეზობელს, პასუხს არ დაელოდა და თავის ოთახში დაბრუნდა, რათა სიკვდილმოწვეულ მეგობართან ასულიყო.

ამასობაში, ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი სევდით სავსე ოკეანეში მიირწეოდა და თავის მყუდრო კაიუტაში, რომელიღაც წიგნს კითხულობდა. ერთი სული ჰქონდა, როდის დაასრულებდა, რომ მომდევნო დაეწყო, თითქოს, წაკითხული წიგნების კოლექციას აგროვებს და ასე რეალიზდებაო. ორი გვერდიღა დარჩენოდა. რაც უფრო უახლოვდებოდა დასასრულს, მით უფრო ჩქარობდა, ეს კი ბუნებით დინჯს ხელს უშლიდა წაკითხულიდან აზრის გამოტანაში, ამას ცოლის სრულყოფილი მონატრების განცდაც ემატებოდა, რაც საბოლოო ჯამში მისთვის აუტანელი გახდა და კითხვაც სწორედ მაშინ შეწყვიტა, როდესაც ნაწარმოების დასრულებამდე ორიოდე აბზაციღა დარჩენილიყო. წამოდგა, სააბაზანოში გავიდა, სახეზე ცივი წყალი შეისხა, კაიუტაში დაბრუნდა, ყველასგან მიტოვებული შლეგის არასრულფასოვნების კომპლექსებით გაძეძგილი ქაღალდის ყუთი აიღო და ბოლო აბზაცი ძალიან ნელა, ხმამაღლა და დინჯად ჩაიკითხა.

შემდეგ ფოლიანტი დახურა და ცოლზე ფიქრი გამარჯვებულისა და დაღვინებული კაცის გამომეტყველებით განაგრძო.

* * *

ირინეოსი ბაბუა იოსებთან დაუკაკუნებლად შევიდა. ოთახში ტელევიზორი იყო ჩართული და რომელიღაც პოლიტიკური გადაცემის წამყვანი კომფორტულად ცხოვრებისთვის საჭირო ნიღბებს კერავდა. ირინეოსმა უხერხულობისგან მხცოვან მეზობელს ჰკითხა, რას უყურებო (არადა, თავადაც ხედავდა რასაც უყურებდა) და სავარძელში მოკალათდა.

ბაბუამ უხერხულობის არგადაფარვის მცდელობით ლაპარაკი უმალვე წამოიწყო.

– როგორ ხარ, ჩემო ირინეოს, სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრდა?

ირინეოსი ასეთ ფილოსოფიურ კითხვას, თანაც ასე უცაბედად დასმულს, არ ელოდა, მაგრამ არ დაიბნა (წამით გაიფიქრა, არ ეგონოს დუელში გამოწვევა შემაშინებსო) და მხცოვან ფილოსოფოსს მიუგო, რომ რადგანაც სიცოცხლისგან დაღლა ამაოებაა, არა, არ დავღლილვარო.

– როგორ მიდის გაწონასწორებული სამყაროს ცოტათი გაუწონასწორებლად ქცევის მცდელობა? – თვითკმაყოფილი კაცის სახით იკითხა ბაბუა იოსებმა და ყბის კუნთები დაჭიმა.

– მგონი გინდოდა გეთქვა ჰარმონიულ სამყაროში დისჰარმონიის შემოტანის საქმე როგორ მიდისო.

– ჰო, ჰო, ეგ მინდოდა.

– ყველაფერი ისეა შედუღებული და შეწებებული, რომ რთულია მისი დანაწევრება, განშორება, როგორც გენებოს.

ირინეოსი ბატონ ფაუსტულუსთან და ბაბუა იოსებთან ყოველთვის ისე ლაპარაკობდა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო.

მათთან საუბრისას თანამოსაუბრის განცდების გამოსაცნობად თანამოსაუბრის კანში შეძვრომა და ამ ჭრელი სამყაროს მისი თვალით დანახვა სულაც არ სჭირდებოდა. მან ბატონი ფაუსტულუსისა და ბაბუა იოსების გულისთქმანი ხშირად მანამდე იცოდა, სანამ მეგობრების თავში აზრებად აიშლებოდა.

– კონსტანტინე დიდის, ან ადოლფ ჰიტლერის ძალაუფლება რომ გქონდეს, სამყაროს მაინც ვერ გადმოადუღებ-გადმოაწებებდი? – ბრძნული გამომეტყველებითა და პოლიტიკოსის მკაცრი იერით იკითხა ბაბუა იოსებმა.

– მე ვფიქრობ, რომ არც კონსტანტინე დიდს და არც ჰიტლერს სამყაროს დანაწევრება, რომ შემდეგ კვლავაც შეეკოწიწებინათ, არ ნდომებიათ.

მათ უფრო ძველი სამყაროს იუდაისტურ-ბარბაროსული მითოსის ნამსხვრევი მასალით ახალი სამყაროს შობა სურდათ.

– უფრო ძველის შთანთქმა ახალი ვირუსით და ამ ვირუსის ძველი სამყაროს სარკით გამოკვება, – თითქოს შეგირდს შეუსწორა ბაბუა იოსებმა.

– ირინეოს, მამა გახსოვს? – სალაპარაკო თემა გადაიტანა ყველა ეპოქის მარადმა პირმშომ (ბაბუა იოსები), მაგრამ გადაიტანა კი? ეს კიდევ საკითხავია.

– არა, არ მახსოვს, მაგრამ ბუნდოვნად მაგონდება დედასთან დროგამოშვებით ვიღაც მამაკაცი რომ

დადიოდა, ხოლო დედა ანტიდეპრესანტებს სვამდა. ამ კაცთან ყოველგვარი შეხების შემდეგ დედა სუსტი და სულგამოცლილი ხდებოდა. ამ კაცისგან არაფერი გამოსჭვიოდა, არც გულთბილი და არც გულცივი მოპყრობის სურვილი, არც სიყვარულისა თუ აგრესიის გამოხატვა, აბსოლუტურად არაფერი.

სანამ ირინეოსი ბაბუა იოსებს იმ ამბავს უყვებოდა, რომელიც არ ახსოვდა, ბაბუა იოსები გასუსული ისმენდა ნაუბარს და ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც აქვს პოლიტიკოსს, რომელმაც წინასაარჩევნო კამპანიის მსველობისას გამარჯვების შესახებ წინასწარ იცის.

– კეთილი, ჩემო ირინეოს, ანაზღაურება ხომ გყოფნის? – უცებ ბაბუა იოსებმა კიდევ ერთხელ შეცვალა სალაპარაკო თემა. ირინეოსს კი სახე გაუბრწყინდა, როდესაც შენიშნა, რომ ღრმა ფილოსოფიური საკითხებიდან ყოველდღიურ გენიალურობაში გადმოიჭრნენ.

– აი, გადასახადები რომ შეამცირონ, ძალიან კმაყოფილი ვიქნებოდი ჩემი სამსახურით.

– როგორი იქნებოდა სამყარო ფულის გარეშე? – იკითხა ბაბუა იოსებმა და შეამჩნია, როგორ არ ესიამოვნა ირინეოსს ბაბუა იოსების ეს მცდელობა – გენიალური ყოველდღიურობიდან უაზრო ფილოსოფიაში კვლავაც კარის შეღება.

– სისხლიანი, – მოკლედ მოუჭრა ირინეოსმა და დასძინა, რომ ასეთ საკითხებზე ფიქრის სურვილიც კი კარგა ხანია გაქრობოდა.

ჩვენმა გონებაგავარჯიშებულმა ჩინოვნიკმა დატოვა სახლი, რომელშიც გაიზარდა და სამსახურისკენ გასწია. მას ბატონი ფაუსტულუსისთვის უამბიციო და გენიალური მქადაგებლისა და მისი ღრმად განსწავლული შეგირდების შესახებ ანგარიში უნდა ჩაებარებინა.

ცხოვრების ყველაზე მაღალმნიშვნელოვანი მოვლენის მოლოდინში ირინეოსს ყოველთვის ცუდად ეძინა და რაც უფრო მეტად ახლოვდებოდა დიადი დღე, მით უფრო უფუჭდებოდა ძილი, რადგან ქვეცნობიერში იცოდა, რომ ეს მოვლენაც ამაოებაა.

იცოდა და სულ არ ზრუნავდა, რომ დამფრთხალ ძილს ის დღე არ ჩაეშხამებინა.

ახლა კი, როდესაც მაღალმნიშვნელოვანი დღეები აღარ არსებობდა და ზოგადად, ასეთი სამყაროც გაუფასურებულიყო, მშვიდად და უდიდესი ნეტარებით ისვენებდა ხოლმე.

გავარვარებულ ქუჩაზე მისეირნობდა ირინეოსი და დაინახა, შვიდ წლამდე მოზარდს კინაღამ როგორ დაეჯახა სადღაციდან უეცრად გამოვარდნილი ველოსიპედი.

მოზარდმა დაშავება რეფლექსური მოძრაობით აიცილა და წამის მეათედში დაბრძენდა კიდეც.

მიუახლოვდა ქალაქის ერთადერთი ადმინისტრაციული ორგანოს შენობას, რომელში შებიჯებამდეც გაიფიქრა, გარდახვეწაც განდიდების მანიაო და შენობაში უხალისოდ შეაბიჯა.

* * *

შეაბიჯა თუ არა ბატონი ფაუსტულუსის კაბინეტში, დაწესებულების ხელმძღვანელი წამოიმართა და მოსულს შეეგება, თითქოს ზუსტად იცოდა, რომ ის ამ დროს უნდა მოსულიყო (ირინეოსის მიერ კარის შეღება და ბატონი ფაუსტულუსის ფეხზე წამოდგომა თითქმის ერთდროულად მოხდა).

ქალაქის თავკაცს ხელში კარგა ხნის მოძველებული წიგნი – ანატოლ ფრანსის „ანგელოზთა აჯანყება“ ეჭირა, რომელშიც ფანქარი გაერჭო (სავარაუდოდ სანიშნედ ფანქარს იყენებდა).

ყვითელში დაძვრებოდა მსოფლიო სული, ფოთლიდან ფოთოლში და გრილდებოდა მაგრილებელი შემოდგომა.

ან რაღა დროის ანგელოზების დაცემა, თუ სამეფო ტახტისთვის ბრძოლა იყო, სამყაროში სრული ჰარმონია და ბედნიერება გამეფებულიყო, რომელსაც ყოველგვარი შედევრი თუ გენიალური აზრი მოსპობით ემუქრებოდა, ემუქრებოდა და ვერ სპობდა. ადამიანებს აღარ ეცალათ დიდებული იდეების გამო თავის გასაწირად (თუმცა ისინი იდეის ბრწყინვალებას აღიარებდნენ და მისი სიდიადით ტკბებოდნენ კიდეც), სატრფოების ციხე-კოშკების ქონგურებიდან მოტაცებისთვის, გადაცხელებულ, ნაცნობ ქუჩებში ხეტიალისას მზისმიერი სევდის შესისხლხორცებისთვის, გადაბირებისთვის, გადმობირებისთვის, ვინმეს გაკიცხვისთვის, ლანძღვისთვის, სიყვარულისთვის, ჯამბაზობისთვის, თუ გმირობისთვის (ჯამბაზს რომ თავის დროზე სიხისტე გამოეჩინა და გმირები საკუთარი ნებისთვის დაექვემდებარებინა, ანუ გაეცურებინა, შემდეგში თავისივე გენიალურობის დასაფარად ნიღბების გამოწრთობა აღარ დასჭირდებოდა. იცხოვრებდა მდიდრულად და მეფურად, მაგრამ უფრო მაინც მეფურად).

ფოთოლში ყვითელი ფერი მზის გულიდან მოვიდა და კვლავაც უბრუნდებოდა მშობელს.

ამ სამყაროში ყოველივე ეს სასაცილოდ ჩანდა, მაგრამ ბედნიერება მაინც კამკამებდა, ანუ საკუთარ თავზე მზრუნველობის თავიც ჰქონდა და ძალაც.

– დაბრძანდი, ჩემო ირინეოს, როგორ მიდის შენი არსებობა?

– ძალიან კარგად, ბატონო ხელმძღვანელო, თავად როგორ გიკითხოთ?

– მეც კარგად ვარ. რა გამოირკვა, მესიაა ჩვენი პასტორი? – მონა ლიზას ღიმილით იკითხა ბატონმა ფაუსტულუსმა.

გრძელდებოდა მაგრილებელი შემოდგომა სველ ქვიშებში, მზეებში, ქარებში, გადაქანცვის თერმოპილებში.

– არა, არა მარტო მესია არაა, არამედ მესიობანას თამაშიც კი არ უნდა. ამაზე არც კი უფიქრია.

– მაშ, რისთვის ირჯება?

– ერთობა, – მოკლედ მოუჭრა ირინეოსმა.

– ოჰ, ერთობა, გალაკტიონივით და ბოდლერივით ერთობა, – წამოიწყო ფაუსტულუსმა და თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, თვალები გაუშტერდა.

– ვერაფრით გამიგია, – განაგრძობდა ის, – თუ გართობა გინდა, რატომ არ უნდა ადგე და ყოველ დილით ივარჯიშო, ფილმებს უყურო, წიგნი წაიკითხო, ან შეჭამო და უბრალოდ მოინელო. ვერ ვიაზრებ რა გართობაა, როდესაც ალექსანდრიის მთელ ბიბლიოთეკას იმეცნებ და შემდეგ სხვების ცხოვრებას სხვებსვე აცნობ, თავს ახვევ და მათ ცხოვრებასაც რევ.

– ბატონო ფაუსტულუს, ვიცი, რომ ფრიად ნაკითხი და განსწავლული ადამიანი ხართ, მაგრამ ვხედავ, რომ ცოტა ეპოქის მაჯისცემა გაგქცევიათ. დღესდღეისობით, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის

წაკითხვაც ჩვეულებრივი გართობაა, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს, როგორც, მაგალითად, დილით ვარჯიში, ან ჭამა-მონელება.

ყვითელ ქარში დაჰქროდა ირინეოსი, სისველეში, სიცივეში და გადაფენილი მზესა და მისსივე სხეულს შორის, სადღაც ყველაფრის საწყისში.

თუ ვინმე ვარჯიშობს, თავისთვის ვარჯიშობს და თუ ვინმე წაკითხულს სხვებს უზიარებს, ამასაც თავისთვის აკეთებს. აქ მესიობანას თამაში არავის სურს. ნიცშეს შემდგარი ზეკაცის ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც ბევრი ქრისტე ბინადრობს, მაგრამ ქრისტე განდიდების მანიის გარეშე, ქრისტე თაყვანისცემის სურვილის გარეშე, ქრისტე გახედვნის სურვილს მოკლებული.

– ანუ არაფერია საშიში, როგორც ჩანს ამის თქმა გსურს.

შემოდგომა „ირმის ნახტომს“ შეიგრძნობდა და სუფიური სინატიფით ფარფატებდა.

– დიახ, ბატონო ქალაქის თავო, ზუსტადაც რომ ამას ვამბობდი, – მიუგო ნაძალადევი ღიმილით აწითლებულმა ირინეოსმა და ჰკითხა, კიდევ სხვა საქმეც ხომ არ გაქვთო.

არაო, უთხრა ფაუსტულუსმა და თავის შეგირდს გამოემშვიდობა.

გადამხმარი ფოთლები მოხუცთა თავშესაფარში გადახიზნული, მოხუცი ცოლ-ქმარივით შესცქეროდნენ ერთმანეთს. ქრებოდა კანონები, წელიწადის თვეები და სამყარო მარადიულ შემოდგომად იქარგებოდა.

* * *

უნდა დავბრუნდეთ, რომ არ გავკერპდეთ.

მხოლოდ ასე დავუსხლტებით სიცარიელეს.

ბედნიერებამ შეჩვევა იცის, როგორც უბედურებამ,

ამიტომ უნდა დავბრუნდეთ, რომ არ ავქარავანდეთ.

ბედნიერებაზე შეჩვევა გაცილებით სახიფათოა.

მე მახსოვს, როდესაც დამარცხებული სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდა გამარჯვებულს მიუახლოვდა და გამარჯვება ხალისიანად მიულოცა.

მას ხომ გამარჯვება მობეზრებოდა.

დამარცხება მისთვის სიახლე იყო და ხარობდა ამ სიახლით.

ვინც ძროხა და ღორი გააჩინა, იმანვე დაგამძიმა – ამ საშუალოსტატისტიკური ადამიანისთვის მიუწვდომელი ფიქრებით იტანჯებოდა ჩვენი ირინეოსი (არადა, ეგონა, რომ ფიქრების ტყვე კარგა ხანია აღარ იყო. მან დაძლია ალკოჰოლიზმისა და ფიქრების დამანგრეველი შემოტევები).

თავის კარ-მიდამოში შევიდა, მობეზრებული, მაგრამ მაინც სანუკვარი ეზო გაიარა და თავის საწოლს – სიმშვიდის ბუდეს ზეწარივით გადაეფინა.

მანამდე კი მაგიდას მიუჯდა და ეს ლექსი დაწერა:

„გადმოლორწილი უსახობის ფერად სარკისგან,
ჩვენ გავმთლიანდით, გავსპეტაკდით, გამოვღმერთკაცდით,
სიკვდილი ყველას, შოლტვა ვისაც ჩვენი სახითაც
ჰყავს ქვეყნად მტერი, განსასჯელი და კელაპტარი!
არ დავბრუნდებით, არ განვდგებით საფიცარისგან,
არ მივატოვებთ რაც გვიყვარდა და დეკადანსით
შევხვდებით ერას დაფერდებულს, მერე ქარითაც
გავსწევთ ქროლვისკენ მეგაფრთებით, ან მეგაფანდით!
(გრიგალობდა ხორშაკი, მე კი გადავიხარე)
დახლეჩილი ლერწამი ცეცხლსა შიგან ვიწვოდი,
არ დავდგები მაინცა ბრძოლის მეიავნანედ,
ვიყო თქვენგან დევნილი, თუმცა ფრიად მრისხანე!
აღარ ვიცი, უფალო, რატომ გამამთლიანე,
რად გადმომრგე შენსავე სულის ამონაზიდში,
მეგაფრთებით ვიარე, ვერ ავფრინდი, ვერა, მე
და ჩავვარდი სამყაროს ყოველ ამობარდნილში“!

ლექსის წერისას საოცარი რამ ხდება, როდესაც სული გეიზერივით ამოხეთქს ხოლმე და სივრცეს უერთდება, განსხეულდება, ასოებად იქცევა.

,,პოეზია ასოებად გადმოსული სულია“, – ბუტბუტებდა ახალგაზრდა ჩინოვნიკი, თუმცა იცოდა, რომ პოეზიის ეპოქა დასრულებულიყო.

ფიქრობდა ლექსს რა დავარქვაო და რატომღაც „მეგაფრთები“ დაარქვა, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ შესხმოდა „მეგაფრთები“, როგორ გამოიყენებდა. ის უფრო ფრენოფობიის მსხვერპლი იყო, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე.

ამაზე არც კი უფიქრია. უბრალოდ, ოცნებობდა მეგაფრთებზე.

ამ დროს კი ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი ლიბიის ოქროს საწმისისფერ სოფლებში დაეხეტებოდა და ერთი სული ჰქონდა გემი როდის დატოვებდა მისრათის პორტს.

მზეაზელილ ქვიშაში კუზიანი და ბრმა გლახაკი უძველესი ტაძრის ნანგრევებს მიყრდნობოდა და ოფლში გახვითქული შემწეობას ითხოვდა.

მეზღვაური გლახაკს მიუახლოვდა, ჯერ ჩაიმუხლა და წამებულის სახის ნაოჭებს დააკვირდა, შემდეგ საფულე ამოიღო, საფულიდან ფული და გლახაკს გადასცა, რომელიც ქრისტეს მიერ თვალახელილ ბრმადშობილს მოგაგონებდათ.

როდესაც ირინეოსმა გამოიღვიძა, ქალაქ სააეშაგოს საშუალო სიმაღლის ყოველ სახლს დრამერი წვიმა ასკდებოდა, რომელიც არ გეხება, მაგრამ გაგრილებს და როკვისკენ მოგიწოდებს.

* * *

უქმე დღე იყო. ირინეოსმა გაღვიძებისთანავე გააცნობიერა, რომ მისი ქვეცნობიერი მთელი ღამის განმავლობაში რაღაცაზე ფიქრობდა, მაგრამ რაზე, საკმაოდ ბუნდოვნად ახსოვდა, თუმცა ეს ახარებდა კიდეც, რადგან უკვე იცოდა, რას გააკეთებდა ამ დღეს – ქალაქის ცენტრალურ პარკში წავიდოდა და ქვეცნობიერიდან ქვეცნობიერისვე სურვილებსა და მისწრაფებებს ჯერ ცნობიერში გადმოალაგებდა, შემდეგ მწყობრ აზრებად ჩამოაყალიბებდა და ბოლოს, საჭიროების შემთხვევაში – ცხოვრებაშიც გამოიყენებდა.

საკმაოდ მზიანი ამინდი მეფობდა. ჩვენი მთავარი გმირიც მთავარი პარკისკენ მიემართებოდა და წუხანდელი სიზმრის (ან შეიძლება ხილვის, ზუსტად ვერავინ იტყვის) ხორცშესხმას ცდილობდა.

მას გონებაში უკიდეგანო, მიწადახეთქილი სივრცე ამოუტივტივდა, რომლის შუაგულშიაც ძალიან დაკუნთული, გოლიათური აღნაგობის, მაგრამ თვალებჩაშავებული, მზერადაცარიელებული არსება იდგა და მთელი ძალით და ღონით ღრიალებდა, თითქოს ლამობდა, რომ ხილულ სამყაროს გასცლოდა, ჯერ უცნობ სამყაროში გადასახლებულიყო, იქაურ ცეცხლის მდინარეებში ხელახლა დაბადებულიყო და ღმერთთაგანაც უძლეველი კვლავ დედამიწაზე დაბრუნებულიყო, რათა არსებობის სტრუქტურა შეეცვალა, თუმცა ეს ყველაფერი თითქოს, საქმე კი სულ სხვა რამეში იყო.

როდესაც ვძრწით, ვაქტიურდებით და საკუთარ შესაძლებლობებს საუკეთესოდ წარმოვაჩენთ. ეს შეგრძნება კი (საკუთარი ძალების წარმოჩენის შესაძლებლობა) მაგნიტივით გვიზიდავს.

სინამდვილეში კი არ მიველტვით, რომ გვეშინოდეს, არამედ მოგვრილი შიშით ჩვენში სასიცოცხლო ძალების გააქტიურების პერსპექტივას ვეძებთ, მაგრამ გულის სიღრმეში ირინეოსის სიზმრის თუ ნახევრადსიზმრის გმირი ვეღარც შიშს განიცდიდა, ვეღარც ერთფეროვნების შეგრძნება სტანჯავდა და მასში ყოველგვარი სურვილი ჩაძაღლებულიყო.

ის სიზიფეს მიმსგავსებოდა, რომელიც ლოდს მექანიკურად ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა, სიზიფეს, რომელსაც ლოდი რომც ეპოვნა, აზრი აღარ ჰქონდა, რადგან კლდეები გამქრალიყო. ის სიზიფეს მიმსგავსებოდა, თუმცა უსურვილო სიზიფეს და კლდე და ლოდი რომც მოეხელთებინა, ლოდის თრევისა და კლდის დალაშქვრის სურვილი აღარ გააჩნდა.

და თუ ერთფეროვნების განცდაც აღარ სტანჯავდა ირინეოსის ალტერ-ეგოს, საერთოდ რაღა აზრი ჰქონდა ყოფიერების შეცვლას და ახალი არსებობის დაფუძნებას? მოძრაობა ხომ ერთფეროვნების განსაქარვებლად დაიწყო, ერთფეროვნების განსაქარვებლად დაიღვარა გმირების სისხლი, დაინგრა ქალაქები, შეილეწა ციხე-კოშკები, დატევებულ იქნა სამშობლოები და დაწყებულ იქნა უცხო მხარეებში ნოსტალგიის ძალით აღსავსე ოდისევსების, დონ კიხოტების, დომენიკოების, ლოიოლების, მაგელანების, კოლუმბების, ბინგემებისა და მარკო პოლოების უსასრულო მოგზაურობა. ერთფეროვნების განცდამ გაყარა პირველი მიჯნურნი და ამ გაყრამ შვა პოეტური სევდა, სულ სხვანაირი, აღმაფრთოვანებელვნებიანური, მოლაყბურმოქაქანური, დამატყვევებელმომაბეზრებელი

და ობელისკთააღმმართველი.

რამ აქცია ეს ადამიანები მეოცნებე იდეალისტებად, სიღარიბემ, ეროსითა და თანატოსით მოთამაშე დიდოსტატმა ქალებმა, სიმხდალემ, ხილულ სამყაროში ფეხის ვერმოკიდებამ, თუ წმინდა წყლის ადამიანური გრძნობებით გაჟღენთილ ყოფაში საკუთარი თავის ვერპოვნამ? თუმცა მათ ამ ყველაფრის მოპოვებისთვის ბრძოლის დაწყება ერთფეროვნების განცდამ აიძულა, რომელიც ირინეოსის სიზმრის თუ ნახევრადხილვის გმირს აღარ აწუხებდა.

,,ღმერთო, დამიბრუნე ერთფეროვნების განცდა“, – ფიქრობდა ირინეოსი საკუთარ სიზმარში დადგმული სპექტაკლის გმირის ამ ამოძახილზე და იაზრებდა, რომ სადღაც და რატომღაც შეცდომა იქნა დაშვებული. ალბათ, როდესაც ეს სამყარო იძერწებოდა, აზრი, რომელიც აზროვნების შემადგენელია, საერთოდ არ არსებობდა, ყველაფერი „არხდებოდაში“ ხდებოდა და სიტყვა „გაურკვევლობა“, ან „პარადოქსიც“ მაშინ იბადებოდა. ცნება „ყოვლისშემძლეობას“ სიკეთე ებრძოდა, ხოლო სიკეთეს ყოველი ცნება, რაც „ყოვლისშემძლეობამ“ შვა. ჩვენი სიკეთე „ყოვლისშემძლეობას“ ურჩევდა, რომ უარეყო თავის აბსოლუტური უძლეველობა და მხოლოდ კეთილშობილის ტიტულს დასჯერებოდა.

ახალგაზრდა ჩინოვნიკის ქვეცნობიერის ბუნდოვანი ამოძახილები, თითქოსდა, ცნობიერის მიერ მოქანდაკებული, თითქმის ისეთივე ბუნდოვანი დარჩა, როგორიც ნეირონთა პირველსაწყისში ბინადრობისას. ფიქრობდა, ბატონმა ფაუსტულუსმა მალე რამე ახალი და დაძაბულად შესასრულებელი დავალება მომცეს, რომ ცოტათი ამოვისუნთქო და მივიწყებას მივეცეო.

სახლში მივიდა თუ არა, კომპიუტერი ჩართო და შეტყობინებებს გადახედა, მაგრამ პირველ რიგში ქალაქის თავკაცის მონაწერს.

* * *

ბატონი ფაუსტულუსის წერილს დაწვრილებით გაგაცნობთ;

„ჩემო გადაღლილო შეგირდო, ერთ მეტად მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხზე გწერ. ჩვენი ქალაქიდან ას კილომეტრში მდებარე ქალაქ საბუჩალაკოში ვიღაც მწერალი გამოჩენილა, რომელსაც ზედმეტსახელად სანკუსი დაურქმევია და ადგილობრივ ინტელიგენციას ამუნათებს, უწიგნურებად და უნიჭოებად, კარის მწერლებად და პოეტებად, უსულოებად და უგულოებად მოიხსენიებს. მაგ ქალაქში მრავალი მსტოვარი მყავს და რამოდენიმე მათგანმა მაცნობა, რომ ჩვენი სანკუსი წარსულში ლოთი ყოფილა, მაგრამ გალოთებამდე – მღვდელი. მღვდლობისთვის რომ მიუნებებია თავი, ცოლი შეურთავს, თუმცა მალევე გაყრია და უმალვე მეორე ცოლიც უპოვია. ვერც ამ მეუღლესთან უგრძვნია ბედნიერება და წერა დაუწყია. მეორედ შეუღლების შემდეგ, თურმე რობოტების მწარმოებელ ქარხანაში მუშაობდა, სადაც ქრისტეობანას თამაში მოუნდომებია და იქიდანაც გამოუგდიათ. თავიდან მისი მწერლობის არავის დაუჯერებია, ხოლო ნელ-ნელა და მწერლის შეუპოვრობის წყალობით მიმდევრებიც გასჩენია. მოკლედ, ჩემო გამორჩეულო შეგირდო, კიდევ ერთხელ გევალება ჭარბი დისჰარმონიის ჰარმონიზაცია.

ჩვენი მღვდელლოთმეოჯახე მწერალი სოციალურ ქსელ „მატრაკვეცებში“ სანკუსის ფსევდონიმითაა, მოძებნე, იპოვე და საქმე მოაგვარე“.

წერილის წაკითხვისთანავე ირინეოსმა სოციალურ ქსელ „მატრაკვეცებში“ სახელი „სანკუსი“ აკრიბა და მის პროფილზე შევიდა.

პირველი, რაც თვალში მოხვდა, რაღაც ნაწერი იყო, რომელიც სანკუსს ახლახან განეთავსებინა, თუმცა მიეწერა, რომ ეს ძალიან ადრე დავწერეო. გთავაზობთ სანკუსის ჩანახატს:

„ყველა რასათა შორის კავკასიელებში ტესტოსტერონი ჭარბობს, რის გამოც ისინი გადაჭარბებულად აგრესიულები, ექსცენტრიულები და ტირანიულები არიან, მაგრამ თუ მათ უკიდეგანო ფსიქოსომატურ შესაძლებლობებს სწორად წარვმართავთ და კაცობრიობის სამსახურში ჩავაყენებთ, წარმოუსახავ წარმატებებს მივაღწევთ. კავკასიურ ქვეყნებში პრივილეგირებულ წრეებში ამის შესახებ იციან და იმის მაგივრად, რომ ამ ღვთიური წარმომავლობის ხალხის წმინდა ენერგია ადამიანთა საკეთილდღეოდ გამოიყენონ, გულუბრყვილო მოსახლეობაზე ათასი პროპაგანდისტული ხრიკით მანიპულირებენ და ააგრესიულებენ, რათა ხალხს გაღორებული, ფრიად განსწავლული და ვერაგი კასტის დამხობისთვის არ ეცალოს, ხოლო მოქალაქეები (სამოქალაქო უფლებების გარეშე) ერთმანეთს ხოცავდნენ“.

ირინეოსი ნაწერით იმდენად მოიხიბლა, რომ გადაწყვიტა ქალაქ სააბუჩალაკოში ჩასულიყო და ამ ადამიანის შესახებ ადგილობრივების აზრი მოესმინა.

ზუსტად ერთ საათში სააბუჩალაკოში იმყოფებოდა და გამოკითხვას აწარმოებდა, რაღა თქმა უნდა ბატონი ფაუსტულუსის მსტოვრების მეთვალყურეობით.

ადგილობრივებმა ირინეოს უამბეს, რომ ოდესღაც ჩვენი მწერალი მღვდელი ყოფილა და პატიოსნად ემსახურებოდა მიღმურში მყოფთ. როდესაც საპატრიარქოში დიდი სკანდალი აგორებულა და ზოგიერთი მღვდელთმთავარი მხილებულა აღსარებების დოსიებად „ქვეყნის ზომიერების დაცვის სამსახურისთვის“ ჩაბარებაში, უმხელია საპატრიარქო, საჯაროდ გაუკიცხავს ასეთი უღირსობა და მღვდლობაზეც უარი უთქვამს. სანამ მის მიერ საპატრიარქოს მხილება აცუნამდებოდა, ჩვენი მწერლისთვის ეპისკოპოსობა და ოქროს ტახტი შეუთავაზებიათ, მაგრამ ამ მეტად მაღალსულიერ მწერალს ამაზეც უარი უთქვამს, ჰოდა, კი მოუხსნიათ მღვდლობიდანაც.

როცა რობოტმწარმოებელ ფირმაში დაუწყია მუშაობა, იქაც მეტად ფილოსოფიური შერკინება მოსვლია ქარხნის დირექტორთან, რომელიც მისთვის ცუდად დამთავრებულა. ჩვენს გმირს ქარხნის დირექტორისთვის პირში მიუხლია, რომ ის კაცობრიობის სულის გაქვავებასა და დამსხვრევას უწყობს ხელს, რაც დანაშაულია. ქარხნიდანაც გამოუგდიათ სანკუსი, დარჩენილა ულუკმაპუროდ და სწორედ მაშინ მიუყვია ხელი წერისა და სოციალურ ქსელებში აქტიურობისთვის. ამბობენ, რომ ის მანამდეც წერდა, მაგრამ ნაწერებს მალავდა, რადგან შესაბამის დროს ელოდებოდა, წუთს, როდესაც გაზულუქებული, სულგამოცლილი ინტელიგენცია დაეცემოდა და ამ დაცემის ფონზე მისი ღვთიური შემოქმედება ათმაგად აკიაფდებოდა.

როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი მოახერხა კიდეც, გაიფიქრა ირინეოსმა. თანამოსაუბრეებს ჯერ მადლობა გადაუხადა, შემდეგ კი დაემშვიდობა.

საგანგებო დავალების შესასრულებლად წარმოგზავნილი თვითმფრინავის მსგავს მანქანას მიუახლოვდა, ტელეფონი გახსნა, სოციალურ ქსელში „სანკუსი“ იპოვა და შემდეგი სიტყვები მიწერა: „კარგი ადამიანი ხართ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ თუ გაკერპდებით, ყველაფერს წყალში ჩაყრით. გისურვებთ ამაოების განცდის გამძაფრებას“.

* * *

ირინეოსი სანაპიროზე ბეტმენისებურად მიჰქროდა. საღამოს ცხრა საათიც არ იქნებოდა. მის წინ, უფრო სწორად ვერტიკალურად, საოცარი სანახაობა იშლებოდა. მზის ჟირაფისფერი მცხუნვარება ზღვაზე ორხავასავით გაგებულიყო და გედისებრ ქიმმოღერებულ გემებს თითქოს მზეზე ეპატიჟებოდა.

რატომღაც ბაბუამისის მონათხრობი გაახსენდა და ზოგადად ირინეოსს ბაბუა მხოლოდ ამ მონათხრობით ახსოვდა. ერთხელ, ბაბუამ დაუძახა და მოუყვა ამბავი, რომელიც ღამით, მიკარგულ და მისთვის უცნობ გზატკეცილზე შეემთხვა. თურმე ირინეოსის ბაბუას ჩაბნელებულ გზატკეცილზე მანქანა გაფუჭებია და ირგვლივაც არავინ ყოფილა (ახალგაზრდა ჩინოვნიკს წამით გაუელვა, რომ ჯოჯოხეთიც არარსებულში გადასახლების შიშია. არარსებულის ხორცშესხმაა, რომელშიც პირველად ვართ და ვთრთით. ჯოჯოხეთი გადაკარგვის თრთოლვაა).

ჩვენი მანქანადაზიანებული და გულაჩქარებული ბაბუა კარგა ხანს ელოდა ვინმეს გამოჩენას, რომ ამ ჯოჯოხეთური ბედუკუღმართობისგან დაეხსნა, მაგრამ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, არც არავინ გამოჩენილა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, შორიდან პლასტმასას სფეროსებრ ყუთებში დატყვევებული ფოტონების ნათება შენიშნა და გახშირებული გულისცემაც ოდნავ შეუნელდა (თუმცა მის ქვეცნობიერში ძრწოლის ახალმა მიზეზმა გაიღვიძა. ვაითუ მოახლოებული მგზავრი ბანდიტი გამოდგაო).

მოახლოებული ავტომობილი შეჩერდა, კარები გაიღო და საშუალო სიმაღლისა და ასაკის მამაკაცი გადმოვიდა, რომელმაც ბედისგან მიტოვებული ბაბუის ამბავი მოიკითხა. ბაბუამაც უთხრა, რაც დამართნოდა. მძღოლმა სამწუხაროდ საბუქსირე თოკი არ მაქვს, თუმცა მაინც დაგეხმარები და სამშვიდობოზე გაგიყვანო. გაუკვირდა ირინეოსის ბაბუას და ჰკითხა, ნეტავ როგორო. მაშინ უცნობმა ასევე საშუალო სიგრძის დანა ამოიღო, გახსნა და საკუთარი მანქანისკენ გასწია. შემდეგ ნელი, მაგრამ ენერგიული მოძრაობებით უსაფრთხოების ღვედები გადაჭრა, შეკრა და დაზაფრული ბაბუის მანქანა თავისას გამოაბა.

როდესაც სამშვიდობოზე გავიდნენ და ირინეოსის წინაპარმა არსაიდან გაჩენილ უცნობს ვინაობა ჰკითხა, ამ უკანასკნელმა არ გაუმხილა და უთხრა, რომ სწორედ გაჭირვებაში მყოფი ადამიანის არმიტოვებაა ნამდვილი ცხოვრებაო. განუმარტა, საგანგებოდ გაკეთებული საბუქსირე თოკი თავის მანქანას შეხსნა და გაუჩინარდა.

სანამ მზის სიკაშკაშე არსებობას დროებით შეწყვეტდა, უკანასკნელად გახედა თავისივე სისხლის წვეთს – ნაძვნარის თავზე ნაძვის ხის სათამაშოსავით გამოკიდულ მთვარეს და გადაჰორიზონტდა.

როდესაც ირინეოსი ქალაქში ჩავიდა, შებინდებულიყო.

ქუჩის მუსიკოსი ვნების გარეშე უკრავდა „Shine On You Crazy Diamond“-ს და ისეთი გაყინული სახე ჰქონდა, ჯალათს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხელოვანს.

ქუჩის მუსიკოსი...

ირინეოსი მიუახლოვდა და ჩახედა თვალებში, რომელიც დიდი ხნის აფეთქებული შავი ხვრელებივით მიმქრალი იყო. ცოტა ხანს უსმინა მეოცნებე ღამის გუშაგს და შემდეგ სახლისკენ გასწია.

როგორც კი სახლამდე მიაღწია, თავისი ოთახისაკენ გაეშურა, ოთხში შევიდა, ფანჯარა გამოაღო, ცივი ჰაერი შეისუნთქა, მერე კარადას მიუახლოვდა, შუა აზიური ჰაშიში ამოიღო, ძვლისფერ ყალიონში ფხვიერი ნივთიერება ჩაყარა და ორჯერ უღრმესი ნაფაზი მოქაჩა. რამდენიმე წამში კომპიუტერს მიუჯდა და მაქს ლინდერის მონაწილეობით უხმო ფილმის ყურებით ტკბობას მიეცა.

ამ დროს ლიბიის ფარვანისფერ ქუჩებში მოხეტიალე ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი საროსკიპოს ეძებდა და როგორც ჩანს, ეპოვნა კიდეც. სანამ საგანგებოდ მოწყობილ ოთახში მაცოცხლებელ ხორციელ ვნებეს ჩაიხშობდა, ცოლის თვალებსა და თვალის ჭრილებზე საერთოდ აღარ ფიქრობდა, მაგრამ დაცხრა თუ არა, სიცარიელის პირველი მოზღვავებაც იგრძნო. გაახსენდა დღე, როდესაც ცოლს პირველად შეხვდა, რომელიც გაცნობამდე კიდევ უფრო მეტად უყვარდა.

* * *

მეორე დღეს ირინეოსს სამსახურში წასვლა შეეზარა და იფიქრა, რომ აჯანყებული მწერლის შესახებ ანგარიშს ბატონ ფაუსტულუსს სოციალური ქსელით ჩავაბარებო. ასეც მოიქცა.

„ღმერთივით ყოვლისმჭვრეტელო ფაუსტულუს, სევდიან მოგონებებს იმ წარსული დღეების არსებობა შობს, რომელიც ვერ განვიცადეთ. ასეთი დღეებიდან მხოლოდ ბუნებრივი მოვლენები გვახსოვს და ისიც ბუნდოვნად: მზე, თოვლი, შუადღე და სიგრილე, რომელიც სევდას გვგვრის.

ტკბილი მოგონებები კი წარსულში განცდილი ბედნიერი დღეებისგან წარმოიშვება.

ამიტომ უნდა ვიცხოვროთ, რომ წარსული ტკბილი იყოს და არა სევდიანი.

ჩვენი მწერალი ის კაცი აღმოჩნდა, რომელსაც არ უცხოვრია, უფრო სწორად სხვების ცხოვრებითა და საკუთარი ბუნდოვანი, გამოცარიელებული მოგონებებით უცხოვრია.

სანკუსი კარგად წერს, მაგრამ ამით საკუთარ თავს ებრძვის და უსწორმასწორობანი მხოლოდ საკუთარ სულში შეაქვს, ხოლო ადამიანები, რომლებიც თითქოს მას საფრთხედ მიიჩნევენ, სინამდვილეში მისით ერთობიან.

იმის თქმა მინდა, რომ სააბუჩალაკოში ყველაფერი წესრიგშია და საყოველთაო ჰარმონიას არავინ არღვევს“, – ირინეოსმა წერილის წერა დაასრულა და გაგზავნის ღილაკს თითი დააჭირა.

* * *

ჩვენს ბიჭუნას ბაბუა იოსები დიდი ხნის უნახავი ჰყავდა და გადაწყვიტა, რომ მოენახულებინა.

დაურეკა და მხცოვანი მსტოვარი მოიკითხა. აღმოჩნდა, რომ იგი სახლში იმყოფებოდა და დაუყოვნებლივ გასწია მისკენ.

დაუკაკუნებლად შეაბიჯა ოთახში და დაინახა, ნახევრადმთვლემარე მოხუცი, როგორ მისჩერებოდა ჩართულ ტელევიზორს, თუმცა არ უყურებდა. სახლს ეტყობოდა, რომ მეპატრონეს მისი დალაგების მცდელობა ჰქონდა, მაგრამ ბოლომდე ვერ მიეყვანა, ანუ სახლი ნახევრადდალაგებული იყო.

– როგორ გიკითხო, გადაღლილო ირინეოს?

– და საიდან იცით, რომ გადაღლილი ვარ?

– არ ვიცი, უბრალოდ ვვარაუდობ. მახსოვს ეპოქა, როდესაც ღმერთი ევედრებოდა ადამიანს, გთხოვ, ასე ცუდად ნუ იქცევიო. იმ ეპოქაში გადაღლისთვის დროც არ რჩებოდა, რადგან ადამიანი არათვითკმარი იყო და თვითკმარობისთვის, სისავსისთვის, გამთლიანებისთვის იბრძოდა, სისხლს ღვრიდა, იტანჯებოდა, ლოცულობდა, პოეტობდა, ჯვარს ეცმებოდა, მაგრამ მიზანი ჰქონდა და ხარობდა. ჩვენ გვხიბლავს სხვებში ამტანობა და გამძლეობა. გამაკარი ჯვარზე და თუ არ დავიჩივლებ, შეგიყვარდები, ხოლო ეს სიყვარული შენში პოეტს შობს და შემამკობ რობაიებით. ჩვენს დროში კი ყველაფერი გაწონასწორდა, შეივსო, დაკმაყოფილდა და გაირინდა. ახლა აღარავის აკრავენ ჯვარზე, რადგან არავინაა ამის ღირსი, ჰოდა, გაქრა გოდება, თანაგრძნობა და პოეზია.

– მესმის, რასაც ამბობთ, მაგრამ როგორც სამყარო და ფიქრებია უსასრულო, ასევე უსასრულოა მათში მომწყვდეული არსებობაც. არსებობაც სამყაროსთან და დროსა და სივრცესთან ერთად ფართოვდება, – უთხრა საკუთარი მოსაზრებით კმაყოფილმა ირინეოსმა.

– ჩვენს ეპოქაში შენ უნდა დაუტევო შენი ზე-ეგო და ეგო, დარჩე მხოლოდ იდად და იდური არსებობის ფარგლებში გიყვარდეს.

ჩვენი ეპოქა იდების ურთიერთობის ეპოქაა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე იდების.

უსიყვარულო, ცივი, ვნებიანი და სასიამოვნო, – თქვა თითქოს დამწუხრებულმა იოსებმა და ირინეოსის მიმოხილვას დაელოდა.

– ჩემი ცნობიერი ყოველთვის რაღაც სხვას ითხოვდა, ვიდრე მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებულ, მიწიერ ცოდნას და რომ ითხოვდა მიღმურში შეჭრას და იქიდან ყველასთვის უცნობი უნარების გამომზეურებას, ეს მიღმურის არსებობაზე მეტყველებდა. ბურანში ვხედავდი საკუთარ სიკვდილს და პირველად ვიჯერებდი, რომ წინასწარმეტყველური ნიჭიც რეალურია. ასევე რეალურია შეუსწავლელის გათვითცნობიერებაც, იმის გააზრება, რასთანაც შეხება არასდროს გქონია, სხვაგვარად, ადამიანი თავის პირველ წიგნს ვერ დაწერდა. ცოდნა სამყაროში ვარსკვლავური მტვერივითაა მიმოფანტული და მართალია, რომ უშორესი სივრცეებიდან ჩვენამდე რთულად და დიდხანს მოდის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, აღწევს და გვასხივოსნებს. წიგნი მაგიური ყუთია, რომელიც ცოდნას ინახავს, ჯინივით დამწყვდეულია მასში და ერთი სული აქვს, როდის გადმოსახლდება ჩვენში, როდის განივრცობა. ცოდნა კოსმოსური პანდემიაა. მე ეს ყველაფერი გავიარე და გავიაზრე კიდეც, რომ როგორც თქვენ აღნიშნეთ, უსიყვარულო, ცივი, ვნებიანი და სასიამოვნო ურთიერთობები ჩვენი არსებობის უფრო

მნიშვნელოვანი შემადგენელი, ან თუ გნებავთ მდგენელია, ვიდრე ღრმა ოკულტიზმი, ფილოსოფია, ან დიადი მხატვრული, თუ სამეცნიერო ლიტერატურა.

– მე მესმის შენი, ჩემო ჭკვიანო ბიჭო, – საუბარი დინჯად წამოიწყო ბაბუა იოსებმა, – მეც ვიყავი შენი ტოლი და ათასობით წიგნი შევიმეცნე, თუმცა მაგალითად, დიდი ტკივილის ჟამს, როდესაც მოწინააღმდეგეს ჩვენი საცოდაობით გული უჩუყდება, ვებრალებით და პატიებას გვთხოვს, მხოლოდ პატიების არმიღებით რომ არის შესაძლებელი მოქიშპის გასხივოსნება, წიგნმა ვერ მასწავლა. ასეთი გენიალური სიღრმეების აღმოჩენა მხოლოდ ადამიანებთან ურთიერთობითაა გონმისაწვდომი, რადგან ყოველივე ეს სწორედ რომ ადამიანებშია. რაც შეეხება შენს სულიერ ტრანსფორმაციას, მაგას დრო გვიჩვენებს, რა გაიაზრე და რა ვერ.

– მგონია, რომ მე ეგეც მომბეზრდა.

– რა, ადამიანებთან ურთიერთობა?

– ჰო.

– ჩვენ ყველა გვიყენებს, მათ შორის საკუთარი თავიც კი...

– ეგ როგორ?

– მაგალითად, შენი ალტერ-ეგო გეუბნება, რომ თუ ერთ თვეს დაისვენებ, დასალევით უფრო ისიამოვნებ, ვიდრე ყოველდღე რომ სვამ. სინამდვილეში ის ამას საკუთარი ჯანმრთელობის დასაცავად გეუბნება, რადგან შენ კი არა, ის სვამდა და ჯანმრთელობაც მას შეელახა.

– და როდესაც საკუთარ მეში მარტო რჩები, მაშინ უფრო დიდი შესაძლებლობა არსებობს, რომ ალტერ-ეგომ შეგაცდინოს, – თქვა ლოყებშეფაკლულმა ირინეოსმა.

– თუ საკუთარ მეში ისე რჩები, რომ ამას არავის აყვედრი, მაშინ არა.

– ანუ მარტოობის არ უნდა მეშინოდეს? – იკითხა ამჯერად მოხუცის გონების უსხარტესად მუშაობით გაოცებულმა ირინეოსმა.

– ვფიქრობ, რომ შენ გონიერი ბიჭი ხარ და არ უნდა გეშინოდეს.

ასე დასრულდა ეს მეტად ღრმა, მრავალწახნაგოვანი, უინტერვალო და ფილოსოფიური დიალოგი.

ირინეოსს ძალიან მოუნდა დალევა და უბანში არსებული, პატარა და მყუდრო სამიკიტნოსაკენ გასწია.

* * *

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ვისაც არ უყვარს დაცემული ადამიანი, ვერასდროს შეიყვარებს მცირეწლოვან ბავშვს. ჩვენს ახალგაზრდა ჩინოვნიკს ადამიანები უყვარდა, მაგრამ განსაკუთრებით დაცემული ადამიანები და მცირეწლოვანი ბავშვები.

მას გონებიდან არ ამოდიოდა მოგონება, როდესაც ერთ მშვენიერ, სექტემბრის დღეს ზღვაზე მიდიოდა და თვითგორიაზე შემდგარი მცირეწლოვანი, დაახლოებით ოთხი-ხუთი წლის ბავშვი შენიშნა, რომელიც ისე მიჰქროდა, საკუთარ უსაფრთხოებაზე სულ არ ზრუნავდა, არადა, ხედავდა, რომ

ადამიანებით სავსე ქუჩაზე, თანაც ტურისტულ სეზონზე, თვითგორიის ჭენების არც დრო იყო და არც ადგილი, მაგრამ მცირეწლოვანნი ხომ სიკეთისა და ბოროტების მიღმა არსებობენ. მათი დევიზი უმარტივესია: „მე მინდა, მე მსიამოვნებს და მორჩა“.

ასეა დაცემული ლოთიც, ან თუნდაც ნარკომანი.

სამიკიტნოში შესული ირინეოსი დაბერებული იმედივით გაფერმკრთალებულიყო. მისი ფიქრები მინებებისთვის ემზადებოდნენ, აღარ ბზუოდნენ, უფრო სწორად, იცოდნენ, რომ მალე აღარ იბზუილებდნენ, რადგან კოსმოსური ღრუბლის ჩამონაწური-ალკოჰოლი დააზავებდათ. დააზავებდათ დაცხრომის ნეტარებასთან.

ირინეოსი არ გამომთვრალა, მაგრამ შეზარხოშდა. მან სხვადასხვა დასალევი აურია და დაახლოებით ღამის თეთრთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც სახლისკენ გამოემართა.

გადაღლილმა ჩინოვნიკმა ისე გაიარა ეზო, რომ ბაბუა იოსებისკენ არც კი გაუხედავს. სიგრილე იყო იმ დღეს, სიკვდილის წინ რომ გაგაცივებს, ისეთი. სიგრილე, რომელიც სიცივეში გადადის.

უცებვე გაუელვა, რომ ასეთი რამ მის ცხოვრებაში პირველად ხდებოდა.

ერთ წუთში ირინეოსი თავის მყუდრო ოთახში იმყოფებოდა და მარიხუანის მოსაწევად ემზადებოდა.

სამმა ღრმა ნაფაზმა სრულიად შთანთქა. უცებ იფიქრა, გონაშვილის „წინწყაროს“ მოვუსმენო, მაგრამ იგრძნო, რომ ფეხის თითები ეფხანებოდა.

სიცივე იყო იმ დღეს, სიკვდილისას რომ გყინავს, ისეთი სიცივე. სიცივე, რომელიც სიკვდილში გადადის. ახლოვდებოდა ზამთარი.

ირინეოსმა ფეხის თითების ფხანა დაიწყო და მზად იყო თითების დასატყავებლად. წარმოიდგინა, თითების მოფხანა რაოდენ დიდ ნეტარებას მოგვრიდა და გააჟრჟოლა. ის ხედავდა საკუთარ თითებს, ნეტარებისგან დასისხლულსა და მინაბულს.

და ქრებოდა არა თოვლი, ღმერთის მიერ შექმნილი (რადგან ჯერ კიდევ არ გათოვებულა, მუხლებს იმაგრებდა ზამთარი), არამედ თავად გალაკტიონის „თოვლიც“.

რაღაც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის რომ არის, სიგრილესა და სიცივეს შორის რომ არსებობს, ის დღე დამდგარიყო, დღე ნანატრი, ნაოცნებარი და ვერარიდებულ-ვერმოშორებული.

ამ დროს კი ჩვენი ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი მონატრებული ცოლის (თუ მეუღლის) მონატრებას ეთიოპიური იერის ქალებში ცვლიდა.

და ვინ იზრუნებდა ახალი დროის დაცემულ გმირებზე? სიბრალულით მოზღვავებული სიყვარული, თუ გალიგვული ზეადამიანები?

ღრეობდა მიწა, ღრეობდა და გამარჯვების მოახლოებას ზეიმობდა.

* * *

გამთენიისას იოსების ოთახში ტელეფონმა დარეკა.

– როგორ გიკითხოთ, ბატონო იოსებ? – გაისმა ფაუსტულუსის რიხიანი და ცხოველმყოფელი ხმა.

– ოჰ, რამდენი ხანია არ გაგხსენებივართ, ბატონო ფაუსტულუს, რამ შეგაწუხათ? – უგულოდ ჰკითხა იოსებმა.

– არაფერმა არ შემაწუხა, პირიქით, თითქმის უმიზეზოდ გირეკავთ და მგონია, დრო დადგა. ჩვენი პრინცი თვითმკვლელობისთვის ემზადება.

– ვფიქრობ, ჯერ ადრეა.

– კეთილი, მაინც გვქონდეს ერთმანეთთან კომუნიკაცია.

– კეთილი, ბატონო ფაუსტულუს, – მიუგო იოსებმა და ქალაქის თავკაცს მშვიდად დაემშვიდობა.

* * *

ახალგაზრდა ჩინოვნიკმა ქალაქის ერთადერთ და ერთი მხრივ, აქამდე ყველაზე მნიშვნელოვან, მაგრამ მეორე მხრივ, უკვე არასაჭირო ადმინისტრაციული ორგანოსკენ გასწია. მას ბუნდოვან ბავშვობაში აგონდებოდა (თუ არარსებულს ეძებდა) ცივი საზამთრო, ჩაშაქრული ყავა და პატიმარი ქმრების სურვილით აღზევებული ქალთა მარაქა, რაღაც ენატრებოდა, მაგრამ რა – ვერ გაერკვია.

თითქმის მოგონებებიდან წაშლილ ეზოში დარბოდა ცხვირ-პირგამურული ბავშვი, რომლის მშობლები ბედნიერნი იყვნენ, მაგრამ ბავშვის მოვლის თავი მაინც არ ჰქონდათ.

და სად იყო მამამისი? ზეცას უახლოვდებოდა ირიონეოსის უცნობი მამა, რომელიც ემბრიონულად ახსოვდა, უახლოვდებოდა და მზად იყო უფლის შესამუსრად, ხოლო გაყინული ირინეოსი ცივი შენობისკენ მიემართებოდა, რომელშიც არგაყინვისთვის მებრძოლი, გათოშილი ეპოქის გამომჩარხველი ელოდა.

ახსენდებოდა დედა, რომელსაც არასდროს ნდომებია ღმერთობა. ის დღენიადაგ მიწიერების საცეცებს ებრძოდა და იბრძოდა თავისი მიმტოვებელი ქმრის მიტოვებული პირმშოს გადარჩენისთვის.

„ცივ ნისლში შეზელილმა თქორმა
გადაათეთრა სივრცე და შვა ლოშქრი.
ვიმოგზაურე დედაჩემის ბავშვობაში და გული ამიჩქარდა.
მას კი კალთაში ჩემი შვილი ეჯდა
და მანქანით მივქროდით იმ სანაპიროს გასწვრივ,
რომლის დანახვითაც საზაფხულო არდადეგებიდან
დაბრუნებულ დედაჩემსაც გული უჩქარდებოდა.
ო, როგორ გავდა ეს გულისცემა ითაკისკენ მიმავალი
ოდისეას გულისცემას, ან კიდევ არჩიბალდისა...
გავისეირნე მამაჩემის ბავშვობაშიც და დავბრუნდი
1976 წლის ზაფხულში, ხოლო ქალაქი უდაბნოდ მეჩვენა.
ტანს ზემოთ შიშველი მამაჩემი თავის მეგობრებთან ერთად

დიადი ურჩხული ერთი პატარა პროვინციის პატარა ქუჩის
ერთ პატარა ეზოში ფეხბურთს თამაშობდა და თანასულებში
უცხო ვირუსებს ებრძოდა, რომლებიც იმპერიამ დაავირუსა.
დადგება დრო და ჩემი შვილიც მიეხიზნება ჩემს ბავშვობას.
უცებ გამომეღვიძა. გავხედე ზურმუხტისფერ ზღვაში მცურავ
ქალაქს.
გავხედე და გავიაზრე, რომ დედაც, გრილი სანაპიროც
და ჩემი მშობლების
ბავშვობის გათვითცნობიერებაც მკვეთრად უნდა აღმექვა,
დეტალურად დამემახსოვრებინა, რომ მომავალში,
როდესაც ტკბილ
და სევდიან მოგონებად მოვიდოდა, ბუნდოვანი არ ყოფილიყო
და დიდხანს
გაგრძელებულიყო, ასოებად ქცეულიყო, პოეზია დარქმეოდა“.

– ჩვენი ირინეოსის დახუნძლული მტევნებივით აფუებულ ტვინში ასეთი სურათები იხატებოდა, რომლებიც წამის გაელვებაში ქრებოდა.

* * *

სანამ გაორებული ბიჭუნა ბატონ ფაუსტულუსს მოინახულებდა, ნაცნობ სამიკიტნოში შეიარა და სამი ჭიქა გადაჰკრა, შემდეგ სამიკიტნოს მეპატრონეს გაუბა საუბარი, რომელსაც ადამიანებთან ურთიერთობა ეზარებოდა და ირინეოსსაც რის ვაი-ვაგლახით ელაპარაკებოდა.

როგორც კი შეამჩნია ახალგაზრდა ჩინოვნიკმა „სოფელში მყოფი, რომელიც სოფლისთვის აღარ ზრუნავდა“, კიდევ უფრო მოიწყინა და გადაჰკრა და გადაჰკრა, ერთი ჭიქა, ორი ჭიქა, სამი ჭიქა...

ბოლოს, შეზარხოშებული სამიკიტნოს მეპატრონეს მაინც გულიანად დაემშვიდობა და „ქალაქის ზომიერების დაცვის სამსახურისკენ“ გასწია.

იცოდა ირინეოსმა, რომ გამოცდილ მეპატრონეს არც არაფერი დაუშავებია და არც არაფერი შეშლია.

* * *

მისავათებული „ქალაქის ზომიერების დაცვის“ სამსახურს მიუახლოვდა და ის სითეთრე იგრძნო, რომელიც ამ შენობას შიგნიდან მკვდრისფრად გადაკვროდა. შენობაში შევიდა თუ არა, მზერა მოქალაქეებს მიაპყრო, რომლებსაც რატომ ჰქონდათ სახეები შეწუხებული, გაურკვეველი იყო, მათ ხომ არაფერი აწუხებდათ.

„სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოვახერხო, რომ ბატონ ფაუსტულუსთან ურთიერთობისას ვიყო ის,

ვინც სინამდვილეში ვარ, მისი ოცნებაც ხომ ეს არის, ოცნება და არა მიზანი“, – ფიქრობდა ქალაქის თავკაცის კაბინეტისკენ მიმავალი ირინეოსი.

და ციოდა იმ დღეს, ციოდა ყველგან: გარეთ, შენობაში და ირინეოსში, არ იგრძნობოდა იმ დღეს შეხურება, გაცეცხლება და გულისცემა.

ირინეოსს სურდა გამოეცნო, რას ფიქრობდა ბატონი ფაუსტულუსი და მის ფიქრებში შედინდა.

ნეირონების კედლები ვიბრირებდნენ, როგორც დინჯად მცურავი რვაფეხის საცეცები, ოღონდ აჩქარებულ კადრში.

შემდეგ ერთი ლორწოსფერი ნეირონის გვირაბში აღმოჩნდა, რომელიც იკუმშებოდა, რათა გამქრალიყო და უეცრად მასთან ერთად გაქრობის საშიშროება თავადაც იწვნია, მაგრამ შიში გადალახა და აფეთქებისთვის, ხელახალი დაბადებისთვის მოემზადა.

– შეასრულე ბოლო დავალება? – გაისმა ფაუსტულუსის საშუალოზე ოდნავ დაბალი ხმა.

– არა, არც არაფერი იყო შესასრულებელი, – მიუგო ირინეოსმა და თითქოს, ბატონ ქალაქის თავკაცს რაღაც აწუხებსო, ისეთი შეგრძნება დაეუფლა.

– ეგ როგორ?

– როგორ და, აღმოჩნდა, რომ ცოლ-ქმარი სვამდა, ამის შემდეგ ერთმანეთს წაეკამათნენ, ცოლმა სახლი დატოვა და სადღაც სასეირნოდ წავიდა, ხოლო როდესაც დაბრუნდა, მისი გამომთვრალი ქმარი უკვე სისხლში ცურავდა.

და ზამთარი ქალაქს პირველყოფილი ადამიანივით წამოდგომოდა, რომელიც მზად იყო მამონტს შებმოდა. პირველი ზამთარივით ცივი, შიშველი და უთოვლო ზამთარი.

– და რამდენ ხანში დაბრუნდა ცოლი? – იკითხა ფაუსტულუსმა, რომელიც დაბნეულად არ გამოიყურებოდა, თუმცა სხვა მის ადგილას დაიბნეოდა.

– დაახლოებით ოც წუთში, სათვალთვალო კამერებიდან ამოღებულმა ვიდეომასალამ ასე დაგვიდასტურა, – უპასუხა ირინეოსმა.

– ესე იგი, გამოდის, რომ ამ ოცი წუთის განმავლობაში, ვიღაც სახლში შევიდა, მთვრალი მამაკაცი მოკლა და წავიდა ისე, რომ არავის დაუნახავს?

– სათვალთვალო კამერებით მოპოვებული ვიდეო-მასალა ადასტურებს, რომ ამ დროის მანძილზე გარდაცვლილთან ერთადერთი მეზობელი იყო შესული.

– გარდაცვლილი, თუ მოკლული? – მშვიდად იკითხა ბატონმა ფაუსტულუსმა.

– გარდაცვლილი, ბატონო ფაუსტულუს, – ასევე მშვიდად უპასუხა ირინეოსმა და განაგრძო, – ამოღებული ვიდეომასალით დგინდება, რომ მეზობელი მხოლოდ ოცი წამით შევიდა მასთან და ამ ხნის განმავლობაში შეუძლებელია, რომ იმდენი და იმ სახის ჭრილობები მიეყენებინა, როგორიც და რამდენიც გარდაცვლილს აქვს მიყენებული.

– კარგით, მაშინ გამოდის, რომ ადამიანს თავი მოუკლავს, – ჩაილუღლუღა ფაუსტულუსმა.

– სავარაუდოდ, მაგრამ დაზარალებულის სისხლით ლამის მოხატულია ოთახები და სისხლი (თავის დარტყმის შედეგად) აცხია სააბაზანოში წყლის ნიჟარის ძგიდესაც, რაც უფრო იმის მანიშნებელია, რომ

უბედური სიმთვრალისგან დაეცა, შემდეგ შეშინდა უპატრონოდ არ მოვკვდეო და ოთახი გატეხილი თავიდან მჩქეფარე სისხლით მოსვარა, სანამ ეზოში გასასვლელ კარამდე მიცოცდებოდა. გარდაცვლილს სხეულიც დასერილ-დაჩეხილი აქვს, რადგან სავარაუდოდ, როდესაც წყლის ნიჟარას ჩამოეყრდნო, ხელში არყის ბოთლი ეჭირა, რომელიც გაუვარდა, დაიმსხვრა და იატაკზე მღოღავი, აწ უკვე მიჩუმებული უიღბლო სასტიკად დასერ-დაჩეხა.

– არყის ბოთლი რამდენ ლიტრიანი იყო? – სკეპტიკურად იკითხა ბატონმა ფაუსტულუსმა.

– ორლიტრიანი, – თამამად უპასუხა ირინეოსმა.

– საკმაოდ მოზრდილი ყოფილა, – ჩაილაპარაკა ოდნავ შეფიქრიანებულმა ფაუსტულუსმა.

– დიახ, ბატონო ფაუსტულუს, დანარჩენს ექსპერტიზა დაადგენს, – დასძინა ირინეოსმა და სავარძლიდან წამოდგა, შემდეგ შარვალი გაისწორა და წასასვლელად მოემზადა.

და დგებოდა ხანა ყინვაში არსებული სიცარიელისა, ხოლო ზამთარი გამარჯვებას ზეიმობდა. ის მზად იყო ქალაქის ყველა მცხოვრების სიხარულს ერთად შებმოდა.

– კი მაგრამ, საითკენ მიდიხარ? – ედმუნდ ჰუსერლის მზერით იკითხა ქალაქის თავკაცმა, რომელსაც კაცობრიობის ოთხმოცდაათი პროცენტი არ იცნობს.

– სიცარიელისკენ, – გაცნობიერებულად უპასუხა ირინეოსმა (მაგრამ თავისით გააცნობიერა სიცარიელემდე გზა თუ ვიღაცები დაეხმარნენ, აღარ ახსოვდა).

– მახსოვს, მეუბნებოდი, ბაბუამ ქალაქგარეთ, სიმწვანეში ჩაფლული აგარაკი დამიტოვაო, – ამაყი და მშვიდი იერით იკითხა ფაუსტულუსმა.

– ჰო, ზუსტად მანდ მივდივარ.

და ყეფთა ზამთარი, ხოლო ქალაქი გულაგის ყველაზე ცივ საკანში ჩაგდებული პატიმარივით იყუჟებოდა, მაგრამ კედელიც მასავით ცივი იყო.

– და როდის დაბრუნდები? – ისევ იკითხა ოდნავ გაოცებულმა ქალაქის თავკაცმა.

– შეიძლება არც არასდროს, – მიუგო ახალგაზრდა ჩინოვნიკმა და ხელი გაუწოდა ხელმძღვანელს, რაღა თქმა უნდა, გამოსამშვიდობებლად.

ქალაქის თავკაცი მასთან მივიდა, გადაეხვია და ცრემლებით დაუსველა ყელი.

დაუღალავი ფაუსტულუსი თითქოს მამა ღმერთი იყო, რომელიც ძეს ჩვენთვის შესაწირად ამზადებდა, ძეს, რომელიც ქვადაკარგულ სიზიფეს დამგვანებოდა.

ამ დროს ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი გემით მოაპობდა წყლის უდაბნოებს და თავის ცოლზე ოცნებობდა (შეიძლება ქალაქზეც ფიქრობდა, მაგრამ ამაში დარწმუნებული არ ვარ).

ზოგჯერ გემბანიდან ოკეანეს ჩაამზერდებოდა, ჩაეხილვებოდა და საკმარისად გაუმჭირვალობის გამო კიცხავდა კიდეც. უფრო გამჭვირვალე რომ ყოფილიყავი და დამენახა, რაც ჩასანსლე, რაც შთანთქე, მაინც მომესურვებოდა შენში ხეტიალი? – ოკეანეს ებუტბუტებოდა მეზღვაური. მზის ბოლო ანარეკლი თეთნულდის წვერიდან მოქნეული ცეცხლის ბეჭედივით უახლოვდებოდა კუპრისფერ ზღვას, თითქოს ეკრძალვის და ეთაყვანებაო.

მალე გათენდებოდა და დაეცემოდა სიბნელე – ჩვენი მარადიული მშობელი. ამ შერკინებაში

გამარჯვებული კი კვლავაც მარტო დარჩებოდა და თავის სიცოცხლეს ისე განკარგავდა, როგორც მეფე საული ისრაელს.

მეზღვაურმა იცოდა, რომ მონატრებული ცოლის ყელის დაკოცნა დაცემის დასაწყისი იქნებოდა და ნატრობდა, ეს მოგზაურობა სიმარტოვისა უკიდეგანო გაწყალებაში, გაოკეანებაში, არასდროს დასრულებულიყო.

მაგრამ მაინც ძალას იკრებდა, ისე როგორც შვილის გადასარჩენად სასიკვდილოდ დაჭრილი მამა.

იმ დღეს მხოლოდ სიცივის ხმა ისმოდა, ისმოდა გაყინული მზის ირგვლივ მოპარპაშე, გალიგვული პლანეტების უმწეო სუნთქვასავით.

დრო აღარ არსებობდა, მაგრამ რომ არსებულიყო, დაახლოებით მეთორმეტე წლის, მეთორმეტე თვის, მეთორმეტე დღის შუადღის თორმეტი საათი იქნებოდა.

* * *

,,ადამიანს ბოლომდე ენდე და თუ გიღალატა, თვითონვე დაისჯება“, – ფიქრობდა მამაპაპისეული აგარაკისკენ მიმავალი ირინეოსი და განმარტოებას უახლოვდებოდა.

ბატონ ფაუსტულუსს კი ჩემთვის არასდროს უღალატია. როგორ ძლიერ ჰყვარებია საკუთარი თავი.

ირინეოსის ავტომობილი ბზრიალ-ბზრიალით მიაპობდა ზღვიდან არეკლილი მზის სხივებით აწაბლისფერებულ ტრასას და მზის ბოლო ბურანი დამდნარ, მდუღარე, კალიუმისფერ სივრცეს ობობის ქსელისებრ, სპილენძისფერ ამოსუნთქვებით ლეშავდა.

ბავშვობის დროინდელი დილის ნამით გაჟღენთილი სიმწვანე, ჩაფლული მსხლის ხეებითა და თხილით საახალწლო ნაძვისხესავით გაწყობილ, პატარა, მყუდრო ეზოში, რომლის ორი ბოლო, ერთი – ეზოს კიჩოსა და მეორე – ქიმის მხარეს, მწვანე გველებივით მიიზლაზნებოდა და მიდაღმართობდა, ენატრებოდა ყოფილ ჩინოვნიკს და იზიდავდა. ნალიის სუნი, როცა ღამეს წვიმა ენალებოდა, წვიმით გაჯერებული ქარი კი – ნალიას და თვითონ ნალიაშივე გასუსული იჯდა, თივისა და ხორბლის სუნში, დატუსაღებული აისის მოლოდინში.

ოდესღაც ირინეოსი ამ აგარაკზე, ერთი გადანათებული ზაფხულის დღეს, როცა მზისგან არდანდობილი, გადაბრტყელებული სივრცე მეწყრისფერდებოდა, პირველად ელოდებოდა (პირველად მაშინ დაფიქრდა ამ მოლოდინის მნიშვნელობაზე) იმავე დღის უმშვიდეს საღამოს, მოგვიანებით კი ცაზე გამეფებულ, ამაყ მთვარეს და პირველსაწყისის პირველსაწყისში – სიბნელეში კანკალით წვებოდა. მაშინ მისი ერთადერთი მანათობელი მზის ანასხლეტი, კამკამა წყალივით გამჭვირვალე მთვარე იყო.

შემდეგ იხსენებდა თოვლად ქცეულ ეზოს, სითეთრეში მარტოხელა, ლალის წითელ ბრწყინვალებასავით მომნუსხველ ბარბარისის მტევნებს და ამ მტევნებში გადარჩენისთვის მებრძოლ მოცვისფერ შაშვებს.

ჩასაფრებას, პნევმატური თოფის შეწკეპვას, დამიზნებას და წამით გარინდებას იგონებდა ირინეოსი,

როდესაც სწადდა, რომ ჩახმახის გამოკვრამდე სუნთქვა წართმეოდა და ბოლოს, ნეტარება გასროლისა, სიცოცხლის დაუფლებისა, ტყვიის სიკვდილად ქცევისა.

რატომღაც, გარდახვეწილ ჩინოვნიკს არ ენატრებოდა აგარაკზე გატარებული შემოდგომა და ალბათ იმიტომ, რომ შემოდგომის შეგრძნებას, მის გათავისებას, სულ სხვა სიბრძნე სჭირდება, უფრო დაბრძენებული, უფრო დაღვინებული, მაგრამ მაინც დაძვრებოდა ირინეოსში ბეთანიისფერი, სიკვდილის პირას მყოფი, დამჭკნარი, გამუქებული სიყვითლე (წამით გაიფიქრა: ჩემში ისევ ცოცხლობს პოეტი? აბა, რა დამჭკნარი სიყვითლე?) და გაახსენდა ლექსი, გაოკეანებულ ქალზე მიძღვნილი, ჩაფლულზე უმარტოსულეს ქვიშაში, რომელიც გამუდმებით ელოდება ოკეანისგან გამორიყულ თავის ქალებსა და წყლისგან გატაცებულ ჩონჩხებს გაუბედურებული ქმრებისა და თრთის, თრთის, რათა სილაღე არ დაკარგოს, არ დაფეთდეს, არ გადამიღმურდეს, არ გაპოეტდეს, არ გამეფდეს, არ გარაინდდეს, არ დაგლახაკდეს, არ იცოცხლოს, არ მოკვდეს – ასეთ მგრძნობიარე ქვიშაში ბინადრობდა ირინეოსის ლექსის მთავარი გმირი.

„ყველასგან მიტოვებულს, ოკეანის სანაპიროსთან გამეღვიძა.
და როდესაც მარტოობის შეგრძნება აწითლებას მიპირებდა,
შენ მომეჩვენე, ბავშვობის სიყვარულო
და ამ ოკეანურ სიმარტოვეში გავლაღდი.
გავლაღდი მაშინ, როდესაც გულს თითოეული
ადამიანის მარტოობა მიჩქარებდა, რომელიც
ოდესმე დაბადებულა და ჩვენს დედამიწაზე უცხოვრია.
მე მახსოვს ეზო, რომელშიც ერთად ვიზრდებოდით
და რომელშიც უსხეულოდ მიყვარდი...
მე მახსოვს ამ ეზოს შესასვლელის გვერდით
მდებარე პატარა სახლის შესასვლელიც
და ამ შესასვლელის ზევით დაკიდული ვაზიც.
ო, მე მახსოვს შენი თვითნაბადი თვალებიც,
რომლებიც ჩემს ტუჩებზე ფიქრობდნენ და დაცემა ეთვისებოდათ.
ო, ოკეანევ, გთხოვ, შემიერთე და დაასრულე ეს არაფერი“!

* * *

ირინეოსი მწვანე ეზოში შევიდა, რომელშიც სტაფილოსფერი, ერთსართულიანი, მოლივლივე კაფელითა და რკინასავით მყარი, სისხლისფერი ხით ნაგები სახლი თითქოს, ბავშვური ღიმილითა და მოლოდინით ეგებებოდა. ჭიშკრის მოძველებულ, მაგრამ თავის დროზე თავნება, თავისუფალი და მფლანგველი ოჯახის უფროსის მიერ შეძენილ საკეტში „ჩაქუჩით ზვიგენის“ თავივით ბოლოსმქონე გასაღები გადასწია, ეზო გაიარა და სახლის შესასვლელთან გაირინდა, ერთხელ კიდევ მიიხედა უკან,

სევდანარევი სილაღით შეპყრობილ არემარეს თვალი მიმოავლო და ზუსტად იგივე მოძრაობა გაიმეორა, რომელიც ჭიშკრის გაღებისას.

სულ რაღაც ათ წამში ჩვენი ნაადრევად დაბრძენებული, ყოფილი ჩინოვნიკი ძველმოდურად (სინამდვილეში სიტყვა „ძველმოდური“ გადაღლილმა სულელებმა მოიგონეს და არც არსებობს) შემკობილ, ჯადოსნურ სახლში აღმოჩნდა, სადაც ირინეოსის მოპირდაპირედ აღმართულ კედელზე ორი ხელიხელგადახვეული, მოკლე, მოტკეცილ შორტებსა და ასევე შემოტმასნილ, საზაფხულო მაისურებში გამოწყობილი, ათ წლამდე ბავშვის ფოტო ეკიდა. კედლის ქვემოთ კოხტა, მოვლილი, თეთრი მარმარილოს მაგიდა იდგა, მაგიდაზე ვიღაცის გადაღებული და გადიდებული, მრავალ, პატარა წერტილში დატყვევებულ მზეთა აფეთქებისფერ ჩარჩოში ჩასმული, საკმაოდ მოზრდილი სურათი მიეყუდებინათ, რომელზეც თავის მხრივ შემოდგომის ქარის მიერ გამსკდარი ატომური ბომბის ნათებისფერი ფოთლები ერთმუშტად შეკრული წამოფოთლილიყვნენ, ყვითელ სვეტად აღმართულიყვნენ და ერთმანეთს შესულებოდნენ.

ირინეოსს ისე ეძინებოდა, მანქანიდან მცირეოდენი ბარგი სახლის მისაღებ ოთახში შემოალაგა და იქვე მდგარ, წითელ დივანზე მიიძინა (ერთიც გაიფიქრა, რა მარტოსულია ეს დივანიო).

* * *

როდესაც ირინეოსს გამოეღვიძა, უმალვე ზურგჩანთა გახსნა, ცოტაოდენი საკვები ამოალაგა და ციცქვნა დაუწყო. მას გასეირნება გადაეწყვიტა და ემზადებოდა კიდეც. დაახლოებით საღამოს ცხრა საათი იქნებოდა. საკმაოდ გრილოდა. სიგრილე ძალასა და შემართებას ჰპირდებოდა, თუმც, ჯერ კიდევ იმდენად დასევდიანებულიყო, რომ ჭამის მადაც წართმეოდა (ვის წაერთმია, სევდას, ღმერთს, თუ ღმერთის მიერ შექმნილ ადამიანებს?). უღიმღამოდ აღებდა და მუწავდა პირს ირინეოსი, რომელსაც ამ დროს, ქალაქში ცხოვრებისას, მგელივით შიოდა ხოლმე, ახლა კი თავს ძალას ატანდა, რომ ეჭამა, თუმცა პირის დამუწვა-გაღებაში ნელ-ნელა მაინც ფხიზლდებოდა და სიცოცხლეში შემოედინებოდა.

„ყოველი ჯამბაზი გაწაფულია. ის ურთულესი დავალებების შესასრულებლად შექმნეს და ყოვლისმცოდნე უნდა იყოს, მეფესავით ყოვლისმცოდნე და მრისხანე. მონაა ყოველი ჯამბაზი, გენიოსების შექმნილი მონა და ამიტომაცაა უძლეველი. მის მიერ ძალაუფლების განსამტკიცებლად ძალის გამოყენებაც ხომ ამ ფაქტზე მეტყველებს“, – ფიქრობდა ირინეოსი და ნანობდა, რომ კაცობრიობა ქრისტეში გაირინდა, ქრისტეში გაშეშდა და მის მიღმა ვეღარ იხედებოდა, ან იხედებოდა, მაგრამ მონუსხულიყო და გალიგვულიყო, იტანჯებოდა ირინეოსი, თუმცა იმას კი ვეღარ ხვდებოდა, თუ რატომ ვერ ერეოდა თავს და რატომ არ წყვეტდა ფიქრებს, რატომ ვერ ნებივრობდა პირველსაწყის სიცარიელეში, სივრცეში, რომელიც ფიქრების გაჩენამდე არსებობდა.

ვისაც სიშორით მონატრებია, მონატრება დედის რძესავით გამოშრობია და გადაქანცულა, ვისაც გრძელი გზა გამოუვლია, სიშორე დაუმოკლებია და დაწაფვია თავის წილ ყველაფერს, ისიც მოთენთილა და მოდუნებულა.

ვისაც ყველაფერი მოუპოვებია, კიდევ ცოტა ხანს უცხოვრია თვითკმარობის აღტაცებით და ისიც გამთლიანებით, თვითკმარობით დაცემულა.

,,და რადგანაც გააზრებაც მულტისამყაროებივით ულევია“, – კვლავ იგვემებოდა ჩვენი ირინეოსი, ადამიანიც არასდროს შეწყვეტს შემეცნებას, გაცნობიერებას, რაც ოდესმე ახალ სამყაროს შობს, მაგრამ მე ამ აქტში მონაწილებას ვერ მივიღებ, გადანეირონებული და გვიან რეინკარნირებული.

მისეირნობდა ფუნქციადაკარგული და ქუჩებივით მოპირკეთებულ (აქ მას გაახსენდა ერთი ჩანახატი, რომელიც სააეშაგოს პარკში გააკეთა და ჩანახატს „ხე და ფილაქანი“ დაარქვა:

„ჩამოფოთლილა ერთ დროს ნაზი,
პატარა ნერგი
და დაჰფენია ერთ დროს მზეზე
აცეცხლილ ქვიშას,
ნერგი ხომ ხეა, ხოლო მქრქალი,
მზისფერი ქვიშა
ფილაქანია, რომ დააკრეს
გაყინულ მიწას“),

დანისლული ლამპიონებით გადაფელამუშისფრებულ ჩიხებს შეიგრძნობდა და თითქოს მათზე მისიყვარულებას ცდილობდა, თუმც იმის მოლოდინში, რომ ჩიხები თავიანთ სიმარტოვეს არავის გაუნაწილებდნენ და ირინეოსსაც მარტო დატოვებდნენ, სიყვარულის თამამად გაცემისგან თავს იკავებდა.

როდესაც ყოფილი ჩინოვნიკი სახლში შევიდა, უკვე საკმაოდ დაღამებულიყო, მაგრამ ტელევიზორი მაინც ჩართო და ყურება დაიწყო.

„ჩინელები ტელეპორტაციაზე მუშაობენ“, – ჟურნალისტებს ასეთი სათაურით რეპორტაჟი მოემზადებინათ და გვაუწყებდნენ, რომ ახალი ადამიანის დაბადებას იწყებდნენ. მშობიარობდა ეპოქა.

ტელეპორტირებული კაცობრიობა ტელეპორტაციის შექმნიდან რამდენიმე ასწლეულში გაიაზრებს, რომ ფოტონის სიჩქარით მოძრაობისას აღარ გვენატრება, აღარ ვძრწით, აღარ მივისწრაფვით (რადგანაც ყველგან ვართ და საითკენ უნდა მივისწრაფოდეთ?), ვეღარ ვგრძნობთ სიშორეს, ან ვგრძნობთ უსიგრძეგანო სიშორეს, რომელიც ასევე უკიდეგანოდ სწრაფად მოკლდება და ჩვენი უცნობი ძალისგან აჩქარებული გულისცემა სუბატომური სიჩქარეებით იცვითება.

მილიარდობით მონატრება წამის მემილიონედში არმონატრებად იქცევა და არმონატრება მონატრებად, კვლავაც თვითირონზგებოდა ირინეოსი და ფიქრებს ებრძოლებოდა, თუმცა აგარაკზე გადმოსვლის შემდეგ, თუნდაც წამიერად, მაგრამ მაინც იგრძნო სიმშვიდისა და მყუდროების ნეტარება.

,,მე ხომ ვთქვი, რომ ახალი სამყაროს შექმნაში მონაწილეობას არ მივიღებდი, ჰოდა, რაღატომ ვფიქრობ“? – ეს იყო ბოლო ფიქრი, რომელიც ჩაძინებამდე აეშალა.

* * *

დილის ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ირინეოსს გამოეღვიძა. საწოლიდან კლაუსტროფობიით შეპყრობილივით წამოქროლდა (თუ წამოიზლაზნა? არა, უფრო წამოფრინდა, როგორც მაშინ, მითოსის დასაწყისისას), სააბაზანოში შევიდა, თითქმის გაყინული წყლით ხელ-პირი დაიბანა, იგივე ტანისამოსი ჩაიცვა, რაც გუშინ ეცვა და გარეთ ისე გავარდა, თითქოს სახლში მოჩვენებები დევნიანო.

გადაქალაქებულ სოფელში არც მინდვრის ჭრიჭინების ჭრიჭინი ისმოდა და არც სფინქსისებრნი დაფარფატებდნენ. ბუნება ჩამოსახრჩობად გამზადებული მეამბოხესავით გარინდებულიყო და ხელებს საკუთარ დუმილშივე აფათურებდა.

მხოლოდ ლამპიონების ზაფრანისფერშუქნარევი ფოტონები ერეოდნენ დედის რძესავით თეთრ და უმანკო ნისლს. აქ არავინ იყო ირინეოსისა და ბუნების გარდა.

როდესაც ერთი ჩიხის შუკას მიუახლოვდა, შუკის გვერდით, მოზაიკისფრად შეღებილ სკამზე გოგონას პატარა და გამხდარი სხეული შენიშნა. იგი ლამის მედიტაციის პოზაში ჩამჯდარიყო და სკამის მოპირდაპირედ ეზოს მისჩერებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ ემინა. ნისლი დაბორიალებდა ეზოში. უცნობ გოგონას თითქოს აინტერესებდა, რას განიცდიდა სახლი (მასში მცხოვრები მოსახლეებით თუ მათ გარეშე?).

ირინეოსი არც კი შეჩერებულა, უბრალოდ, წამით გაუელვა, იქითკენ უცნობი გოგონა მიზიდავს თუ მისტიური სახლიო და უეცრად მზერა გოგონას მიაპყრო.

– ამ გამთენიისას ძალიან გამიკვირდა, რომ აქ ჩემს გარდა სხვაც არის, – თითქმის ჩაილაპარაკა გოგონასგან დაახლოებით სამ მეტრში უცებ შეყოვნებულმა ირინეოსმა.

უცნობი კი ტიროდა და კვლავაც ეზოს მისჩერებოდა. ტიროდა, ჰო, ბანალურად ჟღეს, არა? ჰოდა, ბანალურობაშია გენიალურობა, რადგან სიტყვა „ტიროდა“ ხომ პირდაპირ უმიზნებს სამყაროს დემიურგებს, ატერორებს და ამხელს მათ, ქმნის პოეზიას, რომელთა შემქმნელნი ღმერთების ბუდეში ცდილობენ გამოზამთრებას.

სანამ უცნობი გოგონას პასუხის მომლოდინე, საშინელებათა ფილმის მაყურებელივით გარინდული ირინეოსი მისივე აფეთქებული მეტეორის ბრწყინვალებასავით მოციმციმე მზერის ძლიერებით ინუსხებოდა, სველ მიწაში აზელილი მწერები გამარჯვებულ განთიადს ეგებებოდნენ (უნდა გენახათ რა სანახავი იყო დანისლულ ეზოში ჩაძირული სიმწვანეც).

ყვაა, ყვაა, ყვააა... დასჩხაოდა მოცვისფერ სოფელს ეზოში ფრენოფობიით შეპყრობილი ყვავი და ისიც დამარცხებულივით ეგებებოდა ბრძოლაში გასისხლულ, მაგრამ მაინც გამარჯვებულ აისს.

ჭრ-ჭრ-ჭრ-ჭრ-ჭრ... ჭრიჭინებდნენ... ჭრიჭინებენ, ჭრიჭინებენ ჭრიჭინები და ტკივილში ათენებენ ღამეს ... არა, არა, მწერების გრძნობებზე ფიქრის დრო არ არის, უკვე დამტკიცებულია, რომ მწერებს სული არა აქვთ და რა ტკივილი, რის ტკივილი, დავატიოთ თავის ადგილას სიტყვა „ჭრიჭინში“ და მარადიულად ვიჭრიჭინოთ.

– რატომ შეხურვებულხართ ასე მოშორებით, ბატონო, ცოტა მომიახლოვდით, რომ მოგესალმოთ, – გაისმა თვრამეტამდე წლის უცნობის სილაღით სავსე ხმა.

ირინეოსს გაუკვირდა, რომ გოგონას შეეძლო ერთდროულად მომტირალიც ყოფილიყო და გალაღებულიც (ხმა ხომ ადამიანის ყველაზე მისტიური ამოძახილია, ხმა ხომ თავად ბგერისა და ასოს მშობელია).

– უბრალოდ, გამიკვირდა ორი რამ, – მიუგო საკმაოდ დამშვიდებულმა ირინეოსმა (ხმა ხომ ამშვიდებს, თუმცა ყველას სხეულიდან ამოსული ხმა არა, მხოლოდ რჩეულებისა).

– და მაინც რა გაგიკვირდათ, ბატონო?

– ის, რომ ასეთ დროს, ჩემ გარდა, გარეთ კიდევ არის ვინმე სულიერი და კიდევ ის, რომ თვალცრემლიან გოგონას ლაღი და დამამშვიდებელი ხმა აქვს.

– იმიტომაც ვტირი, რომ დამამშვიდებელი ხმა მქონდეს, – უთხრა და ირინეოს სკამზე ჩამოჯდომა შესთავაზა.

სკამის ქვემოთ ძველმოდურ სანიაღვრე არხში (რომელიც შეუკეთებიათ და არ გამოუცვლიათ) დავრდომილივით სუსტი, ბალერინასავით თხელი წყალი მირაკრაკებდა და ჩვენი ოდნავ განცვიფრებული აისის მსტოვარი ფიქრობდა ცუნამზე და იმაზე, რომ ცუნამიც ისეთივე წყალია, როგორიც ეს სუსტი მონაგარი დიადი, საყოველთაო წყლისა.

შუკის პირას მხოლოდ ორი ადამიანი, პატარა წყალი და ღამესთავდაღწეული მწერები ჩამიჩუმობდნენ.

– კი მაგრამ, თუ ტირი, სხვებზე ზრუნვას როგორღა ახერხებ? – ჰკითხა ირინეოსმა და მორიდებით მიუჯდა გვერდით. მე პირიქით მეგონა, – განაგრძო ჩვენმა გაორებულმა ჩინოვნიკმა, – ადამიანები მხნედ რომ არიან, რომ არ ტირიან და ხარობენ, მხოლოდ მაშინ შესწევთ ძალა, იფიქრონ სხვებზე.

– კეთილი. ალბათ გასხივოსნების იმ ნიშნულამდე ჯერ კიდევ არ მიგიღწევიათ, სადაც იმიტომ სევდიანობენ, ან თუ გნებავთ თავისთავად არსებულ სევდას იმიტომ ანთავისუფლებენ, რომ კაცობრიობის სამსახურში ჩააყენონ.

– გამოდის, რომ მწუხარება სიკეთის სამსახურში ჩააყენე? – იკითხა ამჯერად კიდევ უფრო განცვიფრებულმა ირინეოსმა.

– მწუხარება ფეკალიებივითაა, ის არ გვჭირდება, უფრო სწორად მხოლოდ სასუქის მისაღებად გვჭირდება, მაგრამ არა პირდაპირი და ხილული სიამოვნებისათვის, ასე ვთქვათ, ხელშესახები სიამოვნებისთვის, თუმცა მაინც არსებობს და ჩვენზეა მოტმასნილი. ჰოდა, მე მწუხარებას ფეკალიობაზე დიადი მიზანი დავუსახე, კაცობრიობის გალაღება და დამშვიდება. განა ამას არ ქადაგებდა ქრისტეც? – დაასრულა სქელტუჩა უცნობმა და ყურადღებით დააკვირდა ირინეოსის ინტერესით აღსავსე მზერას.

– კი, ამას ქადაგებდა ქრისტეც, შეიძლება ითქვას, რომ ზუსტად ამას, თუმცა მე არ ველოდი, რომ ამ სიღრმისეულ მისტერიას შენი ასაკის გოგონებიც იაზრებდნენ. თანაც არ მეგონა, რომ ერთ ასეთ გოგონას მე შევეფეთებოდი, შევეფეთებოდი ამ პატარა ნახევრადსოფელში და ისიც გამთენიისას, როდესაც ყველას სძინავს და სიმშვიდის ნეტარებაშია გარინდული, – ხელების დინჯი, მაგრამ

ინტენსიური მოძრაობებით განუმარტა ირინეოსმა.

– ჰო, მაგრამ არ მესმის თქვენი. არ მესმის, რადგან ნუთუ ასეთი რთული გასაგებია, რომ ქრისტე თითოეული ჩვენგანის ცნობიერის კილიმანჯაროზეა გამაგრებული და მას იქიდან ვეღარავინ ჩამოაგდებს? თითოეული ჩვენგანის ცნობიერის ნაერთი კი ახალი ცნობიერის ნაირსახეობაა, კოლექტიური არაცნობიერისა, რომლის მწვერვალზეც, უფრო სწორად ერთ-ერთ მწვერვალზე ქრისტეც ზის, მას თავისი უჩვეულო და ამაღლებული პოეზია შეუქმნია და დანარჩენ ღმერთებს თავზარს სცემს.

უკვე ნათდებოდა. ერთი ძველმოდური, ვაზში ჩაფლული სახლის კოხტა ფანჯრიდან ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი მზის ამოყვითლებას ელოდა და თვალებს ისრესდა.

მალე კვაზარის აფეთქების სიმძლავრით აფეთქდებოდა მზე და ახალი დღის დასაწყისს გამოაცხადებდა.

ახალი დღის, რომელსაც ჩვენი მეზღვაური ვერ მოესწრებოდა, ვერ შეიგრძნობდა, მაგრამ ერთხელ მაინც ნეიტრონივით მოციალე, უცნაური მნათობის უცხო სხივებით დაელექტრონდებოდა.

– კი, გეთანხმებით, – მშვიდად მიუგო გოგონამ, სკამიდან ლამის წამოხტა, ირინეოსს ხელი ჩამოართვა და თავისი სახელი უთხრა: „მე დალი მქვია, ბატონო“.

– მე ირინეოსი ვარ და ძალიან მიხარია შენისთანა ახალგაზრდის გაცნობა, იქნებ ხელახლა ვიშვა შენით.

– კარგი, ბატონო, – უთხრა დალიმ, გაიღიმა და რამდენიმე წამში დაიშალნენ კიდეც.

გოგონა ახალგამარჯვებულმა განთიადმა ჩიხის შორეულ ნაწილში შთანთქა, ხოლო ჩვენი ირინეოსი თითქმის იმ ადგილას, სადაც დაშორიშორისდნენ.

ყოფილმა ჩინოვნიკმა ორი ნაბიჯი უკან გადმოდგა და შემდეგ დალის უმანკო სხეულის ფორმებსა და დღის ამოხეთქვას მიაპყრო მზერა, ბოლოს კი გოგონას გადაპლაზმვამ და ამონეიტრონებამ გამოაფხიზლა.

და ახალი ერთდროულად ახალიცაა და ძველიც.

* * *

ირინეოსი ნახევრადსოფელში თავს კარგად გრძნობდა, ზუსტად ისევე კარგად, უფრო სწორად იმ დოზით კარგად, რამდენადაც ქალაქში და ზუსტად ისე ენატრებოდა ახლა ქალაქი, როგორც მაშინ, ქალაქიდან სოფელი. ,,ქალაქში თუ ახალ ამორძალს ყოველ დღე ელი და მისი მოლოდინის ძალით იღვსები, სოფლად დილის შეთეთრებულ-შენისლული ამოსუნთქვა გაცოცხლებს, გასიცოცხლისუნარიანებს“, – კვლავაც ფიქრებით იშოლტებოდა გაორებული ხიზანი.

ქალაქში ადამიანებს ელაპარაკები, ხელს ხვევ, კოცნი, ეხმარები, გეხმარებიან, მაგრამ მაინც მარტო ხარ, ხოლო სოფლად ყოფნის ჟამს მარტო ხარ და ვერავის ეხები, ვერავის ემეგობრები, თუმცა აქაც მარტოსულობ. თუ ყველგან მარტო ხარ, რა მნიშვნელობა აქვს სად იქნები, ქალაქად, სოფლად თუ მარსზე? ასეთ გაუგებრობაში მყოფი კაცი იყო ჩვენი ირინეოსი.

იხსენებდა, ოდესღაც სასტუმროებში განცდილ, ხორციელი მისწრაფებების დაკმაყოფილებით გამოყოფილ სიამოვნებას და ყელსა და მენჯს შორის არსებული სხეულის ყოველ უჯრედში ჟრუანტელი უვლიდა. შემდეგ აგონდებოდა პატარა დალისთან შეხვედრის ნეტარება და გული უჩქარდებოდა, უჩქარდებოდა მიუღწევლის მოახლოებით, უფრო სწორად, მიუღწევლის მოლამუნებით, შეხებით, მაგრამ მხოლოდ გული, ეს სიცოცხლის მამოძრავებელი გორგალი (რა მიმართულებით, კაციშვილმა არ იცის).

ეს ორი განცდა, ვნება თუ სურვილი, ისე დაპატრონებოდა, რომ მათ შორის არჩევანის გაკეთების შემთხვევაში დაობლდებოდა, გამომთლიანდებოდა და გადაბოლოფოტონდებოდა.

მას კი, ჯერ კიდევ არ სურდა დახლეჩვა და ზეადამიანობას ებღაუჭებოდა.

* * *

შუაღამე იღრინებოდა. ირინეოსს ეძინა და თან ფხიზლობდა. მას სინათლის სხივის სიჩქარით მოძრავი სხეულისა თუ სუბსტანციის ხვედრი გაეზიარებინა, ანუ აღარ ენატრებოდა და თან ენატრებოდა, სძულდა და თან არ სძულდა, ბობოქრობდა და თან არ ბობოქრობდა, მაგრამ ახლა ყოველივე ეს ისე სწრაფად ხდებოდა, მოვლენები ისე სწრაფად იცვლებოდა, როგორც არასდროს, არც ერთ ეპოქაში. უკვე ყველაფერი ელვის სისწრაფით ღზევდებოდა და ასეთი ინტენსივობითვე ეცემოდა, ლამის სუბატომური ნაწილაკების მოძრაობის სიხშირით.

თითქოს თვალის დახამხამებაში ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ ახალ-ახალი პარკები, სკვერები, ბაღები, ჩიხები, ქუჩები, ქალაქები, ქვეყნები, ქვეყანათა გაერთიანებები, დედამიწა, მზე, გალაქტიკები და ულევი მულტისამყაროები.

სადღაც სიშორეთის უშორეს წყვდიადში აფრიკული სავანისფერი მულტისამყარო კალიბრისფერთან შეუღლებას ზეიმობდა.

ჩვენ აჩქარების, დიდი აჩქარების ეპოქაში მოგვიწია არსებობა და ამ ეპოქაში სიტყვის დაძვრას ვერ მოასწრებ, ისე მოგკლავს ის, ვისაც უყვარდი და ვინც გიყვარდა, თუმცა ეგ კიდევ დიდი არაფერი, მერე მიდი და იცხოვრე დარდით, რომ მთელი ცხოვრება გულწრფელობის ვალი გექნება, ვალი სრულყოფილების, ვალი ადამიანობის და ეგეც არაფერი, მერე თქვი შენ, როცა შენში ჩაბუდებული ზეკაცი უსამართლობის მორევში ჭყუმპალაობას აღარ გაცლის და დაიწყება ახალი შერკინებების იგივე, მაგრამ მაინც განსხვავებული იგავი, უფრო ენერგიული, უფრო აჩქარებული.

და დაე, მოძრაობის ამ გაცვეთილ თუ გაუცვეთელ ორომტრიალში, ჩვენი სულგამომწყვდეული ყუთების მოხმარებისას, ერთადერთ მარადიულ ღმერთად აზროვნება დაგვესვას, რათა მარად ვიარსებოთ, ვიარსებოთ რათა გვიყვარდეს.

მაგრამ ჩვენმა ირინეოსმა ხომ აზროვნებაზეც უარი თქვა, ამ დიად ღმერთზე ნეტარებისა და გარინდებისა. მან აზრთა ბზუილის ჩახშობის, დაამების გზა აირჩია.

* * *

საათი ზუსტად იმ დროს გვიჩვენებდა, რომელსაც მაშინ, ირინეოსი ჯერ კიდევ უცნობ დალის რომ შეხვდა.

ჩვენმა გმირმა ხელ-პირი ცივი წყლით დაიბანა, ასიდან ერთამდე დაითვალა, სარკესთან დადგა და დილის გამამხნევებელი ვარჯიშები გააკეთა, შემდეგ მამაპაპისეული კარმიდამო დატოვა და იმ ადგილისაკენ გაემართა, სადაც პირველად შეხვდა ჩვენს ახალ გმირს, პატარა დალის.

* * *

ისეთივე უხმაურო დილის მომლოდინე დალი მის ცხოვრებაში ახლადმოვარდნილ ხიზანს ელოდებოდა, უცნობს და მიუწვდომელს, მაგრამ მაინც ელოდებოდა, როგორც პირველი ფოტონი თანაფოტონს, რომელსაც სულ მალე გადმოიელექტრონებდა (შეიუღლებდა).

ამჯერად, იმავე ადგილას მჯდომი გოგონა გადამეტებული სილაღისგან იღიმოდა. მწუხარება მისი თვალებიდან სადღაც უიღბლო მოგზაურობაში გამგზავრებულიყო, სამწუხაროდ, უიღბლოში. უიღბლობაა კვლავაც დამწუხრების მიზეზი. აღარ ვიცი იღბალს ვინ და რა მოტივით განაგებს, ან საერთოდ თუ განაგებს (შესაძლებელია, სადღაც პატარა ტეხასურ ბარში ზის და უდაბნოს საკუთარ თავში გასაგრილებლად ცივ ლუდს მიირთმევს, ან სულაც წიგნებს კითხულობს, მაგრამ წაკითხულზე აღარ ფიქრობს).

როდესაც ირინეოსი ნაცნობ სკამს მიუახლოვდა და მდგომარეობა იყნოსა, დალის აბსოლუტური სილაღით გაკვირვებული დარჩა, ის ხომ სულ რაღაც გუშინ ამავე სკამზე იჯდა და ტიროდა.

მგონი გავმთლიანდები, მგონი ახალ ერასთან შესახვედრად მოვემზადები და პირველი ფოტონისგან შობილი ბოლო მზის აფეთქებას დავაკვირდები – გაიფიქრა ირინეოსმა და დალის მიესალმა.

– მოგესალმებით, ბატონო, ნუ მორცხვობთ, ჩამომიჯექით, – მიუგო გოგონამ და გულიანად გაიღიმა, უფრო სწორად, საფეთქლებამდე.

– რეინკარნაციის გჯერა, დალი? – მოულოდნელად შეეკითხა ირინეოსი.

– რა თქმა უნდა, – მოკლედ მოუჭრა ყოფილმა უცნობმა.

– მგონია, რომ წინა ცხოვრებაში პატარა უფლისწული იყავი.

– ვისი უფლისწული, ეგზიუპერის? – სხარტადვე ჰკითხა გოგონამ.

– არა, უბრალოდ, წინა ცხოვრებაში ბიჭუნა იყავი.

– გეთანხმებით, ზოგჯერ ვარ კიდეც ბიჭი. არის ჩემში კაცთა ნამსხვრევები.

– რაც გაგიცანი, მხოლოდ ერთს ვსწავლობ შენგან, რომ ყველაფერი სამყაროს სამსახურში უნდა იდგეს.

– დიახ, მაგრამ ჩვენ ამ სამყაროს არსებობაზე მხოლოდ იმიტომ ვიცით, რომ ტვინი გვაქვს.

– შესაბამისად, გავუფრთხილდეთ იმ ღეროს, რომელსაც ტვინი გატენილი თავთავივით ჩამოჰკიდებია, ანუ გავუფრთხილდეთ ადამიანს.

– და ეს ღერო მოვრწყათ ყველაფრით, რაშიც მისი წინაპრები ჩაისახნენ.

– დიახ, თქვენ სწორად გამიგეთ, – ღიმილით მიუგო დალიმ.

ამ მეტად საინტერესო დიალოგისას ირინეოს მხოლოდ ორჯერ გაექცა თვალი მზის დუღილის გადმონაჩქეფის დაცემისკენ და პირველად დაინახა, რომ გათენებულიყო, ხოლო მეორედ იხილა, როგორ მორთო დედამ პირმშო, რომ მშობელი დედამიწაზე ბრწყინვალედ წარმოეჩინა, რათა დედმამიშვილებს ერთმანეთი უკეთ გაეცნოთ (უფრო სწორად, ერთმანეთს მიახლოვებოდნენ და შემდეგ ისევ გაყრილიყვნენ).

– წამოდი, გავისეირნოთ, – შესთავაზა ირინეოსმა.

– კეთილი, წავიდეთ, – უთხრა გოგონამ და ჩვენი ახალგაცნობილი, მაგრამ მონათესავე სულები სველ და ცივ, თუმცა სუფთა ჰაერით სავსე ჩიხს გაუყვნენ.

უკვე მერამდენედ დაეცხრო ლამპიონის სიმხურვალე დილის სუსხს და ეს ყოვლისმომცველი აქტი გახლდათ. ამ აქტში ნათების დაძაბვა თავისივე დედმამისშვილის, სიცივის მიერ ხდებოდა, დაძაბვა კი სიკვდილის ძახილია. მოვა სიკვდილი და კვლავ გაუმზადებს ნიადაგს ძლევამოსილ სიცოცხლეს, ნიადაგს, რომელიც დახოცილი დედმამიშვილების, სიმხურვალისა და სიცივის გვამებით იქნება განოყიერებული.

როდესაც დალი სახლში მივიდა, რომლის ეზო და სახლის მოცულობა ირინეოსის ეზოსა და სახლის მოცულობისგან დიდად არ განსხვავდებოდა (უბრალოდ დალის სახლი მუქი მწვანე კაფელით იყო გაწყობილი და წითელი ხის კონსტრუქციის ნაცვლად, თეთრი ხისა ჰქონდა), კომპიუტერი ჩართო და ბატონი ფაუსტულუსის შეტყობინება წაიკითხა:

„ხომ იცი, ჩემო გოგონავ, ჩვენს გმირზე უფრო მეტი სიღრმეები გვჭირდება, მეტი ინფორმაცია მისი სულის შესახებ, რომელიც ჩვენ მიერ მოზელილ სამყაროში გამოგვადგება“.

დალიმ მოკლედ მიწერა: „დიახ, ბატონო ქალაქის თავკაცო, ვიცი“ და საძინებელი ოთახისკენ გაემართა.

ამ ამბიდან დაახლოებით ათ წუთში ფაუსტულუსი რაღაცას ბაბუა იოსებს წერდა, მაგრამ თუ თითების „თაგვზე“ მოძრაობას დავაკვირდებოდით, შევამჩნევდით, რომ ფაილებსაც უგზავნიდა.

ზუსტად ამ დროს, ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი თავისი კოხტად მოწყობილი სახლის ფანჯრიდან მზის ჩასვლას აკვირდებოდა და თან პაპიროსს აბოლებდა. მისი ცოლი კი ზღვაზე წასასვლელად ემზადებოდა.

და ახალი ერთდროულად ახალიცაა და ძველიც.

* * *

ყოფილ ჩინოვნიკს დილისთვის სანადიროდ წასვლა გადაეწყვიტა და წინა დღეს ძველი ორტუჩა

შეამოწმა. შემდეგ მწყერისთვის რამდენიმე თექვსმეტკალიბრიანი, ოქროს საწმისის ფერი ვაზნა შეარჩია და ამბროზიის სამეფოსკენ მიაშურა.

ნაწვიმარი იყო. ამბროზიის შეწოვისუნარიანი სხეული ირინეოსის მუხლებამდე შიშველ ფეხებს ეხებოდა და ტანში ჟრუანტელს გვრიდა.

ამბროზიები ისე შემოეხვივნენ, როგორც ქარბორბალა შემოეხვევა ხოლმე მოწყენილ ტრამალებს.

და დილა გაყინულ სითეთრეში ეხვეოდა, რომელიც მზის ქალღმერთის სარძევე ჯირკვლის მწვერვალებიდან მოჩუხჩუხებდა.

ირინეოსში მონადირისა და მკვლელის მარადიული წყურვილი გადაბუნებობის, ანუ ბუნებასთან შეუღლების გამაერთიანებელ წადილს ექიშპებოდა და ციოდა ჩვენს გმირს.

ამბროზიის სამეფომ ისე შთანთქა, რომ იმ დღეს თავისი ძველი ორტუჩა ერთხელაც არ გაუსვრია, ერთხელაც არ შეუგრძვნია დაჭრილი, ან ჰაერშივე განგმირული მწყერის სველ ბალახზე დაცემის მოლოდინის მაგიურობა, გულისამაჩქარებლობა. შემდეგ, როდესაც აჩქარებული ნაბიჯებით (ლამის გარბიხარ) მიიწევ, რათა ნახო ბუნების პირმშოს მიერ მოკლული ბუნებისვე პირმშოს მკვდარი, ან ნახევრად ცოცხალი თვალების გარინდება.

და ბოლოს, როდესაც უდანაშაულოდ მოკლულ მწყერს ხელის გულზე დაისვენებ, მერე დახედავ კიდეც და წამიერად გააცნობიერებ, რომ დედმამიშვილის სისხლში გაგისვრია ხელი და უმალვე დაგეუფლება წამივით გაელვებული სიცარიელე.

ირინეოსი გაჰყურებდა თეთრწვერა სიმწვანეში ჩარგულ ბოძებს შორის გაყვანილ მავთულზე მოამპლიტუდე მიმინოს და ბრძოლიდან დაბრუნებულ გათენებას პენელოპესეული გულისაჩქარებით ელოდა.

და იდგა ჟამი ქიციქიცმაცურობისა.

* * *

სახლში დაბრუნებული ირინეოსი კედელზე ჩამოკიდულ ფოტოს მიაშტერდა და გადაწყვიტა, ბავშვობის მეგობარი მოენახულებინა.

ის იგონებდა აკვილასთან ერთად გატარებულ ბავშვობის ტკბილ-მწარე დღეებს და გული სიხარულით უცემდა. ირინეოსს ისიც ახსოვდა, რომ სოფელში მხოლოდ აკვილას მოსანახულებლად ჩამოდიოდა, თითქოს აკვილა წარმოადგენდა ხიდს, გადებულს მასსა და სოფელს შორის.

ირინეოსის მეგობარი მშენებელი კომპანიის დამფუძნებელი იყო და მშენებელთა ძლიერი გუნდიც შეეკრა, რომლებიც თავიანთი შრომისუნარიანობით საქვეყნოდ იყვნენ ცნობილნი. აკვილასთვის კოხტა სახლების მშენებლობა ისეთივე ხელოვნებად ქცეულიყო, როგორც პაულ სელანისთვის პოეზიის სიღრმეების ძიება.

ოდესღაც მრავალ ადამიანს ეხმარებოდა ირინეოსის სიყრმის მეგობარი, თუმცა შემდეგ ამისგანაც გადაღლილა და სოფელში დაბრუნებულა. ირინეოსი კი ვერსადაც ვერ დაბრუნდება, მას ხომ სოფელში

მუდმივად არც არასდროს უცხოვრია და არც მასში დაბადებულა. ყოფილი ჩინოვნიკი ჩახუთულ სივრცეებში იშვა, სადაც ყველაფერს აკეთებდნენ, რათა უდაბნოდან თავი დაეღწიათ, მაგრამ საბოლოოდ მიხვდნენ, რომ ისევ უდაბნოში ამოქარავანდნენ, უფრო საშიშ და მქუხარე უდაბნოში.

აკვილას კარ-მიდამო ირინეოსის ეზო-კარიდან დაახლოებით სამასი მეტრით იყო მოშორებული და აღმართზე მდებარეობდა. ირინეოსმა მეგობრის ეზოში უფრო მეტი დრო გაატარა, ვიდრე საკუთარში.

ამ ეზოში უსაფრთებოდნენ თაგვებს, რათა დაეხოცათ და ხოცვაში ერთმანეთსაც გაჯიბრებოდნენ, ამ ეზოში ატყავებდნენ ბაყაყებს, ნაზდებოდნენ პეპლების ფრიალით და ფითრთებოდნენ გადამწვანებულ ნისლში.

იხსენებდა, როგორ ბრუნდებოდნენ თევზაობიდან და მგლებივით დამშეულნი გადააკვდებოდნენ ხოლმე აკვილას ბებიის გაკეთებულ ამა თუ იმ უგემრიელეს კერძს, უფრო სწორად, ხელოვნების ნიმუშს.

ეს ყველაფერი ახსოვდა ყოფილ ჩინოვნიკს, მაგრამ ისიც ახსოვდა, რომ სათამაშოები უფრო მეტად აკვილასთვის შესახარბებლად სჭირდებოდა, ვიდრე სათამაშოდ.

ირინეოსმა დაუღალავად აიარა სამასამდე მეტრი და მეგობრის ეზოს ჭიშკარს მიადგა, შემდეგ კი ზარი დარეკა. სანამ ზარს დარეკავდა, რატომღაც გაუელვა, მოდი, აკვილას მოვკლავ და საყოველთაო მოდუნებას ოდნავ შევაქანჯალებო, მაგრამ უმალვე გაიაზრა, რომ ფიქრი უტოპიური იყო, თანაც ამისთვის უკვე არც გამბედაობა ეყოფოდა.

სახლიდან საშუალო სიმაღლის, შუა ასაკის, უმხარბეჭო, საშუალო წონისა და ლამაზი პირისახის ბიჭი გამოვიდა, რომელიც ირინეოსზე ბევრად უფრო შეუხედავი იყო.

გამოვიდა და ჭიშკარი გააღო.

ირინეოსის დანახვა არც კი გაკვირვებია, ისე მოიპატიჟა და მოწიწებით გულში ჩაიკრა, როგორც მხოლოდ დედმამიშვილებს სჩვევიათ.

ირინეოსმაც სიყვარულით ჩაიხუტა მეგობარი და სახლისკენ გაჰყვა.

აკვილას სახლიც თითქმის ზუსტად იგივენაირი იყო, როგორიც ირინეოსის, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელის კონსტრუქცია თავს შავი კაფელითა და ღია წაბლისფერის ნაზავით იწონებდა.

– რას დალევ, ჩემო მონატრებულო ძმაო? – ლაღად ჰკითხა მასპინძელმა.

– ორას გრამ მაგარ არაყს, ჩემო ძმაო, – ასევე ლაღად და სიხარულით აღსავსე ხმით უპასუხა სტუმარმა.

– დაგიწყია თავის მოკვლა, – ეხუმრა სიყრმის მეგობარს მასპინძელი.

– ეეჰ, ჩემო ძმაო, ეგ დაბადებამდე დაიწყო ჩემი სულის პირველმა აღტაცებამ, მაშინ, როდესაც ყველაფერი თან იყო და თან არა, – თამამად თქვა ირინეოსმა, რადგანაც იცოდა, რომ ამის საფუძველი ჰქონდა, წინ ძალიან კარგი, თითქმის გენიალური მსმენელი ეჯდა.

– ამ სოფელშიც არავინ დარჩა, რომ ამბავი მოგიტანოს კაცს, – დანანებით ჩაილაპარაკა აკვილამ.

– ჰო, მესმის, მე უარი ვთქვი სიყვარულზე, ანუ სიცოცხლეზე და დავიწყე ძებნა რაღაცის, რაც იწყება მხოლოდ აღზევება-დაცემის თუ დაცემა-აღზევების შემდეგ, – დამამშვიდებელი ხმით უთხრა

ირინეოსმა.

– იქნებ სიყვარული იწყება დაცემისა და აღზევების, თუ აღზევებისა და დაცემის შემდეგ? – საკითხში იდეალურად კარკვეული კაცის იერით იკითხა აკვილამ.

– შეიძლება, მაგრამ მე უფრო მაინტერესებს რა იწყება სიყვარულის გაუფასურების შემდეგ.

– ალბათ ისევ გაუფასურება, – კვლავაც დამაჯერებლად თქვა აკვილამ.

– ჩვენ უნდა ვიპოვოთ ისეთი რამ, რაც არსებობს, მაგრამ არამატერიალურია, რათა არ შემოგვეცვითოს, თორემ ხომ იცი, მატერიალური რაოდენ სწრაფად გადაკვდება ხოლმე.

– და ასეთი რამ არსებობს? – გაიკვირვა აკვილამ.

– კი და მას აზროვნება ჰქვია. თუ ამ ფაქტს გავაცნობიერებთ, უსიყვარულოდაც გვექნება ბედნიერების მოპოვების შესაძლებლობა.

– ჰო, მაგრამ განა სიყვარული არ ამოძრავებს აზროვნებასაც? – იკითხა მასპინძელმა.

– არა, ჩემო აკვილა, არა, სიყვარული დედამიწას ატრიალებს, მაგრამ აზროვნებას, ვერა (როგორც გაბრიელ გარსია მარკესი იტყოდა).

– და რა ატრიალებს აზროვნებას? – კვლავ გაიკვირვა მასპინძელმა.

– მათემატიკა და სტატისტიკა.

– ეგ როგორ?

– როგორ და, მაგალითად, შენ თუ შეძლებ და გამოთვლი რამდენ ხანს გეყოფა ერთი თვის ხელფასი ოჯახის შესანახად და დაადგენ, რომ საერთოდ არ გეყოფა და იმასაც დაინახავ, რომ შენს ოჯახს არსებობა-არარსებობის საფრთხე ემუქრება, წახვალ და მის გადასარჩენად ბოროტებსაც კი ჩაიდენ და ამას მხოლოდ იმიტომ გააკეთებ, რომ შენი შვილები ეგოისტურად გიყვარს, მაგრამ რამდენად ეთავსება ერთმანეთს ეგოიზმი და სიყვარული? სიყვარულის გამოხატულების უმაღლესი მწვერვალი ხომ სხვების ტკივილით ტკივილია.

– და ამიტომ, ხსნის გასაღები აზროვნების ღმერთის გულცივობის უფრო მაღლა დაყენებაშია, ვიდრე სიყვარული დგას?

– კი და სამყაროც მოიპოვებს ნანატრ და პირველსაწყის მშვიდობას, თუმცა ამას კაცობრიობის უდიდესი გამბედაობა დასჭირდება. და რადგანაც აზროვნებითვე ვითარდება აზროვნება და აზროვნების განვითარებაშია ახალი თვალსაწიერის მქონე სამყაროს შობა, ჩვენ აზროვნება ღმერთების მბრძანებლად უნდა ვაქციოთ.

– უკვე არის, – თქვა აკვილამ.

– მე ის მაოცებს, – ისევ წამოიწყო საუბარი ირინეოსმა, – რომ ამდენი ხნის უნახავებმა ერთმანეთს აზროვნებებით ვეხმალავეთ, მაგრამ ამ ომში თითქმის არასდროს არავინ დაჭრილა და ერთი გრამი სისხლიც არ დაღვრილა, ხოლო თუ ვინმე დაჭრილა, მხოლოდ საკუთარი დიდებისთვის და მარადიული ხსოვნის მოპოვებისთვის.

– იომე სუბატომური ნაწილაკებით და ვერავინ დაგინახავს, როგორ იქცევი ღმერთად, – აღმოხდა აკვილას და დასძინა, რომ არა უშავს, ცოტა შევხურდით და თუ როგორ ვებრძვით ყოველდღიურობას,

ამაზე ლაპარაკს მერეც მოვასწრებთო.

მეგობრები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

ირინეოსი გაუყვა დაღმართს და მყუდრო სახლზე ფიქრმა გაიტაცა, უფრო სწორად, სახლისეულ სიმყუდროვეზე ფიქრმა.

* * *

ეზოში შევიდა და პატარა სკამზე ჩამოჯდა, თითქოს იმ დღეს სამუდამო ბედნიერება ჰპოვა იმ სკამზე, კოხტა ეზოში, მაგრამ მაინც ექაჩებოდა ვიღაც მოცინარ-მოტირალი უცნობი.

უყვარდებოდა დალი, თუმცა იკლავდა სიყვარულს, რადგან სიყვარულს საქმენი საგმირონით ჭირდება გამყარება და თავის მხრივ საქმენი საგმირონი ბოროტებას შობს, ბოროტება კი ქრისტეს.

ქრისტე ბოროტების პირმშოა, მაგრამ ირინეოსისთვის უკვე ბოროტებაც გამქრალიყო და ქრისტეც.

ის რაღაც სხვას ეძებდა და იცოდა, რომ ეს – „რაღაც სხვა“, ამ პატარა „მინდა ვიყო სოფელს“ მიღმა არ მოიძებნებოდა.

ის მხოლოდ აქ იყო, ხელთუქმნელ, თეთრწვერა სიმწვანეში.

* * *

დილის ხუთი საათისთვის ჩვენმა გმირმა გაიღვიძა და უმშვიდეს ჩიხებს გაუყვა.

გაუყვა უმიზნოდ.

თუმცა უხილავი ძალა მაინც ეზიდებოდა ნაცნობი სკამისაკენ, უფრო სწორად, ამ სკამზე მჯდომი უცნობი გოგონასაკენ, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ეს ბოლო შეხვედრა იქნებოდა.

მიუახლოვდა ნაცნობ შუკას და ისევ იგივე სურათი იხილა, რასაც აქამდე ხედავდა: დალი მოპირდაპირე სახლის ეზოს მისჩერებოდა და ვერავინ ამოიცნობდა, ტიროდა თუ იღიმოდა. მისი სახე მშვიდი და უმანკო იყო, არა ანგელოზივით უმანკო, არამედ ადამიანივით და ეს აქტი მასში სერაფიმული წარმომავლობის დემონსტრირებასაც შეიცავდა.

ირინეოსი კვლავ სკამისგან (თუ დალისგან) დაახლოებით სამი მეტრის მოშორებით დადგა და ამჯერად თავადაც ვერ გაერკვია, გოგონაზე ფიქრობდა თუ სკამის ქვეშ უმწეოდ მორაკრაკე წყალზე.

– მოდი, ირინეოს, უკვე ხომ დავმეგობრდით და რაღა დროის სიმორცხვეა, – მშვიდად და ლაღად მიმართა გოგონამ.

– უნდა წავიდე შენგან, ეს გადაწყვეტილია, – მოულოდნელად ამოთქვა ირინეოსმა.

– რატომ, მომავალი კაენი რომ არ ვშვათ?

– კაენის იდეას მაინც ვერავინ მოკლავს, მაგრამ ეს აღარაა ჩემი საქმე. ინტუიციაც მკარნახობს, რომ უნდა წავიდე.

– და განა ინტუიცია შენში არ ბუდობს? თავად შენ არ ხარ?

– ასეც შეიძლება ითქვას, – მიუგო გულშეღონებულმა და სახეჩამოწვრილებულმა ირინეოსმა.

– და რას აპირებ?

– ახალი შეგრძნებების აღმოჩენას, გააზრებას და ამ გააზრებით ტკბობას.

– მე ყოველთვის მეცოდინება, რას გრძნობ შენ, – თითქმის ჩაილაპარაკა დალიმ და დასძინა, – ბედნიერებას გისურვებ გაქრობაში.

ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი ფანჯარას მისჯდომოდა და შუადღით გამოფიტული სივრცით სევდიანობდა, ხოლო მისი მეუღლე ბავშვობის სიყვარულზე ფიქრობდა. ორივეს ეტირებოდა, მაგრამ იცოდნენ, რომ ამის უფლება აღარ ჰქონდათ.

მერამდენე მეთორმეტე წლის მეთორმეტე თვის მეთორმეტე დღის მერამდენე მეთორმეტე საათი იდგა და თუხთუხებდა შუადღე.

და ახალი ერთდროულად ახალიცაა და ძველიც.

* * *

ფიქრთცემა გახშირებოდა ირინეოსს, მაგრამ ეს ფიქრთცემა თავისუფალი და ლაღი იყო, რადგან არავის გასაწონასწორებლად არ იყო მიმართული. ახლა ირინეოსში საოცარი სამყარო იბადებოდა, სამყარო, რომელშიც არ არსებობს სურვილი, მიზანი და მიზნისკენ სწრაფვა.

განმარტოებული ჩინოვნიკი ლამის ფიქრებად და გაცნობიერებად ქცეულიყო, დარჩენილი უვნებობაში, უთრთოლველობაში, აუჩქარებლობაში, აუღელვებლობაში, უძრაობასა და აბსოლუტურ სინათლეში. ამინდი წრიალებდა და ვერ ისვენებდა. თითქოს, წვიმას სურდა შუბის სტყორცნა, მაგრამ სოფელს გადაფარებული სიცივე აკავებდა, ხოლო სიცივეს ოდნავ ახალისებდა ფერმკრთალი მზე.

შეხედავდა გაზის მილებს და იწყებდა ფიქრს გაზის კომპანიის დამაარსებლის გაციებულ სულზე, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავების წუხილს ვეღარ ამჩნევდა, ხოლო გენიოსების მოსაზრებები სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. ფიქრობდა ირინეოსი, როგორ აღვიძებდა გაზის კომპანიის დამაარსებელს კომპანიის გაკოტრების შიში, დაყადაღებული ქონების გამოუხსნელობით მოზღვავებული ძრწოლა და მშვიდ ძილზე ოცნებობდა. ისიც კი არ ახსოვდა გაჩონჩხებულ მილიარდერს, თუ როდის ელაპარაკა ბოლოს საკუთარ შვილებს და იგრძნო მათი შეგრძნებები, დაინახა მათი ზღაპრული ოცნებები და ხილვები.

ირინეოსი ხანდახან სათევზაოდ და სანადიროდ დადიოდა, თუმცა არც თევზაობდა და არც ნადირობდა, უბრალოდ, ფიქრობდა.

ზოგჯერ, დილის სუსხით დახორკლილ მდინარეში ჩახტებოდა, რომ თავში არსებული ბზუილი გაეყინა, მაგრამ გალიგვული წყლის ქვეშ მყოფი ისევ ფიქრობდა, ლამის გათიშული იყო და მაინც არსებობდა.

ირინეოსი აღარ იხსენებდა არც ბიძაშვილის შვილის ქმარს, არც ქმრის ცოლს და მათ სულებს, მათი სულების ბრძოლას შეუწებებლობის მოსაპოვებლად, არამედ მხოლოდ მათ ფიქრებს დაეძებდა.

აღარც ბატონ იოსებზე, თავის სიყრმის მეგობარზე, ფაუსტულუსზე და დალიზე დარდობდა ირინეოსი, არამედ მხოლოდ მათ ქცევებსა და ქვეცნობიერზე.

და ესიზმრებოდა ირინეოსს, როგორ ავიდა უზარმაზარ, უსახელო მთაზე, შემდეგ მწვერვალამდე მიაღწია, შედგა და გადმოეშვა, გადმოეშვა და გაიტაცა უხილავმა ძალამ, რომელიც ჩუმი, ნაზი და უძლეველი იყო.

ირინეოსს მიწაც ენატრებოდა და ზეცაც, ის სადღაც მიწასა და ზეცას შორის მიჰქროდა, თუმცა იცოდა, რომ ეს სივრცეც იგივეა, რაც მიწა და ზეცა.

და ფეთქავდა დედამიწა, როგორც მრისხანე ემბრიონი, გარდასაცვლელად მზადყოფნაში.

* * *

ყოფილ ჩინოვნიკს უჭირდა აბსოლუტური გასხივოსნების შეხებამდე მიბობღება და ჩანახატების კეთება დაიწყო. დაჯდებოდა ყველაფრით კმაყოფილ-დაღლილი ირინეოსი კომპიუტერთან და წერდა, მაგრამ რას წერდა? იმას, რასაც სამყარო ვეღარასდროს შეიტყობდა, რადგან მისივე აზრით, არც იყო საჭირო.

მას გაეაზრებინა, რომ თავადაც აზროვნების, გაცნობიერების ნაყოფი იყო და პირველსაწყისს დაუბრუნდა, თუმცა იმასაც ხვდებოდა, რომ პირველსაწყისი შეიძლება შავი მატერია ყოფილიყო, ანუ ყოველდღიურ ენაზე რომ ვთქვათ, სიბნელე, მაგრამ ხილვებში ჭვრეტდა ამ სიბნელეში ატომის ბირთვის სიცარიელესავით, უგზო-უკვლოდ, შეუჩერებლად მოხეტიალე აზრებს, ან დედააზრს, როგორც გენებოთ.

* * *

ზოგჯერ ბაბუა იოსებს იხსენებდა და ვერ გაეგო, მოხუცს რატომ არასდროს უფიქრია, რამდენი ადამიანი ევედრებოდა დემიურგს, რომ ამ უკანასკნელს სამყარო სულ სხვანაირად და სულ სხვა წესებით მოეწყო.

და თუ ზომიერების დაცვა მუდმივ თავისტკივილად და განსხეულებული სულის წამებად დამიჯდა, უგუნური ყოფილა მისი დამწესებელიც და დამცველიც.

ორგაზმს სიცარიელე არ უნდა მოჰყვებოდეს;

ნანადირევ ფრინველზე შეხება უეცარ მოწყენილობას არ უნდა იწვევდეს;

სიცარიელე და სისავსე ერთი და იგივე არ უნდა იყოს;

ადამიანი ყოველგვარი ტანჯვის გარეშე უნდა სჭვრეტდეს სისავსესა და სიცარიელეს შორის არსებულ „რაღაცას“;

გამოთქმა „უფალო შეგვიწყალენ“ არ უნდა არსებობდეს;

ათწლეულების შემდეგ სატრფოსთან ბოლოჯერ შეხვედრის ადგილზე მხოლოდ ერთი

სიყვარულგადატანილი არ უნდა მოდიოდეს;

ფრინველებს აზროვნება უნდა შეეძლოთ, ხოლო ადამიანებს ფრენა და ვირტუალურ ფრთებს გამუდმებით არ უნდა ეძებდნენ, რაც შემდეგ ათასი უბედურების მომტანია;

ცხოველებს საკვები თავზესაყრელად უნდა ჰქონდეთ, რომ ერთმანეთის შეჭმით არ იღუპებოდნენ;

არ უნდა არსებობდეს სუსტი და ძლიერი;

არ უნდა არსებობდეს წყურვილის გრძნობა;

არ უნდა არსებობდეს სიტყვა „ღმერთი“;

არ უნდა არსებობდეს სიკვდილ-სიცოცხლე, არამედ მხოლოდ მათი განცდა უნდა შეგვეძლოს, შემდეგ კი ჩვეულებრივად ვაგრძელებდეთ არსებობას;

არ უნდა არსებობდეს სიტყვა „ცხადი“;

არ უნდა არსებობდეს სიტყვა „სიზმარი“;

არ უნდა გვაღვიძებდეს ჩაძინებისას ძილ-ბურანიდან ამოხეთქილი სიკვდილგანცდანაზავი მელანქოლია და კიდევ რამდენი რამ არ უნდა არსებობდეს და ხდებოდეს.

მარტის თვალებიდან მოგელავდა აღმაფრთოვანებელი გაზაფხული და სივრცეს კალიისფერ მანტიაში ხვევდა.

გაახსენდა ირინეოსს მისი და ბაბუა იოსების ერთი მეტად უცნაური შეხვედრა და წამიერი დიალოგი, რომელიც მათი სახლების ქუჩისპირას მოხდა:

– „როგორ ხარ, ბაბუა იოსებ?

– შენსავით, ჩემო ირინეოს.

– ჩემსავით? – გაიკვირვა ირინეოსმა.

– ჰო, შენსავით და შენც ჩემსავით ყოფნისგან ღმერთმა არ დაგიფაროს.

– რაო?

– რაც გაიგონე.

– და რა ხეირი, ღმერთი რომ არ დამიფარავს?

– თავად იქცევი მოზომილ ღმერთად.

– ჰმ, მე კი პირიქით მეგონა, ვისაც ღმერთის მფარველობის სჯერა, ის მიდის ყველაფერზე ღმერთის სახელით და თავად ხდება ღმერთი“.

და ვისთვის ქადაგებდა მოხუცი ქოსა ზომიერების პრინციპის დაცვას? ვის სწირავდა თავის სიცოცხლეს, ქრისტეს, მარქსს თუ საკუთარი ნერვული სისტემის მსუბუქად ყოფნას?

არა, არა, ბაბუა იოსები მხოლოდ ახალ სამყაროში დამკვიდრებაზე ოცნებობდა, რომელშიც ვერასდროს იარსებებდა, მაგრამ მის შექმნაში თავის ლომის წვლილს მაინც შეიტანდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ჩვენს ბრძენ მოხუცზე ირინეოსი.

* * *

დილის ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც საკუთარ თავში ჩაკეტილი და ძველებურად ბედნიერი (ან ძველებურად უბედური) ირინეოსი საწოლიდან ადგა და პირდაპირ, დაუფიქრებლად გასწია სააბაზანოსაკენ. სახეზე გაყინული წყალი უხვად შეისხა და ამ სასიამოვნო სიგრილის მთელ და თბილ სხეულზეც შეგრძნება მოუნდა. გადაწყვიტა, რომ მდინარეზე წასულიყო და მთის მიერ დაწურულ ლანქერში ჩამხტარიყო.

მიუყვებოდა დაღმართს მდინარისაკენ და არც დალისთან პირველად შეხვედრის ადგილისაკენ და არც სიყრმის მეგობრის, აკვილას ეზოსაკენ არ გაუხედავს.

მას აღარც სიყვარულით მოცოცხლება და აღარც წარსულის მოგონებებში ძრწოლა, უფრო სწორად, წარსულის მოგონებებისაკენ გულაჩუყებული მზერა აღარ სჭირდებოდა.

მხოლოდ აწმყოს თვალუწვდენელ სივრცეებზე გაწოლილი მელანქოლიით იკვებებოდა ჩვენი გაშოლტილი, ყოფილი ჩინოვნიკი და თითქოს, ყოფას აშალაშინებდა და მომავალი ყოფისთვის ამზადებდა.

როდესაც ირინეოსი ბატონი ფაუსტულუსის სულის ამოძახილებზე ფიქრობდა, ყოველთვის საათის მრავალწახნაგოვანი მექანიზმი ახსენდებოდა, რომელიც არასდროს ჩერდებოდა და მოძველებული არსებობის ძვლების დასამტვრევად, მის მოსაგუდად, მახრჩობელა გველივით ზანტად და შეუჩერებლად მოძრაობდა.

ირინეოსი უკვე მდინარის სანაპიროზე იდგა და ფიქრობდა, ჯერ ცივი წყლით დაეზილა ტანი, თუ პირდაპირ ჩამხტარიყო სითხეში, რომლისგანაც ყველაფერი დაიწყო.

სანამ საკუთარ თავთან ამაზე მსჯელობდა, უკვე შიშველი ჩამდგარიყო მუხლებამდე წყალში, ანუ მაინც ნელ-ნელა არჩია წამიერ გარინდებასთან, დროის შეჩერებასთან მიახლოვება და გარინდებაში ჩანთქმამდე, კიდევ ერთხელ ჰკითხა თავის თავს, ვინ იყო სინამდვილეში ბატონი ფაუსტულუსი.

ამასობაში, გაყინული მთის გაყინული ლორწო მუცელზე იგრძნო, გულისცემა კიდევ უფრო გაუხშირდა და აი, შთაფვლის, წამიერად გაქრობის დიადი წამიც დადგა – ჩვენი ირინეოსი ოდნავ ჩაიმუხლა და უუმანკოეს სითხეში თავით გადაეშვა.

იგი უკვე წყლის ქვეშ იმყოფებოდა. უეცრად და წამიერად, თითქოს, დრო შეჩერდა. ბოლო განცდა და ფიქრი, რომელიც წყლის ქვეშ შეცურებამდე, ნახტომიდან შთაფვლამდე დროის მონაკვეთში ეწვია, ბატონი ფაუსტულუსისადმი სიძულვილი იყო, რადგან ამ უკანასკნელს ძალა არ ეყო, რომ მასზე (ირინეოსზე) შური ეძია.

,,არ გეყო ძალა და ეს უძიებელი შური მთელი სიცოცხლე გკლავდა“, – ფიქრობდა ერთდროულად მომაკვდინებელი და მაცოცხლებელი წყლით დაფარული ირინეოსი, თუმცა ის ფიქრიც უკრთებოდა, რომ იქნებ ცდებოდა.

,,ანუ შენ ხარ თვითმკვლელი, რაც დიდი ცოდვაა ქრისტიანობაში“, – მიეძალა ამოყვინთულს ბოლო ფიქრი.

ჯერ კიდევ არ გათენებულიყო და ირგვლივ მხოლოდ მდინარის ჩამი-ჩუმი და ირინეოსის სხეულის კანკალის ჩუმი ხმაური ისმოდა, რომელიც არავის ესმოდა, გარდა შთაფლულისა. ყოველ შემთხვევაში,

ასე ეგონა სამყაროსგან გაუცხოებულ, ყოფილ ჩინოვნიკს.

მიიჩქაროდა ირინეოსი სახლისაკენ და მსჯელობდა, რა უნდა გაეკეთებინა გრეგორი ზამზას, რომ ხოჭოდ არ გადაქცეულიყო? ალბათ, უფრო დამოუკიდებელი გამხდარიყო, მაგრამ ამისთვის კიდევ უფრო მეტად უნდა გარჯილიყო და ოფლი ეღვარა, რაც მის ისედაც მწირე თავისუფლებას მთლიანად შთანთქავდა, ხოლო ოჯახისწევრების ზრუნვაზე ხელს აიღებდა.

ის ხოჭოდ მოკვდა, თუმცა არავის მონა არ გამხდარა.

ამ მოსაზრებაზე ქალაქის თავკაცს არასდროს უფიქრია და ყოველთვის ჯიუტად იჩემებდა, რომ ზამზას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისათვის, რომ ხოჭოდ არ ქცეულიყო, ან უფიქრია, მაგრამ არ შეუმჩნევია.

და რატომ არ აწყობდა ფაუსტულუსს ვისიმე სწრაფვა გაღმერთკაცებისაკენ?

რომ თავად დარჩენილიყო ერთადერთ და მარადიულ ღმერთად? არა, არა, ალბათ უფრო იმიტომ, რომ საყოველთაო და სიმწრით მოპოვებული ჰარმონიულობა არ დარღვეულიყო.

,,ანუ მას სურდა, რომ ყველა თვითკმარი ყოფილიყო, მაგრამ თავად იყო კი თვითკმარი“? – ეს იყო ბოლო ფიქრი, რომელიც სახლში შესულ ირინეოს შემოაწვა და დაწოლისთანავე მკვდარივით დაეძინა, თუმცა დაახლოებით ერთ სააათში სიმხურვალემ გამოაღვიძა, გარეთ გამოვიდა და ეზოში, დანამულ მინდორზე გადაგებულ, წყალგაუმტარ ზეწარზე განაგრძო ძილი.

შუადღეს, როდესაც გამოიღვიძა, რაც მდინარეზე გადახდა ყველაფერი დაწერა, ერთ ფაილში გადაიტანა და ისევ დაიძინა (დაძინებამდე ერთი ნაჭერი პური და სამი ცალი ზეთისხილი მოციცქნა).

* * *

,,პაპიროსის მოწევას იმიტომ შევეშვი, რომ მისგან განთავისუფლება მინდოდა. განთავისუფლება არა პაპიროსის მომაკვდინებელი კლანჭებისგან, არამედ სანთებელისა და პაპიროსის ჯიბით ტარებისგან, თუმცა ჰაშიშის მომქანცველი ძალა ყოველთვის მიზიდავდა“, – ფიქრობდა ახალგაღვიძებული ირინეოსი.

,,მიყვარს სიმჩატე. ოდესღაც დიეტაც იმიტომ დავიწყე, რომ ზედმეტ წონას არ დავეტყვევებინე და არა სამოთხეში მოსახვედრად.

უკვე რვა საათია და ჯერ არ მოგვიწყენია, მაგრამ დაძინებამდე კიდევ რამდენი უნდა ვიბრძოლოთ, რომ არ მოვიწყინოთ.

ვერ მომერია დილის ურჩხული, ვერც შუადღისა და ვერც საღამოსი მომერევა.

გავძლოთ რაც შეიძლება დიდხანს მხიარულად“, – კვლავ გადიოდა თავის გოლგოთას, მაგრამ ამჯერად, საკუთარს და არა სხვების განცდებზე.

– ზოგჯერ სანერვიულო იმდენად დიდია, რომ ჩვენში თვითგადარჩენის ინსტიქტი ტორნადოსავით მძვინვარებს, იმდენად მძვინვარებს, რომ აღარაფერზე ვიწყებთ ნერვიულობას.

ირინეოსი იხსენებდა ლიფტში შემოსულ გოგონას, რომლის სულიც მობილურ ტელეფონში

გადანერგილიყო. ლიფტში ინტერნეტი არ იჭერდა, მაგრამ გოგონა აგრძელებდა ტელეფონის ღილაკების წვალებას, რომ უხერხულობა გადაეფარა, რომელიც პატარა სივრცეში მაშინ იქმნება ხოლმე, როდესაც ორი, ან ორზე მეტი ერთმანეთისთვის უცნობი ადამიანი იმყოფება.

თუ მტერმა შეამჩნია, რომ დიდებისთვის ებრძვი, გაჩუქებს დიდებას და დაგაშოშმინებს.

თუ შეამჩნია, რომ გადარჩენისთვის ებრძვი, გადაგარჩენს და მიგაყუჩებს.

ხოლო თუ შეამჩნია, რომ გძულს და ამიტომ ებრძვი, უძლური იქნება, – იგვემებოდა სასეირნოდ მიმავალი ირინეოსი და თავისი სიყრმის მეგობრის სულის ვიბრირებას აანალიზებდა.

რატომღაც აკვილაზე ვეღარაფერს მოიაზრებდა ყოფილი ჩინოვნიკი და იცოდა, რომ აზროვნებამ შვა სიყვარული თუ პირუკუ, ამაზე პასუხი ახალ სამყაროშიც კი ვერ მოიძებნებოდა.

ისინი იმდენად ერთნაირები იყვნენ, ერთმანეთის იმდენად უსიტყვოდ ესმოდათ, რომ ასეთი ყოფა მალევე მობეზრდათ და გაუცხოვდნენ.

ირინეოსს მოგონებები ჯერ მეხსიერებაში დაუსურათდა, შემდეგ მათი წაშლის მცდელობაში ისე აირია ერთმანეთში, როგორც ხალხი ჩინეთის მეტროში და თავადაც ერთ მძიმე მოგონებად იქცა, რომლის მოცულობა საკმაოდ მცირეა, მაგრამ მასა დიდი და რთულად სატარებელი.

,,ჰიუგოს „საბრალონის“ და ტოლსტოის „ანა კარენინას“ ერთი ნაკლი აქვთ, ის, რომ მათი კითხვისას შეიძლება სულ სხვა ფიქრებმა გაგიტაცოს.

სარტრისა და ფოლკნერის ნაწარმოებები პირუკუ, ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

და მაინც, რა მოუვა კაცობრიობას, კითხვა რომ დაავიწყდეს“? – ეს იყო ბოლო ფიქრი, რომელიც ეზოში შესულ ირინეოსს მოეძალა.

* * *

,,თუ ღმერთი არსებობს, ყოვლისშემძლეა.

პრობლემაც სწორედ ეს არის – თუ ის ყოვლისშემძლეა, ბოროტების კეთებაც შეუძლია.

ასეთი ღმერთის არსებობას კი სჯობს საერთოდ არ არსებობდეს“, – ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ირინეოსი ერთდროულად ალკოჰოლურ სასმელს სვამდა, ჰაშიშს ეწეოდა და აბსოლუტის სულის ანატომიას შიფრავდა, შიფრავდა და ყველაფერს წერდა.

,,გმირობაა, საყვარელ ადამიანს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად სიკვდილისგან რომ იხსნი, მაგრამ კიდევ უფრო დიდი გმირობაა იმაზე ფიქრი, თუ რა მოხდებოდა, რომ ვერ გადაგერჩინა და ჭკუიდან არ შეიშლები, გეყოფა გამძლეობა, ამის შემდეგ კვლავაც ლაღად, აღტაცებით გააგრძელო ცხოვრება, სანამ აღტაცებითვე არ დაეცემი და დაცემაშიც აღტაცებული არ ჩაიძინებ“, – ლუღლუღებდა ირინეოსი და ახსენდებოდა მეზობლის რვა თვის ბავშვი, რომელსაც მკერდზე მიკრული ასეირნებდა, როდესაც უეცრად ამოტეხილ ფილაქანს ფეხი წამოკრა და ბავშვთან ერთად დაეცა.

მაშინ სიკვდილისგან სასწაულისამებრ იხსნა თოვლის ფიფქივით უმანკო არსება და პირველად გააცნობიერა ადამიანის ზებუნებრივი შესაძლებლობების ბუნებრიობის შესახებ, რომელსაც

აცახცახებულმა ლექსიც მიუძღვნა:

„მე სიკვდილს
გადაგარჩინე,
შეუდრეკელი
მკლავითა,
მაგრამ დავეცი
ლამისა,
როდესაც
წარმოვიდგინე,
რა დღეში
ჩავვარდებოდი,
რომ გამსხლტომოდი
ხელიდან,
წარმოვიდგინე და უცებ,
მკვდრეთით აღვდექი
ფერფლიდან!“

და ახსოვს ირინეოსს, როგორ მიადო სახეზე თავისი პატარა თავი ძლივს გადარჩენილმა, უმანკო არსებამ და მიეფერა.

მიუხედავად საკუთარ თავზე ფიცის მიცემისა, ისევ ფიქრობდა ირინეოსი უცნობი დალის ფიქრებზე და ბოლომდე ვერ ჩამწვდარიყო, როგორ შეიძლებოდა, რომ ადამიანი, სავსე ცრემლნარევი სევდით, მაინც ლაღი და გაწონასწორებული ყოფილიყო (ახსენდებოდა ირინეოსს ჯვარზე გაკრული, გასისხლული ქრისტე, რომელიც კაცობრიობის ამაღლებაზე ფიქრობდა, ჯვარზევე თავადაც ამაღლებული).

ტანალვა დალის შეეძლო ქალაქში ეცხოვრა, მხოლოდ და მხოლოდ მისი ტანკენარობითა და ნამგლისებრი თვალის ჭრილით მოეხიბლა სამყარო, მას ამისთვის თანდაყოლილი, თვითნაბადი ნიჭი – უბადლო სილამაზე ჰქონდა. ყოფილიყო მიმნდობი, არ აერჩია ამინატორობა და ზეციდან ჩამოფრქვეული მიწიერების ტყვეობაში ჩავარდნილიყო.

იროელ, იროელ, ვისი გენისა ხარ? ჩვენი ირინეოსი თავისთვის ბუტბუტებდა და აცნობიერებდა, რომ დალის ათასწლეულებია იცნობდა და რომ მათი სულების ნაწილები ახალი, უცნობი ერის ბინადარნი გახდებოდნენ.

რაც შეეხება სილამაზეს, ის ყველაზე კეთილისმყოფელი და დიადი ნიჭია, რომელიც კოსმოსში არსებობს. უმეტყველო სილამაზე ჯერ მოგნუსხავს, მუხლებს აგიკანკალებს და მიზიდულობის ძალას მოგწყვეტს, შემდეგ თავის ეკლიან მკლავებში ჩაგიკრავს და დაგაცარიელებს, რაც კიდევ ერთი შესაძლებლობაა, რომ ხელახლა შეივსო. შესაძლებელია კი სილამაზის გარეშე ჯვარცმა? არა, არაა

შესაძლებელი, თუმცა ირინეოსს უკვე აღარც სილამაზე და აღარც ჯვარცმა სჭირდებოდა.

როდესაც კომპიუტერთან მიმჯდარი ყოფილი ჩინოვნიკი ამ და ამდაგვარ ჩანახატებს აკეთებდა, მის პროცესორში დალი ვირუსივით შემომძვრალიყო და ყველაფერს კითხულობდა, რასაც ირინეოსი წერდა, შემდეგ წაკითხულს ბატონ ფაუსტულუსს უგზავნიდა, ხოლო ბატონი ფაუსტულუსი მხცოვან იოსებს.

ასეთ მდგომარეობაში შეეგება ჩვენი ყოფიერებასთან მებრძოლი აწყვეტილი ნაგაზივით ძლევამოსილ მზის სხივებს.

ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი კი საკუთარ თავს ებრძოდა, რომ შორეულ ნაოსნობაში აღარ წასულიყო. ენივთებოდა რეალურად ამწვანებულ, მაგრამ მისთვის გაუდაბნოებულ სივრცეებს. ამ დროს მისი მეუღლე, ასევე გაუდაბნოებულ ბულვარში მარტოდმარტო სეირნობდა.

* * *

ჰიგსის ბოზონი. სიმები. კვარკები. სიცარიელე. პროტონი. ნეიტრონი. ელექტრონი (ვიღაც კოსმოსის შუაგულში ზის და საკუთარ სასახლეში ელექტროობა გაჰყავს).

ატომი. მოლეკულა. უჯრედი (უჯრედს ნეირონები დაზიანებია და გენიოსებს ჰპირდება სამყაროს). სხეული. ანტისხეული. ბოზონი ბოზონს. სიმები სიმებს. კვარკები კვარკებს. სიცარიელე სიცარიელეს. პროტონი პროტონს. ნეიტრონი ნეიტრონს. ელექტრონი ელექტრონს. ატომი ატომს. მოლეკულა მელეკულას. უჯრედი უჯრედს. სხეული სხეულს. ანტისხეული ანტისხეულს მისდევს შესაჭმელად. ელექტრონი ღმერთივით იჯგიმება, ნეიტრონი დაბადებას იწყევლის, პროტონი ნეიტრონს იბირებს. ნეიტრონი ელექტრონს ეგუება. ელექტრომაგნიტიზმი დაცემას გვიქადის. ელექტრონი ატომის სიცარიელეში იმზირება. ფიქრობს დაუბრუნდეს უხილავ მშობელს. ვერ უბრუნდება ძლევამოსილ „არაფერს“. არაფერშივე იწყებს ხელების ფათურს. ელექტრონი არაფერში ვერაფერს პოულობს. პირველი სევდიანი სტროფის შექმნა. სიცარიელე ელექტრონისთვის მავნე ნარკოტიკია. მალე ლექსების წერას დაასრულებს. დაიწყება დიდი და უაზრო შიმშილი. ყველაფერი დედმამიშვილის მსვერპლთშეწირვით დასრულდება.

გრძნობდა არაფერს მზირალი ელექტრონი, რომ ხელახლა დაბადების დრო დამდგარიყო, მაგრამ ჯერ უნდა გარდაცვლილიყო და უკვე მერამდენედ. მის მოგონებებში სევდიანად დაცურავდნენ მილიარდი წლის წინ შექმნილი, უთვალავი გემები, ხოლო ქვეცნობიერი გადახურებულ სავანას ჰგავდა. რაღაც ენატრებოდა ელექტრონს, მაგრამ რა, ვერაფრით გაეცნობიერებინა.

და მაშინ ჩვენს წინაპრებს არ სჭირდებოდათ არც ცხენები, არც ფაეტონნი.

და მაშინ, მოძრაობის დაწყებიდან სულ რაღაც ოცდათხუთმეტი წამის განმავლობაში გონება მუშაობდა, მაგრამ აზრებს არ აწარმოებდა. ფიქრები იყო, მაგრამ ფიქრებში აზრი არ იდო. შესაბამისად, არც სურვილი არსებობდა და არც მიზანი, არაფერი არაფერში გარინდულიყო და უარაფროდ მიიწევდა არარსისაკენ.

აწითლება. სიმორცხვე. ხელბორკილები. „მგელობანა“. „ომობანა“. „კუკუდამალობანა“. „სახლობანა“. „წრეში ბურთი“. „ცხენობანა“. „აგზნებობანა“. „ცნობისმოყვარეობანა“. „ჟინიანობანა“. „შურიანობანა“. „თანაგრძნობობანა“. სიმძიმე. სიმჩატე. ჟრუანტელი. დიდება. აღტაცება. სიცარიელე. სახლი. მშობლები. გაქცევა. ატმისფერი. მზე. სიმწვანე რძეში. ნდობის გადამოწმება. სრულყოფილების შეძულება. არასრულყოფილითაც დაკმაყოფილება. საკუთარი სულის ყურება (მაგრამ გაურკვევლობა, ამ ორ მაყურებელს შორის ვინ ვინაა). მზისგან ალითონებული ხიდი. ატომური ქარხნები და ავტომობილები. ბავშვობის უსაყვარლესი ეზო. ეზოს შუაგულში მაგიდა. ბებია სუფრას აწყობს. სადღეგრძელოები ნაღდი ბედნიერების საძებნელად, ჩხუბი სუფრის თავკაცის არჩევისას. თანაბრად მაძღარი მეზობლების ურთიერთტრფობა. დიდი მწერლების დიდი კომპლექსები. სქელკანიანი, უსაქმურთა სიგიჟის ფოლიანტები. დაბნეული, გაბრაზებული, თვალებგაყინული ბრბო. შურისძიება გენიოსების სულთა დავალებით. სიძულვილის მომგვრელი, გამაბოროტებელი თავისტკივილი. ცივი არყით ყელის გაგრილება. სამსახურში დაღლილი სხეულით ყოფნა. სულის არარსებულში უხალისოდ გადაფრენა. მიტოვებულ და გადამწვარ სასაფლაოზე კუბო. კუბოსთან გარდაცვლილის ერთადერთი შვილი. შვილის ღაწვებზე ჩამოგორებული ცრემლი. ცრემლი გამშრალი, გაცივებული და უნაყოფო. პატარა, ღარიბული, გაურემონტებელი სახლი. დიდი, გამორჩეული, ცნობილი პიროვნება. გადაშვება ხელოვნების უმატერიო ვნებებში. მრისხანება გენიალური, მაგრამ უშედეგო (ხელოვანი იმიტომ არის ხელოვანი, რომ მას ნაკლებად შია, უფრო სწორად და ზოგადად, ნაკლებად „უნდა“, რადგან ის უნიჭოა და ვერ ამჩნევს მატერიის მატერიალურ ბრწყინვალებას). ზუსტად განსაზღვრული, ბედნიერი მომავალი. ოცნება უსურვილო ეპოქის დასაწყისზე. უსურვილო ეპოქა უკვე იყო. კარუსელით დავქრივარ მობეზრებულ „მეში“.

და გამქრალიყო ფიქრები და დარჩენილიყო მარტო სევდისფერი სურათები.

და შემდეგ იყო დაუფლება, ღმერთით უკმაყოფილება, უსამართლობის განცდა,

არსებობიდან გაპარვა, კვლავ დაბრუნება, ბურანი და გენიალური მემუარები.

აფრიკა. ჩალისფერი. მზე. ძრწოლა. ძიება. ციება. გამოქვაბული. სიცივე. მოწყენილობა. შიმშილი. გამოფხიზლება. მასტოდონტები. თანაგრძნობა. გარდაუვალობა. სიფრთხილე. თვითგადარჩენა. ნადირობა. სისხლი. დანაყრება. სიცარიელე. ერთფეროვნება. ახალი საცხოვრისი. სიმამაცის ტრიუმფი. ძალაუფლების სიტკბოება. გაუმაძღრობის შეგრძნება. დამატყვევებელი გადაძღომა. აუცილებელი სიმკაცრე. მარადიული ტრფობა. სახლეულის შეგრძნება. პირველი დასახლება. პირველი ქაოსი. ქაოსის მოწესრიგება. პირველი შენობა. ბუნების გაღმერთება. პირველი ქალაქი. პირველი შემოტევა. პირველი თავდაცვა. პირველი ქალაქის დაცემა. დაფეთებული მოსახლეობის ჟლეტა. გადარჩენილი მოსახლეობის გაქცევა. გაქცეულის უკან დაბრუნება. დაკარგული განძის ძიება. დაბრუნებულის დიდი შურისძიება. ქალაქის დროებით დაბრუნება. მრისხანებით დაღვრილი სისხლი. გაბრაზებული ღმერთის გოდება. გაბრაზებული ღმერთის თვითმკვლელობა. ღმერთი ყველაფერს მართავს. ღმერთი ყველაფერს ვეღარ მართავს. ადამიანის ღმერთად ქცევა. თვალწარმტაცი სასახლეების აშენება. თვალისმომჭრელი ტაძრების აღმართვა. მონარქიის სადარაჯოზე ეშაფოტები. ეკლესიის სადარაჯოზე

ინკვიზიციები.

მეფეების წინააღმდეგ აღმართული გილიოტინა. ეკლესიის წინააღმედ ამოგენიალურებული „ქება სისულელისა“. მარტინ ლუთერი პავლეანობას აბრუნებს. ინგლისელები ინდიელებს უმოწყალოდ ხოცავენ. კარლ მეხუთე შავკანიანებს ამონებს. თავისუფლების ქანდაკება ოკეანეში მიიზლაზნება. პირველ ცათამბჯენს საძირკველი ეყრება. კაცობრიობას შეუჩერებელი უძილობა ეუფლება. პრუსტი არისტოკრატიას ნიღაბს ხსნის. არისტოკრატია დაუნდობელ კაპიტალიზმს ელტვის. ქაღალდის ქურქში გახვეული მამონა. მამონას უპირობო გამეფების მცდელობა. კოლექტიურ არაცნობიერში ჩაბუდებული ქრისტე. ბრძოლა მამონასა და მიმქრალ ქრისტეს შორის. გაქრობა, გაქრობა, გაქრობა და გაქრობა.

და ირინეოსი თითქოს უფსკრულის პირას იდგა, რომლის მიღმა სითეთრეში მცურავი არაფერი მოსჩანდა.

და ბოლოს შეეცადა უსასრულობაში აბსოლუტური გონი დაენახა, მაგრამ როგორი ასატანია უსახო, თუ უსახური ღმერთის ყურება?

მოულოდნელად, არსაიდან ფარშევანგისფერი კვირიონი გამომოცარტდა, თუ გამოყიპყიპდა, როგორც გენებოთ.

ამ ფიქრებში დაჭიანობდა ჩვენი ირინეოსი და აზრების ნეირონული საცეცები ატუსაღებდნენ.

* * *

გრავიტაცია. ღრუბელი. კუმშვა. დაპატარავება. გამასიურება. აფეთქება. ანასხლეტები. ლავა. დუღილი. გაცივება. წყალი. მიკროორგანიზმები. მოლეკულა. აღრევა. შეგრძნება. გარინდება. გადაადგილება (მაგრამ კუნთის ნატამალიც არაა და როგორ?). მაინც მოძრაობა. ძალის მოკრება. ისევ მოძრაობა. კუნთები ვითარდება. წყლის მიმოქცევა. ხმელეთის სახეცვლილება. გამყინვარება. გლობალური დათბობა. მოჩვენებითი აორთქლება.

დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს და სულ არ ადარდებს დრო, რომელიც ადამიანებმა შექმნეს – ასტროლოგიური გულისცემა.

მგრძნობიარე დედამიწა ხორცის ნაჭერია, ხოლო ბუზები ჩვენ ვართ ყველაო.

ბუზებმა საკუთარი დედამიწა, დედამიწამ შვილობილი ბუზები, დედამიწა და ბუზები მზემ შეჭამაო.

თითქოს ეს ყოველივე მცირეწლოვანმა, თავნება და უგუნურმა ბავშვმა შექმნაო, მაგრამ თითქოს...

შუამდინარეთი. უდაბნო. გრიგალი. მარში. გაუმაძღრობა. თავზეხელაღებულობა. მონობა. შეუბრალებლობა. გაფართოება. იმპერია. ქვიშა. სიცხე. აკლდამა. მუმია. ცრურწმენები. არცოდნა. მსხვერპლთშეწირვა. გაცნობიერება. საიდუმლოება. ძალაუფლების წყურვილი. ძალაუფლების მოპოვება. ძალაუფლების გავრცობა. დასახლებიდან ქალაქამდე. ქალაქიდან სახელმწიფომდე. სახელმწიფოდან იმპერიამდე. შურის დაგროვება. შურის ამოხეთქვა. დაღვრილი სისხლი. ხორცშესხმული შიში. შიშით მორჩილება. მონური იერარქია. იერარქიის სათავეში ღმერთი. ღმერთს

ქვემოთ მეფე. მეფის ქვემოთ სპასალარნი. სპასალართა ქვემოთ ჯარი. ჯარს ქვემოთ მონები. მონებს ქვემოთ სევდა. შვილთა აცრემლებული თვალები. მონათა სხეულში ჩამქრალი ვნებები. მონათა სულებში გაცრეცილი აღტაცება. ადამიანური გაუმაძღრობით დასევდიანებული გენეტიკა. იმპერიები ერთმანეთს გემებივით ეჯახებიან. ნამსხვრევებისგან პატარა სახელმწიფოები იქმნება. პატარა სახელმწიფოების ნაწილი ქრება. ნაწილი ძლევამოსილ იმპერიად ყალიბდება. დაუდგრომელ ზევსს ქრისტე აშთობს. არდანდობა და ღალატი ნათესავთა შორის. სულიერებისადმი მიცემული ფიცის გატეხვა. ორი ტამპლიერი ერთ ცხენზე ამხედრებული. გახელებული ტამპლიერები ერთურთს დაუნდობლად ჭამენ. პირსისხლიანი ტამპლიერი მოქანცულ ცხენს ჭამს. გადარჩენილ ტამპლიერს მძიმე სიცარიელე ეუფლება.

თომა აქვინელი სულისა და სხეულის შეწებებას ცდილობს.

დანტე ალიგიერი მოძველებულ ქრისტეს მოწიწებით ებრძვის.

(დავით მეფეს ისე უყვარდება საქართველო, რომ მტერს მასზე იდევნებს, რათა სტრატეგიულ გეგმებში საქართველოსგან ყურადღება გადაიტანოს.

რომ ქვეყანა მოასვენოს, ამოასუნთქოს).

შოთა რუსთაველი უსასრულო გვირაბში უკან ბრუნდება (თუ გვირაბი უსასრულოა, უკან როგორღა ბრუნდება?)

ჯვაროსნები ქრისტეს უკომპრომისო ბრძოლას უწყებენ.

გაისმის სხეულგასანთლული ქრისტიანების სულის წივილი.

ბრუნოს დედამიწის სიდიადით გათამამებული კაცობრიობის

ცრუ წარმოდგენების მსხვრევისთვის კოცონზე წვავენ.

ისტორია ღმერთის გადაღებული საშინელებათა ფილმია.

ჩვენს ირინეოსში ახლა აქვინელიც, ალიგიერიც, რუსთაველიც, ჯვაროსნებიც, ინკვიზიციის კოცონით ნაწამებნიც, ბრუნოც და მთელი ოქროსთევზისფერ ფილონში გახვეული ისტორიაც ეცემოდნენ, ილეოდნენ, იხრებოდნენ, მერყეობდნენ, იცრემლებოდნენ, ნანობდნენ, გრძელდებოდნენ.

ტირანთა პერფექციონისტურ მისწრაფებებს ეწირება ისტორიული სინამდვილის ჭეშმარიტება.

ევროპის კონტინენტს შეუჩერებელი ოლივერ კრომველი ართობს, მაგრამ მასხარის გვამს მასხარისვე თანამემამულენი დასჯიან, თუმცა მეორე დიდი მასხარა, მაქსიმილიან რობესპიერი ამ თეატრალური წარმოდგენისგან ვერაფერს ისწავლის და ამჯერად მასხარისვე თანამებრძოლნი, თუ ყოფილი თანამებრძოლნი განაშორებენ მის დამძიმებულ თავს არც თუ ისე სიმეტრიული სხეულისგან.

დაუნდობელი ნაპოლეონი ჩასაფრებული ელის დიქტატურის დამყარებას.

ტექნიკური პროგრესი მონობის ინსტიტუტის ფუნქციონირებას ამყარებს.

პეტრე პირველი ლითონის ხელს იდებს შუბლთან.

კავკასიელს მზერა კავკასიისკენ მიუმართავს და თრთის.

ოსმანთა იმპერიას არსებობა მობეზრდა და კვდება.

თბილისის სასულიერო სემინარიაში ბიჭი აბარებს.

ბიჭი ალუმინის ფირფიტასავით ნაზი და ფაქიზია.

მომავალში ეს ბიჭი რკინის კაცად იქცევა.

რკინის კაცი რკინასავით რუსეთს ქმნის.

რკინის კაცი რუსეთს გამიზნულად ამზადებს მსხვერპლთშეწირვისთვის.

კვლავაც უტევენ ვანდალთა შთამომავალნი კაცობრიობას.

ფიქრობდა ჩვენი ირინეოსი და თითქოს თავადაც ფიქრად ქცეულიყო, მაგრამ ვის ფიქრად? ყველაფერს ხომ პირველწყარო აქვს. ისე ილეოდა, რომ ამ კითხვაზე პასუხს ვერ სცემდა და ფიქრად გარდასახულიც დარდობდა.

* * *

ირინეოსს ბუნდოვნად ახსოვდა, როდესაც მეზობლის მოუვლელი ქალი დედას სტუმრობდა ხოლმე და დედაც ზოგჯერ მხიარულად იღებდა სტუმარს, ზოგჯერაც უხასიათოდ, მაგრამ უხასიათობას არ იმჩნევდა, რადგან იცოდა, რომ მეზობლის ქალისთვის ირინეოსის სახლი ერთადერთი თბილი კერა იყო, ან კერა, სადაც მას თავისი არაფრისმთქმელი სიცოცხლის შესახებ შეეძლო მოეყოლა.

დედას ზოგჯერ უხასიათობა მაინც ემჩნეოდა, მაგრამ მეზობლის ქალი ყოველთვის ერთი და იგივე ხასიათზე იყო: არც გაბრაზებული, არც გახარებული, არც დაცემული, არც აღზევებული, არც ახლის გაცნობიერების მოლოდინში, არც უკვე გააზრებულის გამოყენების პროცესში, არც შვილების ბედნიერებით გაბედნიერებული, არც შვილების უბედურებით შეწუხებული, არც გაავებული, არც გულკეთილი, ან მოფუსფუსე, არც მიმკვდარი.

ყოფილ ჩინოვნიკს მეზობლის ქალი ყოველთვის აგონებდა სუბსტანციას, არსებულს სიცივესა და სიცხეს შორის, ზეცასა და მიწას შორის, გაბრაზებასა და დამშვიდებას შორის, სიკეთესა და ბოროტებას შორის, მაგრამ არანაირად სიკეთისა და ბოროტების მიღმა.

ზოგჯერ ირინეოსი ხედავდა დედის ფარულ სიხარულს, როდესაც მეზობლის ქალი სტუმრობას დაასრულებდა და შინისაკენ გასწევდა, მაგრამ დედის ეს წამიერი ბედნიერებაც ისეთივე ღონემიხდილი და გამოფიტული იყო, როგორიც უხასიათობა.

– დედა, შეიძლება სათამაშოდ წავიდე? – იკითხავდა მოუთმენლობით შეპყრობილი ირინეოსი.

– გაკვეთილები მომზადებული გაქვს? – კითხვითვე უპასუხებდა სტრატეგიულად მოაზროვნე დედა.

– თამაშს მოვრჩები, ამოვალ და მერე მოვამზადებ, – მიუგებდა ირინეოსი.

– არა, შვილო, არა, თუ გინდა თამაში შეირგო და სირბილისას საკუთარი წონის გარდა გაკვეთილების მოუმზადებლობის ტვირთიც არ გქონდეს სათრევი, ჯერ გაკვეთილები მოამზადე და შემდეგ წადი სათამაშოდ, – ბრძნული გამომეტყველებით ეტყოდა დედა.

ირინეოსს მთელი ცხოვრების განმავლობაში სჯეროდა, რომ დედის რჩევა-დარიგება მართებული იყო, მაგრამ ახლა ინტუიციურად გრძნობდა, რომ ცდებოდა.

ჩვენ ამ ყველაფერს ვწერთ, მაგრამ ჩვენს გმირს ასეთი ცხოვრებისეული და ღრმა აზრები წამის მეასედში გაუელვებდა გონებაში და ეს უწყვეტ რეჟიმში ხდებოდა.

რამდენი ასეთი აზრი დაჰქროდა ირინეოსის არსებობისგან დასივებულ ტვინში.

* * *

ახსენდებოდა ჩვენს ყოფილ ჩინოვნიკს, როდესაც „კუკუმალობას“ თამაშობდა და მეგობრებს ეხვეწებოდა, მძებნელს არ მიანიშნოთ, სად ვიმალებიო. რომელიმე მეგობარი მიუგებდა ხოლმე, კი, მაგრამ, რომ არ გაგთქვა, სანაცვლოდ რას მივიღებო. ირინეოსი ეტყოდა: – „მგელობანას“ თამაშისას, როდესაც მგელი ვიქნები, კი იცი, შენზე სწრაფად დავრბივარ და ნებისმიერ დროს შემიძლია დაგიჭირო, მაგრამ თუ ახლა არ გამთქვამ, შევეცდები, არ დაგიჭიროო.

მას ისიც ახსენდებოდა, თუ როგორ ჩაგრავდა უბნის ერთი ყოჩი, რომელსაც ადრეულ ასაკშივე გაეაზრებინა, რომ „შიში შეიქმს სიყვარულსა“ და ახსენდებოდა, როგორ კლავდა შურისძიების წყურვილი, მაგრამ საკუთარი სიუხეშით გათამამებულ ყოჩს სამაგიეროს მიგებას ვერ უბედავდა.

ზოგჯერ ესიზმრებოდა კიდეც, რომ თითქოს თავგასულ ყოჩს კუთვნილი ადგილი მიუჩინა, ანუ ერთი კარგად მიბეგვა და მიწაზე დაგდებული დატოვა, მაგრამ როდესაც ოფლში ამოვლებული გაიღვიძებდა (მელანში ამოვლებული კალამივით), ხვდებოდა, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო.

ომგადახდილი და ომში გამარჯვებული იმპერატორივით თრთოდა ირინეოსი და ოცნებობდა, რომ სიზმარი ოდესღაც რეალობად ქცეულიყო და იქცა კიდეც, თუმცა მჩაგვრელისთვის ხელის შებრუნება ვერასდროს გაბედა, უბრალოდ თავისი ცხოვრებით დაუმტკიცა ყველას, რომ უფრო მეტი ესმოდა, უფრო მეტს ხედავდა და უფრო მეტს უყვარდა, ვიდრე ბავშვობისდროინდელი ყოჩი.

ისიც კარგად ახსოვდა, რომ პატარა ტირანის საქციელი არავის მოსწონდა, თუმცა ყველა მხარში ედგა, ირინეოსმა ცოტა მოგვიანებით გაიაზრა, რომ ძალა აღმართს ხნავს, მაგრამ არა დროის ხანგრძლივ პერსპექტივაში, არამედ მოკლეში.

ისიც უნდა ითქვას, რომ უბნის ყოჩი მაინც გამორჩეული და განსაკუთრებული მოზარდი იყო, რადგან იმ ეპოქაში ადამიანებს სულ არ შესწევდათ ძალა, გაბატონებულიყვნენ და არც თანაადამიანებზე უხეში ძალის გამოყენებით მონუსხვის სურვილი კლავდათ.

* * *

იხსენებდა მიმქრალი ხიზანი, როცა სიყრმის მეგობრებთან ერთად მდინარეზე წავიდნენ და ფეხი იტკინა. მოლიპულ ქვაზე ფეხი დაუცდა და ლამის მუხლი ჩაიმსხვრია. ირინეოსის სისხლმა გააწითლა ივლისის ანტარქტიდასავით გაყინული მდინარე და მაშინ პირველად განიცადა ტკივილი, რომელმაც ყველა და ყველაფერი გადაავიწყა (მაშინ პირველად გაიაზრა, რომ თუ ოდესმე ცხოვრებაში დიდ სულიერ ტკივილს იწვნევდა, ფიზიკური ტკივილი საუკეთესო გზა იყო სულიერი ტკივილის

გადასაფარად. ჰოდა, ერთხელაც ერთმა გოგონამ სიყვარულზე სიყვარულითვე არ უპასუხა და თებერვლის თვეში, როდესაც თოვდა კიდეც, ჩვენი გმირი ზღვისპირას წავიდა და მეზობელს, რომელიც რემონტს აკეთებდა, იმდენი ხრეში და კენჭი მიუზიდა, რომ სარეაბილიტაციოდ პალმირას ეყოფოდა. მთელი დღის განმავლობაში, როდესაც სანაპიროდან მეზობლის სახლამდე ამ უცნაურ ტვირთს ტომრებით ეზიდებოდა, თითქმის არც ერთხელ არ გახსენებია გულგანმგმირავი გოგონა და მისი დამანარცხებელი „არა“).

ჰოდა, ახსოვდა, უბნის ყოჩი როგორ გავარდა ქალაქში, ჭრილობის მოსასუფთავებელი ხსნარი და სამედიცინო სახვევი ამოარბენინა, რათა ირინეოსს ჭრილობაში ინფექცია არ შეჭროდა. პატარა მბრძანებელმა თავადვე მოუსუფთავა ჭრილობა მუხლჩალეწილს, შემდეგ ლამის მხარზე მოიკიდა და ქალაქშიც ასე ჩაიყვანა.

ამ ყველაფერმა არა მარტო ირინეოსი, არამედ დანარჩენებიც გააოცა. არავინ ელოდა გაამპარტავნებული მბრძანებლისგან ასეთ ქრისტესმიერ საქციელს.

მოგვიანებით, როდესაც ბიჭები წამოიზარდნენ, ირინეოსმა თავად ჰკითხა ყოჩს, იმ დღეს რა მზრუნველობისა და კაცთმოყვარეობის ბუშტი გაგისკდაო.

ნაადრევად დაბრძენებულმა (და ეს არ არის მთლად კარგი) მოკლედ მოუჭრა, რამე რომ მოგსვლოდა, ატყდებოდა ერთი ვაი-ვაგლახი და ეს აყალმაყალი თავიდან ავიცილეო.

* * *

შუაღამის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ბატონი ფაუსტულუსის გაყინულ სახლში (თითქოს სახლშიც დეკემბერი იდგა) ტელეფონმა დარეკა. ფაუსტულუსი „მარტოობის ას წელიწადს“ უკვე მერამდენედ კითხულობდა და მარკესის აზრები, ქცეული ასოებად, მის თავში ბზუილით დაჰქროდნენ (ახსენდებოდა, ოდესღაც როგორ დაწვა წიგნი, რომელიც წაკითხულიც არ ჰქონდა. ფაუსტულუსიც ბრბო იყო ერთ დროს, რადგან საქმეს ასე სჭირდებოდა).

– ყველაფერი მზადაა. ხელმძღვანელმა ბრძანება გასცა, რომ დღესვე დატოვოთ პლანეტა დედამიწა, – გაისმა ტელეფონის ყურმილში უცნობის ხმა, რომელიც კაცობრიობისთვის ასევე უცნობ ენაზე ლაპარაკობდა.

და ძილ-ბურანში იყო ჩვენი ირინეოსი. მისი ფიქრები მასსავით გამოცარიელებულიყვნენ, დამშრალიყვნენ, გაცივებულიყვნენ.

– კეთილი, ნახევარ საათში მაქ ვარ, – მიუგო ფაუსტულუსმა და დასძინა, – სილვიუსი (ბაბუა იოსები) და დეიდამია (დალი) უკვე მაქ არიან?

– დიახ, აქ არიან, – უპასუხა უცნობმა და ტელეფონი გათიშა.

ნახევარ საათში ბატონი ფობოსი (ფაუსტულუსი) ქალაქის გარეუბანში მდებარე ცათამბრჯენის საგანგებოდ მოწყობილ ასაფრენ ბილიკზე იმყოფებოდა და უსასრულობაში გასაფრენად ემზადებოდა.

თითქოს უკვე გათოვებულიყო, მაგრამ ვერავის შეემჩნია, თითქოს, ფიფქები ჰაერშივე ლანქერად

ქცეულიყო.

ცათამბჯენი გაშლილ ველზე მდებარეობდა, რომელიც შირაქის ველს მოგაგონებდათ, ღამითაც გადამწვანებულს. ირგვლივ არავინ სახლობდა და მრავალსართულიანი შენობა, დასჯილი მარტოობით, შეგებრალებოდათ კიდეც. თითქოს, ამ შენობის არსებობის შესახებ აქ მყოფი ადამიანების გარდა, არავინ იცისო.

სანამ შუადღე არ დადგებოდა, ეკიპაჟი ვერსად მოიცვლიდა ფრთებს. რატომ? მე ვიცი, ჩემო გამორჩეულო მკითხველო, მაგრამ შენც უნდა ჩასწვდე. ამიტომ ამ ამოცანას სულში ხელების საფათურებლად გიტოვებ.

– ბატონო ფობუს, – სიჩუმე დაარღვია დეიდამიამ, – იქნებ ირინეოსიც წამოგვეყვანა. ისიც ხომ უსაზღვროობის ერთი უსაზღვრო მარცვალია.

– მოგვყავს ირინეოსიც, – უმშვიდესად მიუგო ფობუსმა, თითქოს ასეთ კითხვას მსგავს სიტუაციაში მემილიონეჯერ უსვამდნენ.

– კი მაგრამ, რატომ იგვიანებს?

– არ იგვიანებს, მისი სული სილვიუსს ჰყავს დატყვევებული, – აუღელვებლად უპასუხა ბატონმა ფობუსმა.

– კეთილი. ოჰ, ეს გავლენები, დეკარტის ულევი სული, – მსახიობური აღტაცებით წამოიძახა დეიდამიამ.

– ჩვენ ირინეოსს ვერასდროს შეველევით, – ლამის ჩაილაპარაკა ფობუსმა და ამონათებასა და ამომრავალფეროვნებაში მოფარფატე სივრცეს გახედა.

დეიდამია უცნაურ და უცხო საფრენ აპარატს მიაშტერდა, რომელიც კოშკიდან გადმოშვებულ „წყალში ხტომის“ ოსტატის ჰაერში გაწვართულ სხეულს წააგავდა.

იქვე იდგა მხცოვანი სილვიუსიც, რომელიც იქით-აქეთ ნერვიულად დადიოდა და ეტყობოდა, რომ გადაქრობა ყველაზე მეტად ეჩქარებოდა.

ამასობაში, ქალაქი მზეს მამაკაცისგან პირველადხელშევლებული ქალწულივით აედუღებინა და მის ხელოვნურად ჩარევით დამახინჯებულ სხეულს ისე ეწაფებოდა, როგორც დაჭრილი ირმების გუნდი – წყარო ანკარას.

ჩვენი ირინეოსიც მზესავით ახურებულიყო და სიზმრის გაურკვეველ ეპიზოდში უნოტიესი სულის დაუღალავი მწვერვალისკენ მიიწევდა, რომელიც კილიმანჯაროს ტყეებივით ჩურჩულებდა...

და ამ ტყეებში უნდოდა ეხეტიალა ჩვენს დაუღალავ, გაქრობასთან მებრძოლ გმირს.

ქალაქს დილის აქარავნება დაესრულებინა და შუადღისეული მოურიგებლობის მიმალულ და ნელ ბრძოლაში გაჩირაღდნებულიყო, გაფუჭებული საათივით გაშეშებულიყო.

სადღაც მოუზომველ მიწაზე, სადაც ჩვენს ერაში ცოცხალ ორგანიზმს ფეხი არ დაუდგამს, მომავლის კადრში ხუთ წლამდე ბავშვი პატარა, ქვის სახლის დაჟანგულ, ცხელ სახურავზე იჯდა და პირველსაწყისი ვნებების დაოკებაზე ოცნებობდა, არადა, მაშინ განცდილის გაცნობიერებაზე რომ ეფიქრა, ასაკში არ ექნებოდა ასეთი მწირი და არაპოეტური მოგონებები. მაგრამ ვინ ხედავდა ამ ბავშვს,

თუ ჩვენს ერაში ამ მიწაზე ფეხი არავის დაუდგამს? ვინ და, მხოლოდ ჩვენი ირინეოსი, ან ირინეოსში გაბნეული მსოფლიო სული.

გაქარწყლების პირას მყოფს სწადდა, რომ დიდ გაქარწყლებას ცაში შეხვედროდა, ქარიშხლის მიერ გატაცებული, ისე გატაცებული, როგორც განიმედე არწივად ქცეული ზევსის მიერ, ზეცას კი უცნობი მიწის უმაღლესი მწვერვალიდან შეუტევდა.

ბრძოლას ყოველთვის მოსდევს ჩასახება.

უცნაური საფრენი აპარატიდან უცნობი პილოტი გამოვიდა და ჩვენი რომანის თუ ნოველის გმირებს შეახსენა, რომ შუადღე დამდგარიყო და ასევე უცნობის ბრძანების თანახმად, უშორეულესი მგზავრობის დაწყების ჟამი მოწეულიყო.

ათ წუთში წარსულში ბატონი ფაუსტულუსი, ბაბუა იოსები და დალი ბრძოლაში გაწაფულ დედამიწას საფრენი აპარატის ერთ-ერთ კაბინაში ცისარტყელისფერი ილუმინატორიდან გადმოსცქეროდნენ, რომელიც ირინეოსს ხელში ბადროსავით ეჭირა და სადაცაა, კვლავდაბრუნებისკენ მოისროდა, მაგრამ დედამიწაზე თავადაც ხომ იმყოფებოდა და საკუთარი თავის მოსროლა, არაა ადვილი საქმე.

ბატონ ფაუსტულუსს ახალდაბადებულის გულივით უცემდა ვერდაცემული გული და სულში ადამიანური სევდა ეღვრებოდა. მან ხომ შვილი სასიკვდილოდ გაიმეტა, სულით და სხეულით განგმირა, სულით იმიტომ, რომ მსოფლიო მელანქოლიაში დატოვა, ხოლო სხეულით იმიტომ, რომ მალე ირინეოსი გაიფანტებოდა.

დალი გადმოჰყურებდა პატარა ბავშვის მიერ გაბერილი „საპნის ბუშტივით“ დრეკად კოსმოსს და ზუსტად იგივეს გრძნობდა, რასაც მაშინ, პირველად რომ შეხვდა ირინეოსს, ისე შეჰყურებდა სივრცეებს, როგორც იმ დღეს, იმ საერთო მეზობლის მძინარე ეზოს.

სახედამშვიდებული ბაბუა იოსები და ვინჩის შივას ინსპირაციით შექმნილი ნახატის პერსონაჟს ჰგავდა, მდგომი ვეებერთელა ილუმინატორის ცენტრში. ცალი ხელი ჯიბეში ჩაეწყო, ხოლო მეორე, მკერდის გვერდით მიბჯენილ ხელში თეთრი წიგნი ეჭირა, რომელსაც წითელი, წვრილი ასოებით ეწერა – „ირინეოსი“.

ბატონ ფაუსტულუსს უთხრეს, რომ ღილაკზე დაჭერის ჟამი დამდგარიყო და მოქმედების დრო იყო.

ფაუსტულუსი უყურებდა მზის სისტემის ერთ-ერთ უპატარავეს, მაგრამ ყველაზე არაკოსმოსურ, დიად და უნიკალურ პლანეტას, პლანეტას ადამიანებისა.

უყურებდა და თითქოს სააეშაგოს ეძებდა, რომ სააეშაგოში ირინეოსის კოხტა ეზო მოეძებნა, ხოლო ეზოში თავად ირინეოსი.

ბოლოს სუნთქვა ხიფათის მოლოდინში მყოფი შველივით შეიკავა და ღილაკს მიაჭირა.

ჯერ საკუთარ სხეულში ჟრუანტელი იგრძნო, შემდეგ მის წინ ყველაფერი მზისფრად განათდა და ბოლოს, სილურჯე ატომებად დაიშალა.

ჩვენი გმირი, გატაცებული ქარიშხლის მიერ, „დიდ გაქრობას“ ზეცაში შეეგება, ტატოს არ იყოს, ქარიშხალმა დაასაფლავა.

გადაფოტონებამდე დაზაფრული ირინეოსი დეკემბერშეპარულ სიზმარში იმდენად დიდ სიმშვიდეს განიცდიდა, რომ ნათელი იყო მტრის მოახლოება. მტერი ხომ მოულოდნელობის ეფექტს ყოველთვის ეფექტურად იყენებს.

გადადროებულის გადასივრცებული ბიძაშვილის შვილის ქმარი სარკმელს მისჯდომოდა და შუადღისეულ ფიქრებს ისე მოენუსხა, დიდი დაცემისა და დიდი გაქრობის ეპოქის მოახლოება ვერც კი შეენიშნა, ხოლო მარტოსულობის ნაოსნობის ტყვის ცოლი გახუნებულ ბულვარში სეირნობდა.

იდგა ჟამი დიდი გაცივებისა.

მეთორმეტეჯერ მოექნია კალამი ღმერთს, მეთორმეტეჯერ მოსვლია დიდი მუზა ღმერთების ღმერთს, იდგა ბოლო თორმეტი დეკემბერი დედამიწაზე, მაგრამ მაინც გაქრობის მხურვალება იგრძნობოდა.

მე შენ აგიყვან ოლიმპოს მთაზე, გალაკტიონ, და ღმერთებს თავად განგმირავ.

ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი,

ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმრის ცოლი,

ირინეოსი და ყველაფერი, რაზეც ჩვენ ვილაპარაკეთ, აღარ არსებობდა.

– ბატონო იოსებ, „ირინეოსი“ ჩემს სეიფში ჩაკეტე და სანამ ვარსებობთ, არავის მისცე, – გაისმა ბატონი ფაუსტულუსის მომავალში ნამყოფი ხმა.

– კეთილი, ბატონო ფაუსტულუს, – გაისმა იოსებ ბაბუას ჭექა-ქუხილისეული შეძახილი.

და ახალი ერთდროულად ახალიცაა და ძველიც.